

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პაატა ცაგარეიშვილი

აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის სატარიფო და
არასატარიფო რეგულირების მექანიზმები

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერი ხელმძღვანელი: რევაზ ხარეზავა, ეკონომიკის
მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
სრული პროფესორი

მეცნიერი კონსულტანტი: კახაბერ ერაძე, ეკონომიკის
მეცნიერებათა დოქტორი, სრული
პროფესორი

თბილისი 2013

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	3
თავი I. აგრარული სამეურნეო სუბიექტების საექსპორტო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	13
1.1. სამეურნეო სუბიექტების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების არსი და მნიშვნელობა	13
1.2. აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის რეგულირების მექანიზმების განვითარების ძირითადი ეტაპები, ფორმები და მეთოდები	26
1.3. სატარიფო და არასატარიფო ინსტრუმენტები აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის რეგულირების მექანიზმის სისტემაში.....	32
თავი II. აგრარული ფირმის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშემწყობი პირობების განვითარების ანალიზი.....	54
2.1. საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების ფაქტორის გავლენა სატარიფო და არასატარიფო მექანიზმების სრულყოფაზე.....	54
2.2. აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო სტიმულირების მეთოდების განვითარების ანალიზი დროსა და სივრცეში	63
2.3. ქვეყნის აგრარული წარმოების სუბიექტების საექსპორტო პოტენციალის განვითარების რეტროსპექტული ანალიზი და შეფასება.....	73
თავი III. აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის მიმართულებები	88
3.1. სახელმწიფოს მიერ აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების განვითარება.....	88
3.2. აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის ტარიფების მეშვეობით სტიმულირების მოდელი.....	97
3.3. ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის ხელშემწყობი სატარიფო და არასატარიფო მეთოდების გამოყენების ოპტიმიზაციის პროცედურული სტრუქტურის ალგორითმის ფორმირება	103
დასკვნები და წინადადებები.....	122
ცხრილები და ნახაზები.....	125
აბრევიატურა	127
გამოყენებული ლიტერატურა	128
დანართები	136

შესავალი

კვლევის აქტუალობა. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საქართველოს აგრარული წარმოება და ბაზარი ხდება გლობალური ბაზრის ფორმირების პროცესის შემადგენელი ნაწილი, რაც ითხოვს საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ამ პროცესთან შესაბამისობის უზრუნველყოფის აუცილებლობას. კერძოდ, უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც ქართულ აგრარულ საწარმოებს მისცემს, თავიანთ ხელთ არსებული, რესურსული პოტენციალის ამოქმედებისა და დამატებითი რესურსების მოზიდვის საშუალებას, რათა გააძლიერონ პოზიციები არა მარტო შიგა სასურსათო ბაზარზე, არამედ აქტიურად ჩაერთონ მსოფლიო სასურსათო ბაზრის ფორმირებაში. საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარება ჯერ კიდევ ვერ პასუხობს შიგა ბაზრის მოთხოვნებს, თუმცა არსებული პოტენციალის რაციონალური გამოყენების შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია ქართულმა აგრარულმა საწარმოებმა არა მარტო უზრუნველყონ ქვეყნის შიგა ბაზრის გაჯერება სოფლის მეურნეობის ტრადიციული წარმოების პროდუქტებით, არამედ განავითარონ საექსპორტო წარმოება და ხელი შეუწყონ ქვეყანაში ექსპორტ-იმპორტის დადებითი ბალანსის ფორმირების პროცესს, რაც ერთდროულად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ქვეყნები, რომლებმაც მიაღწიეს მაღალგანვითარებულ აგრარულ წარმოებას, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყენებდნენ და იყენებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და რეალიზაციის რეგულირების ღონისძიებათა სისტემას (სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური), რომელშიც ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საგარეო ვაჭრობის საბაჟო რეგულირების ინსტრუმენტებს - სატარიფო და არასატარიფო მექანიზებს. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებში უშუალო მონაწილეობისა და გაფართოების სტიმულირების თვალსაზრისით, კვლავაც აქტუალურ პრობლემად

რჩება ეროვნული აგრარული საწარმოების საექსპორტო საქმიანობის ხელშემწყობი სატარიფო და არასატარიფო რეგულირების ბერკეტების მუდმივი გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსის გატარება. ზემოთ ჩამოყალიბებული თეზისის აქტუალობა ასევე განპირობებულია იმით, რომ ქვეყანათაშორისი სავაჭრო ურთიერთობების რეგულირების მექანიზმების სრულყოფის პროცესი წარმოადგენს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რადგან იგი ითვალისწინებს ეკონომიკის გლობალიზაციისა და მასში მიმდინარე მოვლენების სწრაფ ცვალებადობას, ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირებისა და ინტეგრაციული პროცესების გაძლიერებას. შედეგად, ქვეყანაში იქმნება ობიექტური აუცილებლობა იმისათვის, რათა მოხდეს აგრარული სფეროს სამეურნეო სუბიექტების საექსპორტო საქმიანობის რეგულირების ღონისძიებათა პერმანენტული სრულყოფა და მიმდინარე პროცესებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ზემოთ ჩამოყალიბებულმა მოსაზრებებმა, რაც დაკავშირებულია საქართველოს ეკონომიკის აგრარული სექტორის სამეურნეო სუბიექტების საექსპორტო საქმიანობით დაინტერესების გაძლიერებასთან, განაპირობებს საკვლევი თემის არჩევა. თემა აქტუალურია როგორც მეთოდოლოგიურ-თეორიულ, ისე გამოყენებით ასპექტში.

პრობლემის დამუშავების ხარისხი. აგრარული ფირმის საბაზრო ქცევის, როგორც შიდა ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სასურსათო ბაზრებზე, რეგულირების მექანიზმის, განსაკუთრებით მისი პრაქტიკული ასპექტების კვლევამ, ჯერ კიდევ ვერ მიიქცია თანამედროვე ქართველი ეკონომისტების ყურადღება, რაც განპირობებულია მრავალი მიზეზით, მათ შორის საერთაშორისო ბაზრებზე აგრარული სფეროს სუბიექტების შესაძლებლობის პოტენციალზე უფრო დაბალი დონის მონაწილეობით. საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენი პოზიციის ფორმირების პროცესში გამოყენებულ იქნა უცხოელი მკვლევარების მთელი რიგი პუბლიკაციები, რომელთაგან გამოვყოფთ ა. სმითს, დ. რიკარდოს, ჯ. კეინზს, ლ. ბალცეროვიჩს, ტ. ბესლის, რ. ბურგესს, ა. გრანბერგს, პ. კრუგმანს, პ. ლინდერტს, გ. მენქიუსს, ფ. ბინშტოკს, ნ. გავრილკოს, ნ. ვოლგინას, ვ. ნაზარენკოს, ა. პოპკოვს, ი. სალიმჯანოვს, ე.

სეროვას. აგრეთვე, ბოლო წლებში, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, აგრარული სექტორისა და მისი სამეურნეო სუბიექტების სამეწარმეო-სასაქონლო საქმიანობის პრობლემებისადმი მიძღვნილ ქართველ მკვლევართა პუბლიკაციებს: ნ. ჭითანავა, რ. ხარებავა, კ. ერაძე, გ. თოდუა, რ. კაკულია, მ. კვარაცხელია, პ. კოლუაშვილი, თ. კუნჭულია, ზ. ლიპარტია, ი. მესხია, ვ. პაპავა, ნ. ტერაშვილი, გ. ურიდია, ო. ქეშელაშვილი, ნ. ხადური და სხვ.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომის ასპექტებთან დაკავშირებული ეკონომიკური თეორიის, საბაზრო ეკონომიკისა და აგრარული საწარმოს საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის პრობლემებისადმი მიძღვნილი უცხოელი და ქართველი ავტორების მიერ, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მეცნიერული პუბლიკაციები.

საკვალიფიკაციო ნაშრომი ეყრდნობა საბაჟო-საგადასახადო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საკითხებთან დაკავშირებულ საქართველოს კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, ასევე ამავე საკითხებზე საერთაშორისო საფინანსო და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოკვლევებსა და რეკომენდაციებს, საქართველოს სოფლის მეურნეობის, ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების, შემოსავლების სამსახურის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ მეთოდურ და პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

კვლევის მიზანი და ამოცანები. წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოში აგრარული წარმოების საექსპორტო საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო მექანიზმებით რეგულირების არსებული სისტემის ანალიზი, შეფასება და სწორადწარმართული პროცესების ხელშემწყობი მექანიზმების სრულყოფის წინადადებების ჩამოყალიბება/შემოთავაზება, რომლებიც არ იქნება წინააღმდეგობაში ვმო-ს შეთანხმებებთან, ამავდროულად მასტიმულირებელ გავლენას მოახდენს აგრარული საწარმოების საექსპორტო საქმიანობაზე. დასახული მიზნის მისაღწევად ჩამოყალიბებულია ქვემოთ ჩამოთვლილი ამოცანები:

- აგრარული წარმოების პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის დინამიკისა და მასზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია და რანჟირება;
- აგრარული სექტორის საექსპორტო წარმოების პოტენციალის ამოქმედების რეზერვების გამოვლენა და კლასიფიკაცია.
- მოქმედი სატარიფო და არასატარიფო მექანიზმების ანალიზი აგრარული დარგის საწარმოს საექსპორტო საქმიანობის განვითარებაზე მასტიმულირებელი ზემოქმედების თვალსაზრისით;
- აგრარული ფირმის საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობის რეგულირების მექანიზმის სრულყოფის ტენდენციების ექსტრაპოლაცია და ანალიზი;
- სურსათის ექსპორტ-იმპორტის განვითარების ტენდენციების კვალობაზე აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო მექანიზმების სრულყოფის რეკომენდაციების შემუშავება;
- აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის განვითარების ტარიფებით სტიმულირების მოდელის ფორმირება;
- ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის ხელშემწყობი სატარიფო და არასატარიფო მეთოდების გამოყენების ოპტიმიზაციის პროცედურული სტრუქტურის ალგორითმის შემუშავება.

კვლევის საგანი. კვლევის საგანია სასოფლო-სამეურნეო სუბიექტებისა და ექსპორტ-იმპორტის მარეგულირებელი ინსტიტუტების ურთიერთობები.

კვლევის ობიექტი. კვლევის ობიექტია საექსპორტო წარმოების სტიმულირებისა და რეგულირების სფერო, ექსპორტის ხელშემწყობი სატარიფო და არასატარიფო მეთოდების სრულყოფის მიმართულებები.

არსებული საინფორმაციო წყაროების მოპოვების, დამუშავებისა და შესწავლის შედეგად ნაშრომში ჩამოყალიბებულია საქართველოს საბაჟო ტარიფის გენეზისი, განვითარების ეტაპები, განხილულია საბაჟო ტარიფის ეკონომიკური ბუნება როგორც ფისკალური ფუნქციის მატარებელი გადასახადის, ისე საგარეო ვაჭრობის რეგულირების ეფექტიანი მექანიზმის ჭრილში. მასში მიმოხილულია საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები საბაჟო ტარიფთან მიმართებაში და მათი აღმოცენებისა

და განვითარების ასპექტები, აგრარული წარმოების პროდუქციის ექსპორტი-იმპორტის მარეგულირებელი, საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული არასატარიფო ღონისძიებები.

კვლევის მეთოდიკა. დასახული მიზნისა და ჩამოყალიბებული ამოცანების მისაღწევად ვეყენობით ლოგიკური და ეკონომიკური ანალიზის მეთოდებს. ასევე გამოყენებული გვაქვს ნორმატიული, სისტემური, სტატისტიკური, ემპირიული, სინთეზისა და ანალიზის მეთოდები. ინფორმაციის ძირითად წყაროდ, გარდა საქართველოს ფინანსთა, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების, შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური წყაროებისა, გამოყენებული გვაქვს საერთო და დარგობრივი ნორმატიული აქტები, ინსტრუქციები, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებისა და სემინარების მასალები, აგრეთვე სამეურნეო სუბიექტების საცნობარო და ინფორმაციული ხასიათის მასალები, ინტერნეტ რესურსები.

დასაცავად წარმოდგენილი ძირითადი დებულებები.

➤ აგრარულ საწარმოთა საექსპორტო საქმიანობის განვითარების პრობლემების რეგულირების მექანიზმის კვლევის აქტუალიზაციის აუცილებლობა, რომელშიც უმთავრესი ადგილი უჭირავს სატარიფო და არასატარიფო ინსტრუმენტებს. სხვა თანაბარ პირობებში, თანამედროვე აგრარული საწარმოს საექსპორტო საქმიანობით დაინტერესება, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საბაჟო რეგულირების მექანიზმების, მათ შორის სატარიფო და არასატარიფო ბერკეტების ეფექტიანობის ხარისხზე. აგრარული საწარმოს საექსპორტო საქმიანობით დაინტერესება ხელს უწყობს ერთდროულად როგორც ქვეყნის ექსპორტის განვითარებას, ასევე ქვეყნის აგრარული საწარმოო პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებასა და შიგა სასურსათო ბაზრის გაჯერებას. ამრიგად, აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირება წარმოადგენს სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარების სტიმულირებაზე არაპირდაპირი ზემოქმედების უმნიშვნელოვანეს ელემენტს. სწორედ მათი ამ ფუნქციიდან გამომდინარე, შესაბამისი პუბლიკაციების

ანალიზმა, შეფასებამ და განზოგადებამ, ასევე ქვეყნის საბაჟო ურთიერთობების რეგულირებასთან დაკავშირებული ნორმატიული დოკუმენტაციის შესწავლამ და ამ სისტემაში მომუშავე სპეციალისტების ინტერვიუებამ გვიჩვენა, რომ საექსპორტო საქმიანობის რეგულირების სატარიფო და არასატარიფო მექანიზმები საჭიროებს შესაბამის კვლევებს, განსაკუთრებით მათი მასტიმულირებელი ფუნქციის გაძლიერების მიმართულებით;

➤ აგრარული წარმოების პროდუქციის ექსპორტის რეგულირების სატარიფო და არასატარიფო მექანიზმების ფორმირების, გამოყენებისა და განვითარების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების გათვალისწინება განსაზღვრავს მათ კონკრეტულ ფორმებს და მეთოდებს, ზედა და ქვედა საზღვრებს, მოქმედების არეალსა და ვადებს. შესაბამისად, ისინი ეფუძნება გარკვეულ ეკონომიკურ და ორგანიზაციულ წანამძღვრებს, ისეთებს, როგორცაა ნორმატიული ბაზა, წესები და პროცედურები, მისია და სტრატეგია, უფლებამოსილების გამიჯვნა და შესაბამისი სამსახურების პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე, სატარიფო და არასატარიფო მექანიზმებს გააჩნია საექსპორტო საქმიანობისა და მისი ეფექტიანობის რეგულირების მეთოდების ფუნქცია;

➤ ექსპორტ-იმპორტთან დაკავშირებული საქმიანობა და მისი რეგულირების ფორმები მრავალფეროვანია (პირდაპირი და არაპირდაპირი, ფინანსური, სამართლებრივი, ორგანიზაციული), რაც ითხოვს მათ სისტემატიზაციასა და ფორმალიზაციას. კვლევის შედეგად ჩამოყალიბებულია აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის ტარიფებით რეგულირების ავტორისეული მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა ერთიან ჭრილში დავინახოთ მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედება, რომელიც ერთდროულად მოიცავს რამდენიმე დარგსა და ბაზარს. საექსპორტო წარმოების მასტიმულირებელი ტარიფის ფაქტობრივი დონე, მნიშვნელოვნად განსხვავდება „ტარიფის ნომინალური დონის“ სიდიდისაგან, რომელსაც იხდის აგრარული პროდუქციის მომხმარებელი. საექსპორტო წარმოების მასტიმულირებელი ტარიფის ფაქტობრივი დონე (the effective rate of protection) აგრარულ დარგში განისაზღვრება, როგორც სიდიდე (პროცენტებში), რომლითაც

იზრდება აგრარული პროდუქციის ერთეულის ღირებულების ნამატი მთელი სატარიფო სისტემის ფუნქციონირების პროცესში;

➤ კვლევის შედეგად, ნაშრომში ჩამოყალიბებულია „ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის ხელშემწყობი სატარიფო და არასატარიფო მეთოდების გამოყენების ოპტიმიზაციის პროცედურული სტრუქტურის ალგორითმი“-ს ავტორისეული ვარიანტი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ექსპორტის ხელშემწყობ სუბიექტთა ფუნქციები, ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული წარმოების ხელშემწყობის პროცედურები და მათ რეალიზებაზე პასუხისმგებელი სუბიექტის ფუნქცია-მოვალეობები. მიგვაჩნია, რომ ასეთი მიდგომით, აგრარული წარმოებისა და საექსპორტო საქმიანობის ხელშემწყობის პროცესი იქნება უფრო ეფექტიანი.

მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული კვლევის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის რეგულირების სატარიფო და არასატარიფო მეთოდების სრულყოფასთან დაკავშირებული, თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების განზოგადება, მიღებული შედეგების კვლევაში გამოყენება და მეთოდური მითითების რეკომენდაციების შემუშავება. წინამდებარე ნაშრომში:

✓ თანამედროვე საქართველოს სინამდვილეში, პირველად განხორციელდა აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მექანიზმების კვლევა სადოქტორო დისერტაციის სახით;

✓ პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩატარებულია ევროკავშირის ქვეყნებსა და მეზობელ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, სატარიფო და არასატარიფო მეთოდების სრულყოფის ეტაპებისა და მათი გამოყენების შედეგების ანალიზი. ასევე შესწავლილია, რამდენად თანხვედრშია ქართული სახელმწიფოს ექსპორტ-იმპორტის სატარიფო და არასატარიფო რეგულირების პრაქტიკა უცხოურ გამოცდილებასთან და რამდენად პასუხობს იგი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებს, დადგენილია, რომ მოქმედი სატარიფო და არასატარიფო მექანიზმები საჭიროებენ სრულყოფას;

✓ შესწავლილია აგრარული ფირმების საექსპორტო საქმიანობის თანამედროვე მდგომარეობა, დადგენილია არსებული რესურსული პოტენციალის გამოყენების ხარისხი და შეფასებულია მათი საექსპორტო საქმიანობის განვითარების ტენდენციები;

✓ გამოვლენილია აგრარული ფირმების ექსპორტ-იმპორტის განვითარების პროცესებზე მოქმედი ფაქტორები და რანჟირებულია ისინი ამ პროცესებზე მოქმედების ხარისხის მიხედვით;

✓ შეფასებულია მოქმედი საბაჟო რეგულირების სისტემის სატარიფო და არასატარიფო მეთოდების გამოყენების ასპექტები და გამოკვეთილია მათი მნიშვნელობა აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის სტიმულირებაში;

✓ შემუშავებულია აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის ტარიფებით სტიმულირების მოდელი და მასტიმულირებელი ტარიფის ფაქტობრივი დონის გამომთვლელი ფორმულა;

✓ რეკომენდებულია „ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის ხელშემწყობი სატარიფო და არასატარიფო მეთოდების გამოყენების ოპტიმიზაციის პროცედურული სტრუქტურის ალგორითმი“.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომის თეორიული დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ქვეყნის აგრარული სფეროს საწარმოო ფირმების, ასევე შემოსავლების სამსახურის მიერ საბაჟო საქმიანობის ოპერატიული მართვის პროცესში. დისერტაციის ცალკეული დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო კურსებში, ისეთებში, როგორცაა აგრარული ფირმის ეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, აგრობიზნესის მენეჯმენტი, აგრომარკეტინგი და სხვა დისციპლინებში, რომლებშიც განიხილება აგრარული საწარმოს საექსპორტო საქმიანობის პრობლემები. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური სპეციალობის კადრების სასწავლო პროგრამებში, რომლებშიც საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის პრობლემებისა და მათი რეგულირების მექანიზმების სწავლებას. ნაშრომში

ჩამოყალიბებული რეკომენდაციები დახმარებას გაუწევს აგრარული სექტორის რეფორმირებითა და ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემებით დაინტერესებულ მკვლევარებსა და ექსპერტებს, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ სპეციალისტებს და, რაც მთავარია, აგრარულ ფირმებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტით.

კვლევის შედეგების აპრობაცია. სადისერტაციო კვლევის ძირითადი დებულებები და დასკვნები წარდგენილი იყო საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებში, კოლოკვიუმებში, აგრეთვე მოხსენდა ქვეყნის სამეურნეო სუბიექტების საექსპორტო საქმიანობის რეგულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისადმი მიძღვნილ სემინარებზე, აისახა ავტორის სამეცნიერო შრომებსა და სტატიებში.

პუბლიკაციები. სადისერტაციო თემის გარშემო გამოქვეყნებულია 5 ნაშრომი საერთო მოცულობით 51 ნაბეჭდი გვერდი: **1)** ერაძე კ., ცაგარეიშვილი პ., „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა და მისი დადასტურება“, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გადასახადები“, თბილისი, 2008; **2)** ცაგარეიშვილი პ., „საგარეო ვაჭრობის ისტორიული მიმოხილვა“, სამეცნიერო შრომების კრებული, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტი, თბილისი, 2010; **3)** ერაძე კ., ცაგარეიშვილი პ. სტატია „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი, რეგიონული ინიციატივების მხარდაჭერის ფონდი და გამომცემლობა „ინოვაცია“, ქუთაისი, 2010; **4)** ცაგარეიშვილი პ., „საგარეო ვაჭრობის რეგულირების საერთაშორისო მექანიზმები და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, თემაზე: „პოსტკრიზისული ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმები“, სოხუმის სახელმწიფო

უნივერსიტეტი, თბილისი, 2011; 5) ცაგარეიშვილი პ., „ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების სტიმულირების ფორმები და მეთოდები“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულიკონფერენცია თემაზე: „ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემები: რეალობა და პერსპექტივები“, ქუთაისის უნივერსიტეტი და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, ქუთაისი, 2012.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 167 ნაბეჭდ გვერდს. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან, 94 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სიისა და დანართებისაგან.

თავი I. აგრარული სამეურნეო სუბიექტების საექსპორტო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. სამეურნეო სუბიექტების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების არსი და მნიშვნელობა

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოთა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროები შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობის გაძლიერებით ხასიათდება, რაც უფრო აქტუალურს ხდის ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების მექანიზმების სრულყოფის აუცილებლობას.

ქართული სახელმწიფოს ძირითად ამოცანად გვევლინება საექსპორტო საქმიანობისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა პროტექციონისტული ღონისძიებების მთელი კომპლექსის გატარებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე მსოფლიოში მიღებულ თამაშის წესებს, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია განაპირობებს საგარეო ვაჭრობის, კაპიტალის მოძრაობისა და სავალუტო - ფინანსური ურთიერთობების ლიბერალიზაციის აუცილებლობას.

ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირება, იმ მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ექსპორტის განვითარებას და პასუხობს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელ კანონებს.

ეკონომიკის რეგულირების პრობლემა მუდამ იყო ქვეყნების საზრუნავი. შედეგად ყალიბდებოდა შესაბამისი თეორიული საფუძვლები, რომელთა ნაწილს მიზანშეწონილად, ხოლო ნაწილს დაუშვებლად მიაჩნდა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკის ფუნქციონირებაში. კითხვაზე ჩაერიოს თუ არა სახელმწიფო

ეკონომიკაში, კომპეტენტური პასუხის გასაცემად ათვლის წერტილად მიჩნეულია მე-17 საუკუნე. ამ პერიოდში ბატონობდა ეკონომიკის ორი ძირითადი თეორიული მიმართულება: მერკანტილიზმი და ფიზიოკრატია.

მერკანტილიზმი ინგლისში წარმოიშვა, რადგან ეს ქვეყანა კაპიტალიზმის გზას ყველაზე ადრე დაადგა^[1]. განასხვავებენ ადრინდელ და გვიანდელ მერკანტილიზმს. ადრინდელი მერკანტილიზმი ჩამოყალიბდა XV-XVI საუკუნეებში, ხოლო გვიანდელ მერკანტილიზმს (თ.მენი, ა.მონკრეტიენი, ჯ.ლოკი) საფუძველი ჩაეყარა XVII-XVIII საუკუნეებში. აღნიშნულ მიმართულებებს შორის განსხვავება ისაა, რომ პირველი სიმდიდრეს ოქრო-ვერცხლთან აიგივებდა, სიმდიდრის მთავარ წყაროდ ფასეულობათა ფლობა (ოქრო, ვერცხლი) მიაჩნდა და შესაბამისად კრძალავდა ძვირფასი ლითონების უცხოეთში გატანას. ადრინდელ მერკანტილიზმს ფულის ფუნქციები მხოლოდ დაგროვების დონემდე დაჰყავდა. გვიანდელი მერკანტილიზმი კი სიმდიდრედ ზედმეტ პროდუქციას მიიჩნევდა, რომელიც უცხოეთის ბაზარზე ფულის ფორმას მიიღებდა. გვიანდელი მერკანტილიზმი ფულის ფუნქციას ხედავდა არა მარტო დაგროვების, არამედ მიმოქცევის საშუალებაშიც. მისმა წარმომადგენლებმა პირველად გამოიყენეს აქტიური და პასიური სავაჭრო ბალანსის ცნებები. ისინი თვლიდნენ, რომ დადებითი სალდოს მიღწევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ექსპორტის მოცულობა გადააჭარბებს იმპორტის მოცულობას, სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ადგილობრივ მეწარმეებს და კომერსანტ ექსპორტიორებს რათა მათ აწარმოონ ისეთი საქონელი, რომელიც არ ეღირება ძალიან ძვირი, მაგრამ ამავე დროს ექნება დამაკმაყოფილებელი სამომხმარებლო თვისებები. ამ მიზნით სახელმწიფო უნდა ზღუდავდეს მუშათა შრომის ანაზღაურებას და აკონტროლებდეს საექსპორტო პროდუქციის ხარისხს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ კონცეფციას აღმოაჩნდა უარყოფითი მხარეები: მერკანტილისტების აზრით, ვაჭრობისას ერთი მხარე ყოველთვის მოგებულა, ხოლო მეორე მხარე ყოველთვის წაგებული; ამასთან ცხადია, რომ თუ ყველა ქვეყანა ორიენტირებული იქნება ექსპორტის წახალისებასა და იმპორტის შეზღუდვაზე, მაშინ დროთა

¹ Mercantilism, Library of Economics and Liberty, 2005, <http://www.econlib.org/library/Enc/Mercantilism.html>.

განმავლობაში მყიდველები აღარ იარსებებენ და ვერ შედგება საგარეო ვაჭრობა, რაც დააზარალებს მსოფლიო ეკონომიკას.

მერკანტილისტებისაგან განსხვავებით **ფიზიოკრატები** (XVIII საუკუნის II ნახევარი) თვლიდნენ, რომ სიმდიდრის საფუძველს შეადგენს სოფლის მეურნეობა, მაშინ, როცა ეკონომიკისა და ვაჭრობის სხვა დარგები მხოლოდ გადაანაწილებს დამატებით ღირებულებას, მოპოვებულს სასოფლო-სამეურნეო შრომით და მიღებულს მიწიდან^[2]. ფიზიოკრატული სკოლის წარმომადგენლებს შორის ყველაზე დიდი როლი შეასრულეს: ფრანგმა დე გურნემ, რომელმაც გაახმაურა ეკონომიკური ლიბერალიზმის მთავარი პრინციპი „დაე, ყველაფერი წავიდეს ისე, როგორც მიდის“, ე.ი. სახელმწიფოს ჩარევის გარეშე და პირველი დარგთაშორისი ბალანსის ავტორმა ფ. კენემ, რომელიც ბერძენი ფილოსოფოსის - ქსენოფონტეს მსგავსად, თვლიდა, რომ სოფლის მეურნეობა აღიარებულ უნდა იქნეს განსაკუთრებულ დარგად, რადგან მის გარეშე საიმედო, მდგრადი ეკონომიკის აშენებას ნებისმიერი ქვეყანა საერთოდ ვერ შეძლებს. კენესაგან განსხვავებით, ვერსან დე გურნეს, ქვეყნის აყვავების მთავარ წყაროდ ვაჭრობა და მრეწველობა მიაჩნდა. გურნეს აზრს იზიარებს კონდილიაკი, რომელმაც თავის 1776 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ვაჭრობა და მთავრობა, განხილული მათ ურთიერთდამოკიდებულებაში“, გამოთქვა მოსაზრება, რომ გაცვლის დროს თითქოს ერთი მხარე ნაკლებ ღირებულებას აძლევს მეორე მხარეს და ერთ-ერთი წაგებული რჩება. სინამდვილეში ორივე მხარე იგებს, რადგან თავისთვის ნაკლებად საჭირო ნივთს ცვლის უფრო მნიშვნელოვან ნივთში, ამდენად ვაჭრობა მწარმოებლურია და მისაღებია ნებისმიერ დარგში და არა მხოლოდ მიწათმოქმედების დარგში. კონდილიაკი და გურნემ ხაზი გაუსვეს ფიზიოკრატის უარყოფით მხარეს, რომ ვაჭრობა მომგებიანია არა მხოლოდ მიწათმოქმედების, არამედ ნებისმიერ სხვა დარგში.

აბსოლუტური უპირატესობის თეორია. მე-18 საუკუნის ეკონომიკა, თავისი შრომებით დააგვირგვინა კლასიკური ეკონომიკური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ა. სმიტმა, რომელმაც განსაზღვრა ეკონომიკის განვითარება მე-19

² Physiocracy, <http://en.wikipedia.org/wiki/Physiocracy>.

საუკუნეში. სმიტმა გააკრიტიკა მერკანტილისტური თეორია და განაცხადა, რომ ქვეყნის რეალური სიმდიდრე შედგება წარმოებული საქონლისა და მომსახურებისაგან^[3]. მართალია, მან ბევრი რამ აიღო ფიზიოკრატებისგან, მაგრამ იგი სიმდიდრის წყაროდ თვლიდა არა მარტო სამიწათმოქმედო, არამედ ნებისმიერ შრომას. ფაქტობრივად, სმიტი ღირებულების შრომითი თეორიის ფუძემდებელია, რომლის თანახმადაც საქონლის ღირებულება განისაზღვრება ძირითადად მის შექმნაზე გაწეული შრომით. სმიტმა ჩამოაყალიბა „აბსოლუტური უპირატესობის თეორია“ და ხაზი გაუსვა, რომ ცალკეულ ქვეყანას კონკრეტული საქონლის ეფექტურად წარმოება შეუძლია. სმიტის განსხვავებული შეხედულება ქვეყნის სიმდიდრის წყაროს შესახებ იმ დროისთვის რევოლუციური იყო, რადგან მის წინამორბედებს მიაჩნდათ, რომ ყოველ გარიგებაში მხოლოდ ერთი მხარეა მოგებული, მეორე კი აუცილებლად წაგებული. სმიტმა თავისი თეორიით განავითარა კონდილკის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თავისუფალი გაცვლის შემთხვევაში, როცა თითოეული სუბიექტი პარტნიორის არჩევისა და ფასის დადგენაში შეუზღუდავია, გარიგება სასარგებლოა ყველა მონაწილისათვის. იგი თვლიდა, რომ სახელმწიფო, საგარეო ვაჭრობაში საერთოდ არ უნდა ჩაერიოს. სმიტის კრიტიკოსებმა, მის კონცეფციას აღმოუჩინეს უარყოფითი მხარეები, რადგან იგი ეფუძნება დაშვებებს, რომლებსაც ყოველთვის ადგილი არა აქვს რეალობაში – საგარეო ვაჭრობის თავისუფლება, ეკონომიკის სრული მუშაობა, წარმოების მხოლოდ ერთი ფაქტორის-შრომის არსებობა, სავაჭრო ურთიერთობებში მხოლოდ ორი ქვეყნის მონაწილეობა, მხოლოდ ორი საქონლის წარმოება და გაცვლა, ქვეყნები სპეციალიზდებიან მხოლოდ ერთი საქონლის წარმოებაზე და ა.შ. სმიტი არ ითვალისწინებდა აგრეთვე საქონლის განვითარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და სხვ. იგი თავისი თეორიით ასაბუთებდა, რომ ქვეყანა, რომელსაც არცერთი საქონლის წარმოებაში არ აქვს აბსოლუტური უპირატესობა, ვერ მიიღებს სარგებელს საგარეო ვაჭრობიდან.

³ ადამ სმიტი, „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1938.

აღნიშნული ხარვეზის გათვალისწინებით აბსოლუტური უპირატესობის თეორია სრულყო და განავითარა დ. რიკარდომ[4], რომელმაც ჩამოაყალიბა **შედარებითი უპირატესობის თეორია**. თავისი მთავარი ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები“ რიკარდომ მიუძღვნა იმ საკითხის გამოკვლევას, თუ როგორ მოქმედებს წარმოების ზრდაზე, მიღებული შემოსავლის განაწილება რენტის, მოგებისა და ხელფასის სახით. რიკარდომ გაავრცელა ა.სმიტის „უხილავი ხელის“ პრინციპი საერთაშორისო ვაჭრობაზე და ჩამოაყალიბა „შედარებითი უპირატესობების თეორია“, რომლის მიხედვითაც, შეიძლება ქვეყანა ვერ აწარმოებდეს A საქონელს მეორე ქვეყანასთან შედარებით უფრო ბევრს (არ ფლობდეს აბსოლუტურ უპირატესობას), მაგრამ თუ იგი A საქონელს B საქონელთან შედარებით უფრო იაფად აწარმოებს, ვიდრე მეორე ქვეყანა, იგი ფლობს შედარებით უპირატესობას და მაშინ შესაძლებელია საგარეო ვაჭრობამ სარგებლობა მოუტანოს ორივე ქვეყანას. დ.რიკარდოს კონცეფციის ძირითადი პრინციპები მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნები სპეციალიზდებიან იმ საქონლის შექმნასა და გატანაზე, რომლებსაც ისინი აწარმოებენ ნაკლები დანახარჯებით (იგულისხმება შრომის ერთეული) და დასაბუთებულია თავისუფალი ვაჭრობის მნიშვნელობა. რიკარდოს შედარებითი უპირატესობის თეორიაში არ იყო მოცემული შრომის მწარმოებლურობის განსხვავებების მიზეზების გაანალიზება, იგი განიხილავდა წარმოების მხოლოდ ერთი ფაქტორის არსებობას და სმიტის მსგავსად დაუშვებლად მიიჩნევდა საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფოს ჩარევას.

ჰექშერ-ოლინის თეორია. XX საუკუნის დასაწყისში შვედმა ეკონომისტებმა ელი ჰექშერმა და ბერტილ ოლინმა შექმნეს საერთაშორისო ვაჭრობის თავიანთი მოდელი - წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის თეორია[5]. ამ თეორიის ძირითადი დებულებები ფორმულირებულ იქნა ე. ჰექშერის მიერ მცირე მოცულობის საგაზეთო სტატიებში. შემდგომ ეს დებულებები განავითარა და განაზოგადა მისმა მოწაფემ ბ.

⁴ დევიდ რიკარდო, „პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები“, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1937.

⁵ The Heckscher-Ohlin Trade Model, <http://www2.econ.iastate.edu/classes/econ355/choi/ho.htm>

ოლინმა. იმ დროისთვის დიდი ცვლილებები განხორციელდა შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში და შესაბამისად საერთაშორისო ვაჭრობაში. მნიშვნელოვნად შემცირდა ბუნებრივი განსხვავებების, როგორც საერთაშორისო სპეციალიზაციის ფაქტორის როლი, ხოლო განვითარებული ქვეყნების ექსპორტში მნიშვნელოვნად იმატა სამრეწველო საქონლის წილმა. ჰექშერ-ოლინის თეორიის თანახმად ქვეყნები იმ საქონლის ექსპორტირებას ახდენენ, რომელთა წარმოებაში გამოიყენება წარმოების ჭარბი ფაქტორი. მართალია, იმ დროისთვის ცნობილი იყო წარმოების სამი ფაქტორი, შრომა მიწა და კაპიტალი, მაგრამ ჰექშერ-ოლინის თეორია ორფაქტორიანია, რამდენადაც მასში მხოლოდ შრომა და კაპიტალი ფიგურირებს. ერთი სახის საქონელი არის შრომატევადი, ხოლო მეორე - კაპიტალტევადი. სხვადასხვა ქვეყნებს სხვადასხვა სიდიდის შრომა და კაპიტალი გააჩნიათ. ქვეყანა, სადაც შრომითი რესურსები ჭარბადაა ხოლო კაპიტალის ნაკლებობაა, შრომა იქნება შედარებით იაფი, ხოლო კაპიტალი - ძვირი და პირიქით, ქვეყანაში სადაც კაპიტალი ჭარბადაა ხოლო შრომითი რესურსის ნაკლებობაა, კაპიტალი იქნება შედარებით იაფი და შრომითი რესურსი - ძვირი. ქვეყნები რა თქმა უნდა საექსპორტოდ გაიტანენ საქონელს, რომლის წარმოებაც შედარებით იაფი უჯდებათ. ჰექშერ-ოლინის თეორიის თანახმად გამოდის, რომ ქვეყანა იმ საქონლის ექსპორტს განახორციელებს, რომლის წარმოებისათვის მას გააჩნია წარმოების ჭარბი ფაქტორი, ხოლო იმ საქონლის იმპორტს განახორციელებს, რომლის წარმოებისათვის საჭირო ფაქტორების დეფიციტს განიცდის[6, 54-56].

1948 წელს ამერიკელმა ეკონომისტებმა **პ. სამუელსონმა და ვ. სტოლპერმა** ჰექშერ-ოლინის თეორია განავითარეს და დაასაბუთეს, რომ წარმოების ფაქტორთა ერთგვაროვნების, ტექნიკის იდენტურობის, სრულყოფილი კონკურენციისა და სრული მობილურობის შემთხვევაში საერთაშორისო გაცვლა ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორთა ფასს ათანაბრებს.

⁶ მესხია ი. „საერთაშორისო ვაჭრობა“, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011, 52-54 გვ.

ლეონტიევის პარადოქსი. მოცემული თეორიების განვითარების კვალობაზე, მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საერთაშორისო საქონელგაცვლის თეორიამ მნიშვნელოვანი კორექტივები განიცადა. ნობელის პრემიის ლაურეატმა, ამერიკელმა ეკონომისტმა ვ.ლეონტიევმა ჰექშერ-ოლინის თეორიის გამოყენებით გამოიკვლია აშშ-ს ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურა და მრავალი ექსპერტის გასაოცრად (ამიტომ ეწოდა მას „ლეონტიევის პარადოქსი“) სრულიად საპირისპირო სურათი გამოავლინა. კერძოდ, მან დაასაბუთა, რომ ომის შემდგომ პერიოდში ამერიკის ეკონომიკამ წარმოების იმ სახეებში მოახდინა სპეციალიზაცია, რომელიც კაპიტალთან შედარებით მეტ შრომას მოითხოვდა. ანუ, ამერიკის ექსპორტი, იმპორტთან შედარებით უფრო შრომატევადი და ნაკლებად კაპიტალტევადი გახდა. ამ პრობლემის კვლევით დასტურდება, რომ ეს პარადოქსი მოიხსნება, თუ საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურის ანალიზის დროს გათვალისწინებული იქნება წარმოების არა ორი ფაქტორი (როგორც ეს ჰექშერ-ოლინის თეორიით განიხილება), არამედ მრავალი ფაქტორი (ფინანსური და ადამიანური კაპიტალი, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის ხელსაყრელი მიწის სავარგულები და ა.შ.). ლეონტიევის სიახლემ ფართო რეზონანსი ჰპოვა, ამის შედეგად კი შედარებითი უპირატესობის თეორიამ შემდგომი განვითარება განიცადა. მან ტექნიკური პროგრესის არათანაბარი განაწილებისა და ქვეყნებს შორის განსხვავებული ანაზღაურების საკითხები მოიცვა. „ლეონტიევის პარადოქსი“-ს უარყოფით მომენტებზე ყურადღება გაამახვილა **ბ. მინხასმა**, თავის თეორიული გამოკვლევებში. კერძოდ, მინხასმა, თავისი გამოკვლევით, აჩვენა ლეონტიევის არაკორექტული მიდგომა როდესაც იგი აშშ-ს საექსპორტო ინდუსტრიას ადარებდა არა სხვა ქვეყნების საექსპორტო ინდუსტრიას, არამედ შიგა ამერიკულ საწარმოებს, რომლებიც წარმოადგენენ იმ უცხოური საწარმოების კონკურენტებს, რომლებიც ახორციელებენ აშშ-ში პროდუქციის იმპორტს^[7]. მინხასის აზრით არსებობს შეუსაბამობა სხვადასხვა ქვეყნების შრომისა და კაპიტალის ფასების შედარებისას. ამიტომ, ერთი და იგივე

⁷ Minhas B.S., Review of „An International Comparison of Factor Costs and Factor Use“, American Economic Review, 2000 - <http://www.wassily.leontief.net/PDF/Duchin.pdf>.

საქონელი აშშ-ში შეიძლება იყოს შრომატევადი და ინდოეთში კაპიტალტევადი. მინხასმა მოახდინა მხოლოდ ვ. ლეონტიევის თეორიის კრიტიკული შეფასება (მას საკუთარი, ჩამოყალიბებული თეორია არ წარმოუდგენია).

საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემათა შესწავლისას ფართოდაა გამოყენებული **მულტიპლიკატორის თეორია**. XX საუკუნის 20-იან წლებში განვითარებულმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა წარმოშვა ახალი თეორიული მიდგომისა და მოდელების საჭიროება. ამ თვალსაზრისით გამოსარჩევია გასული საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომისტის, ჯ. მ. კეინზის მიერ შემოთავაზებული კარდინალურად ახალი კონცეფცია^[8]. კეინზმა თავის ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ შემოიღო მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების ცნება და თეორიულად დააფუძნა „შემოსავლების გამრავლებისა“ მულტიპლიკაციური ეფექტი. ამ თეორიის თანახმად, **საგარეო ვაჭრობის გააქტიურებით (კერძოდ, ექსპორტით)** მიღებული ეფექტი ეროვნული შემოსავლის ზრდაში, დასაქმების გადიდებაში, ინვესტიციურ აქტიურობასა და მოხმარებაში აისახება, რომელიც ყველა ქვეყნისთვის გარკვეული ოდენობით განისაზღვრება და კონკრეტული კოეფიციენტით – მულტიპლიკატორით გამოითვლება. მულტიპლიკატორი რთული წრიული სახის ჯაჭვური რეაქციაა, რომლითაც მტკიცდება, რომ ერთი ეკონომიკური სიდიდის ცვლილება სხვა მაჩვენებლის ცვლილებას იწვევს. ფაქტობრივად, კეინზის თეორიამ დასაქმება, ბანკის პროცენტი, დანაზოგი და მშპ-ს დონე დააკავშირა ერთიან მოდელად. აღწერა რა კრიზისის წარმოშობისა და გამდაფრების მიზეზები, კეინზმა შემოგვთავაზა ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ახალი, რევოლუციური მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებაზე. აღსანიშნავია, რომ კეინზიანელთა და ნეოკეინზიანელთა აზრით, სახელმწიფოს შეუძლია და კიდევაც უნდა შეასრულოს აქტიური როლი ეკონომიკის სტაბილიზაციაში.

კონკურენტულ უპირატესობათა თეორია (პორტერის ალმასი). წარმოების ფაქტორების ეფექტიანი გამოყენების საკითხს მიემდვნა ამერიკელი პროფესორის

⁸ ჯონ მეინარდ კეინზი, „დასაქმების, პროცენტის და ფულის ზოგადი თეორია“, 1948.

მაიკლ პორტერის „კონკურენტულ უპირატესობათა თეორია“^[9]. XX საუკუნის მეორე ნახევარში მ. პორტერმა შეისწავლა 10 ქვეყნის 100-ზე მეტი დარგი და ქვედარგი, თავის წიგნში „საერთაშორისო კონკურენცია“ მოახდინა მათი ანალიზი და გააკეთა დასკვნა, რომ ეროვნული ფირმების ამ დარგებსა და ქვედარგებში მოქმედი საერთაშორისო კონკურენტული უპირატესობანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მაკროგარემოში ხორციელდება მათი საქმიანობა საკუთარ ქვეყანაში. მაკროგარემო განისაზღვრება არა მარტო წარმოების ფაქტორებით, არამედ შიგა ბაზარზე მოთხოვნის ხასიათით, მონათესავე და მომიჯნავე დარგების განვითარებით, ქვეყანაში მენეჯმენტისა და კონკურენციის დონით, აგრეთვე მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკითა და შემთხვევითი მოვლენებითაც. ამ კომპონენტთა შეხამება, რომელთაც პორტერი დეტერმინანტებს უწოდებს, განსაზღვრავს ფირმების, ქვედარგებისა და ქვეყნების კონკურენტულ უპირატესობებს მსოფლიო ბაზარზე.

პორტერის თეორია აღიარებულია როგორც საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის პრობლემისადმი ყველაზე თანამედროვე მიდგომა.

კრუგმანის ახალი თეორია (მასშტაბის ეფექტის თეორია). პოლ კრუგმანმა შეიმუშავა საერთაშორისო ვაჭრობისადმი ახლებური მიდგომა^[10], რომელიც ეფუძნება ე.წ. მასშტაბის ეფექტს. ეს თეორია წარმოიშვა ჰექშერ-ოლინის თეორიის კრიტიკის ბაზაზე. ამოსავალს წარმოადგენს დაშვება იმისა, რომ განვითარებულ ქვეყნებს გააჩნიათ წარმოების ფაქტორები თანაბარი პროპორციით. ამიტომ მათ შორის ვაჭრობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ ისინი დასპეციალდებიან სხვადასხვა დარგების პროდუქციის წარმოებაზე, რაც მასიური წარმოების შედეგად უზრუნველყოფს დანახარჯების შემცირებას. ამ შემთხვევაში სპეციალიზაცია იძლევა საშუალებას გაფართოვდეს წარმოების მოცულობა, პროდუქცია გამოშვებულ იქნას მინიმალური დანახარჯებით და შესაბამისად, დაბალი ფასით. იმისათვის, რომ ეს მასობრივი წარმოების ეფექტი იქნას რეალიზებული, საჭიროა საკმაოდ ტევადი

⁹ Porter, M.E. (2008) "The Five Competitive Forces That Shape Strategy", Harvard Business Review, January 2008.

¹⁰ Paul Robin Krugman: Rethinking International Trade. Cambridge, 1994.

ბაზარი, რაშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს საერთაშორისო ვაჭრობა, რამდენადაც, იგი იძლევა გასაღების ბაზრის გაფართოების საშუალებას. როგორც ყველა ზემოთგანხილულ თეორიას, მასშტაბის ეფექტის თეორიასაც გააჩნია ნაკლოვანებები[11,66-71]. იგი როგორც წესი, ხელს უწყობს მონოპოლიას, რამდენადაც დაკავშირებულია წარმოების კონცენტრაციასთან და ფირმების გამსხვილებასთან, რომლებიც შემდგომში ხდებიან მონოპოლისტები. შესაბამისად იცვლება ბაზრების სტრუქტურა, ისინი ხდებიან ან ოლიგოპოლიური, სადაც ვაჭრობა ხორციელდება ძირითადად ერთგვაროვანი საქონლით, ან მონოპოლისტური სადაც ვაჭრობას საფუძვლად უდევს მონოპოლისტური კონკურენცია.

აღნიშნული და სხვა თეორიების ასპექტები, საბაზრო ურთიერთობების განვითარების შესაბამისად, სხვადასხვა პერიოდში გამოიყენებოდა ქვეყნების საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ეკონომიკურ პოლიტიკასა და რეგულირების პრაქტიკაში. მათი შესწავლა და გააზრება საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს საქართველოს თანამედროვე საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და დასახულ იქნეს მისი შემდგომი სრულყოფის მიმართულებები. როგორც ვნახეთ, ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინზი იყო პირველი, ვინც ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის რაციონალური ახსნა მოგვცა. 1933 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი „გზა აყვავებისკენ“, სადაც ის ხელისუფლებას სთავაზობდა კრიზისიდან გამოსვლის წინადადებებს, რომელიც მოიცავდა ინვესტიციების ზრდას, სამუშაო ადგილების შესაქმნელად. მანვე შეიმუშავა კრიზისის დაძლევის სპეციალური პროგრამა, რომლის განხორციელებაშიც მთავარი როლი მთავრობას დააკისრა. მისი აზრით, სწორედ მთავრობა იყო ვალდებული, ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით შებრძოლებოდა ეკონომიკურ კრიზისს, რადგან ბაზრის მექანიზმები უძლური იყო, თვითონ დაერეგულირებინა იგი[12].

¹¹ მესხია ი. „საერთაშორისო ვაჭრობა“, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011, 66-71გვ.

¹² ჯონ მეინარდ კეინზი, „დასაქმების, პროცენტის და ფულის ზოგადი თეორია“, 1948.

იმის მიხედვით, ზღუდავს თუ ახალისებს საგარეო ვაჭრობას, განარჩევენ სახელმწიფო რეგულირების ორ ურთიერთსაპირისპირო ფორმას, პროტექციონიზმი და თავისუფალი ვაჭრობა. პირველი გულისხმობს იმპორტის შეზღუდვას სამამულო წარმოების სტიმულირების მიზნით, ხოლო მეორე ფორმის მიხედვით ქვეყნები ერთმნეთთან ყველგვრი აკრძალვებისა და შეზღუდვების გარეშე უნდა ვაჭრობდნენ. ქვეყნისთვის რომელია უფრო ხელსაყრელი? - ამ საკითხზე საზოგადოების აზრი ორად იყოფა, ერთი მხარე პროტექციონიზმს უჭერს მხარს, მეორე - თავისუფალ ვაჭრობას. თუ გადავხედავთ სტატისტიკას, საგარეო ვაჭრობის რეგულირებისადმი რომელი მიდგომა (თავისუფალი ვაჭრობა თუ პროტექციონიზმი) სჭარბობდა მსოფლიოში, გავაკეთებთ საინტერესო დასკვნას - თავისუფალ ვაჭრობას სიკეთე მოაქვს ქვეყნისთვის და ამასთანავე, ქვეყანამ ვაჭრობის შეზღუდვაც შეიძლება გამოიყენოს ეფექტურად. მაგალითად, მე-20 საუკუნის განმავლობაში, მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ხან ერთი სჭარბობდა, ხან მეორე. კერძოდ, 1930-1970 წლებში განმტკიცდა თავისუფალი ვაჭრობის ტენდენცია; 1970-ანი წლებიდან პროტექციონიზმი; 1980-ანი წლებიდან კვლავ ლიბერალიზმი; 2011 წლიდან - პროტექციონიზმი და ა.შ.[13, 229-234]. დღესდღეობით პროტექციონიზმი რჩება ერთ-ერთ მთავარ რეგულირების ფორმად, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების სამამულო წარმოების სტიმულირების საქმეში.

აგრარული საწარმოების სტიმულირების პროტექციონისტული პოლიტიკა ხორციელდება ორი გზით, რომლებსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ საშინაო პროტექციონიზმი და საგარეო პროტექციონიზმი. საშინაო პროტექციონიზმი გულისხმობს სამამულო აგრარული პროდუქტების წარმოების ხელშეწყობას ქვეყნის შიგნით. მაგალითად, აგრარული საწარმოების სუბსიდირებით ან ამ საწარმოებისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვებით [14, 5-35] და ა.შ. რაც შეეხება საგარეო პროტექციონიზმს, იგი გულისხმობს აგრარული საწარმოების

¹³ მესხია ი., „საერთაშორისო ვაჭრობა“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011, 229-234 გვ.

¹⁴ Академия наук СССР, цены кариталистического рынка продовольствия, Москва, 1989, 5-35 с.

სტიმულირებას საგარეო ვაჭრობის რეგულირების მექანიზმების გამოყენებით. აგრარული წარმოების სწორედ საგარეო პროტექციონიზმის მექანიზმებით რეგულირება, კერძოდ სატარიფო და არასატარიფო მექანიზმებით სტიმულირება წარმოადგენს ჩვენი კვლევის მიზანს.

ზემოთ ჩამოთვლილი თეორიების განხილვის მიზანია, მყარი პოზიციის ჩამოყალიბება სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარების სახელმწიფო რეგულირების მიზანშეწონილობის შესახებ. ამ დარგის პრობლემების კვლევასთან დაკავშირებული საკითხებით დაკავებული მეცნიერების დიდი ნაწილი თვლის, რომ ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში სახელმწიფო ნაკლებად უნდა ჩაერიოს ეკონომიკაში, მათ შორის საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობაში. ამავდროულად, ამ დარგის პრობლემების კვლევით დაკავებული სხვა ექსპერტების მხრიდან ისმის რეკომენდაციები, რომ სახელმწიფომ უნდა დააწესოს შეზღუდვები უცხოური სასოფლო სამეურნეო წარმოების პროდუქციის შემოდინებაზე. ჩვენი პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო აქტიურად უნდა აწარმოებდეს სასოფლო სამეურნეო წარმოების რეგულირებას როგორც ეკონომიკური, ასევე სამართლებრივი და ორგანიზაციული ინსტრუმენტებით და აგრარული ფირმების საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის სტიმულირებას. ამ ინსტრუმენტების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს აგრარული საწარმოების საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირება. ლოგიკურია, რომ სახელმწიფო რეგულირების ამ მექანიზმების ჩამოყალიბება განაპირობა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ. სახელმწიფოები, გააანალიზეს რა საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის უარყოფითი მხარეები, მივიდნენ ობიექტურ დასკვნამდე, რომ თავისუფალი ვაჭრობა ზოგ შემთხვევაში საფრთხეს უქმნის სამამულო წარმოებას და საჭიროა მისი რეგულირება, რათა ადგილი არ ჰქონდეს არაჯანსაღ კონკურენციას აგრარული პროდუქტების დემპინგური ან სუბსიდირებული ფასებით იმპორტის გამო.

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთელი რიგი მოდელები უარყოფენ სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში. მათ შორის ლიბერალური მოდელი,

რომლის საფუძველზეც ვითარდება საქართველოს ეკონომიკა. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობები აქტიურად ერევიან ეკონომიკაში, განსაკუთრებით აგრარულ ეკონომიკაში და ხელს უწყობენ საექსპორტო საქმიანობას. ეკონომიკური თეორიებიდან, სახელმწიფო რეგულირების საკითხებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ხაზგასასმელია კეინზიანიზმი, ვინაიდან ის იყო პირველი, ვინც ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის რაციონალური ახსნა მოგვცა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების პრაქტიკა, საბაზრო ურთიერთობების განვითარების სხვადასხვა პერიოდში, გამოიყენებოდა და დღესაც გამოიყენება ქვეყნების საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკაში. საინტერესოა აგრარული წარმოების რეგულირების თანამედროვე პრიორიტეტები აშშ-სა და ევროკავშირში, იმ თვალსაზრისით, რომ აგრარული წარმოების სტიმულირების ძირითადი ძალისხმევა გადატანილია ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოო სუბიექტებზე, მათი უპირატესად წახალისების მიზნით. რასაკვირველია ასეთი ტენდენციები არ გამოდგება თანამედროვე საქართველოსათვის, მისი სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარების მდგომარეობისა და საბიუჯეტო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაგრამ ეს ფაქტი იძლევა იმის მაგალითს, რომ სასოფლო-სამეურნეო სუბიექტების საექსპორტო საქმიანობა უნდა იყოს წახალისებული უპირატესად, რომლის მეშვეობით შესაძლებელია გავლენა მოვახდინოთ ადგილებზე, საკუთრივ სასურსათო პროდუქციის, წარმოების ზრდაზე. საჭიროა, რომ შევასდეს საქართველოს თანამედროვე საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და დასახულ იქნეს მისი შემდგომი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების ფორმირების გზები. ამ მექანიზმების ჩამოყალიბების პროცესი, ისეთი სახით როგორც დღეს იყენებენ მსოფლიოს ქვეყნები, შეიძლება რამოდენიმე ეტაპად დავყოთ, რაც განხილული გვაქვს მომდევნო ქვეთავში.

1.2. აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის რეგულირების მექანიზმების განვითარების ძირითადი ეტაპები, ფორმები და მეთოდები

ვიდრე რეგულირების მექანიზმების განვითარების ეტაპებს განვიხილავთ, გვინდა აღვნიშნოთ ერთ - ერთი იმ გარემოებათაგანი, რომელიც ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობაზე. ეს არის ვალუტის კურსის ცვლილება. კერძოდ, კურსის გამყარებისას სარგებლობენ იმპორტიორები და ზარალდებიან ექსპორტიორები, ხოლო ვალუტის კურსის გაუფასურებისას სარგებლობენ ექსპორტიორები და ზარალდებიან იმპორტიორები. ანუ ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება გავლენას ახდენს საგარეო ვაჭრობის სალდოზე - მისი კურსის გაუფასურება სტიმულს აძლევს ექსპორტს და ზღუდავს იმპორტს, რის კვალობაზეც მცირდება პასიური სალდო (ან იზრდება აქტიური სალდო). ეროვნული ვალუტის კურსის გაზრდისას კი ადგილი აქვს საპირისპირო ზემოქმედებას - იზრდება იმპორტი და მცირდება ექსპორტი, რის შედეგადაც იზრდება პასიური სალდო (ან მცირდება აქტიური სალდო)[15, 232-236].

თანამედროვე, მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის რეგულირების მექანიზმების განვითარებაში, გამოყოფენ რამდენიმე ეტაპს:

პირველი ეტაპი მოიცავს მე-20 საუკუნის დასაწყისიდან II მსოფლიო ომამდე პერიოდს. ამ ეტაპზე იყო რამდენიმე მცდელობა, შექმნილიყო საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი მექანიზმი, რომლებიც ძირითადად წარუმატებელი აღმოჩნდა. აღნიშნული აიხსნება იმ პერიოდში ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ინტერესთა დაპირისპირებით, რაც შეუძლებელს ხდიდა კომპრომისის მისაღწევად საერთო ბაზის გამონახვას. მრავალმხრივი რეგულირების განვითარებას ცდილობდა ერთა ლიგა და მისი ეკონომიკური კომიტეტი, რომელთა მცდელობის

¹⁵ Салимжанов И.К., Цены и Ценообразование, издательство Финстатинформ, Москва, 1989, 232-236 с.

წარუმატებლობა იმ ეტაპზე ნაწილობრივ კომპენსირდებოდა კარტელებისა და საერთაშორისო ფირმათა დონეზე შეთანხმებების განვითარებით^[16].

მექანიზმების განვითარების მეორე ეტაპი შეიძლება ვუწოდოთ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩამოყალიბებამდე პერიოდს, ვინაიდან, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების მრავალმხრივ დონეზე შეთანხმებული წესების მიღებისა და ამოქმედების პირველი წარმატებული მცდელობა სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში განხორციელდა. ამ ძალისხმევის შედეგი იყო გენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფებზე - GATT, რომელიც 1948-1994 წლებში არეგულირებდა საქონლით საერთაშორისო ვაჭრობას. წლების განმავლობაში GATT-ის ტექსტი განიცდიდა ცვლილებას მასში ახალი დადგენილებების შეტანის, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო პრობლემების მოგვარების მიზნით. ამასთან ერთად, მიღებული იქნა მთელი რიგი დამხმარე შეთანხმებები, რომელიც დეტალურად განმარტავს და განავრცობს GATT-ის ძირითად დებულებებს. GATT-ის არსებობის პირველი წლები დაეთმო გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებებსა და სატარიფო შემცირებას. ტოკიოს რაუნდის მსვლელობაში (1973-1979) განხორციელდა სერიოზული ცვლილებები და დამატებები მოქმედ შეთანხმებებში, რაც მიმართული იყო არასამართლიანი ვაჭრობის წინააღმდეგ. ამის შედეგად ჩამოყალიბდა მთელი რიგი ახალი შეთანხმებები, რომლებიც „ტოკიოს რაუნდის შეთანხმებების“ სახელითაა ცნობილი და მოიცავს სუბსიდიების, დემპინგის, სამთავრობო შესყიდვების, ვაჭრობაში არსებული ტექნიკური ბარიერების, საბაჟო ღირებულების განსაზღვრის, იმპორტის ლიცენზირების, რძისა და ხორცის პროდუქტებით ვაჭრობის საკითხებს. ეს შეთანხმებები ნებაყოფლობითი იყო იმ გაგებით, რომ GATT-ის წევრობის მიღწევისათვის არ იყო სავალდებულო მათი მიღება. თუმცა, ბევრმა ხელშემკვრელმა მხარემ ეს ვალდებულებები აიღო. GATT-ის არსებობის მანძილზე (1948-1994 წ.) ჩატარდა მრავალმხრივ სავაჭრო მოლაპარაკებათა რვა რაუნდი, რომელთა შედეგად

¹⁶ წყარო: საქართველოს სავაჭრო პოლიტიკისა და სამართლის საერთაშორისო ცენტრის (ICTPL Georgia) ოფიციალური ვებ-გვერდი www.ictplgeorgia.ge

შეთანხმებათა პაკეტი მნიშვნელოვნად გაფართოვდა ურუგვაის რაუნდზე, 1994 წელს [17,8].

GATT-ის წესები და მისი დამხმარე შეთანხმებები შესწორებული და განახლებული იქნა სავაჭრო მოლაპარაკებების ურუგვაის რაუნდში, რომელიც გაიმართა 1986-1994 წლებში. ურუგვაის რაუნდის მომზადებას 4 წელი დასჭირდა, ხოლო ჩატარებას – შვიდი. ეს რაუნდი შეიძლება განვიხილოთ როგორც უპრეცედენტო მოვლენა ვაჭრობისადმი მიძღვნილ საკითხებზე მოლაპარაკებათა შორის და შეიძლება ითქვას, საერთოდ ეკონომიკურ თემებზე მოლაპარაკებათა შორისაც – მან მოიცვა საკითხთა არნახულად ფართო სპექტრი.

რაუნდი იყოფა ხუთ პერიოდად, რომელთა დროს ჩატარდა მინისტრთა სამი კონფერენცია (პუნტა დელ-ესტე – 1986, მონრეალი – 1988 და ბრიუსელი – 1990), წარმოდგენილი იქნა წინასწარი შედეგების პირველი დამაკმაყოფილებელი პაკეტი (1991 წ.) და ხელი მოეწერა ვმო-ს შეთანხმებებს და ამ ორგანიზაციის დაარსების ხელშეკრულებას.

რაუნდის ერთ-ერთი მთავარი მიღწევა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO/ვმო) დაფუძნება. GATT-ი, რომლის ეგიდით დაწყებული იქნა ეს მოლაპარაკებები, გარდაიქმნა ვმო-დ, რომელიც ჩამოყალიბდა სრულფასოვანი დამოუკიდებელი ორგანიზაციის ფორმით. ამასთან GATT-ის პერიოდში დადებულმა ყველა შეთანხმებამ შეადგინა ვმო-ს სამართლებრივი საფუძველი.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო, WTO) შექმნა. ვმო-ს შექმნის შემდგომი პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს საგარეო ვაჭრობის რეგულირების მექანიზმების განვითარების ბოლო ეტაპად, რადგან ვმო-მ, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო გადასახადებით სატარიფო რეგულირების გარდა, ბევრი მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა არასატარიფო რეგულირების მიმართულებით, მათ შორის, ტექნიკური ბარიერების, იმპორტის ლიცენზირებისა და განსაკუთრებით **სოფლის მეურნეობის შესახებ შეთანხმებების სახით**. როდესაც ურუგვაის რაუნდის შედეგად ჩამოყალიბდა

¹⁷ ცაგარეიშვილი პ., სამეცნიერო შრომების კრებული, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტი, სტატია - „საგარეო ვაჭრობის ისტორიული მიმოხილვა“, 2010, 8გვ.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი საკუთარი სამართლებრივი ბაზით, ზემოაღნიშნულ შეთანხმებათა უმრავლესობა სავალდებულო გახდა და სრულყოფილად ამოქმედდა. ურუგვაის რაუნდზე მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული საქონლით ვაჭრობის მარეგულირებელი წესების დიდ რაოდენობასთან დაკავშირებით, მათ შორის მნიშვნელოვნად გაძლიერდა ე.წ. გამჭვირვალობის მოთხოვნა. მთელი რიგი დამატებითი შეთანხმებების საშუალებით, განიმარტა ის სპეციფიკური მუხლები ადრე მიღებულ ვალდებულებებში, რომლებიც ითვალისწინებდნენ საიმპორტო გადასახადებსა და მოსაკრებლებს, სახელმწიფო ვაჭრობას, საგადასახადო ბალანსს, საბაჟო კავშირებს და თავისუფალ ვაჭრობას და სხვა. ასევე, მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული დავების მოგვარების სავალდებულო პროცედურებთან და წევრი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის განხილვასთან დაკავშირებით[18].

GATT-ის ფორმატში არსებულმა საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებამ განიცადა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება:

- 2012 წლისათვის წევრების რაოდენობა გაიზარდა 157 ქვეყანამდე;
- წევრ ქვეყანათა ვაჭრობის ეროვნული წესები სულ უფრო მეტად შეესაბამებოდა ვმო-ს ნორმებს, პრინციპებსა და ამოცანებს;
- დროთა განმავლობაში განვითარებული ინსტიტუციონალური პრაქტიკა მნიშვნელოვნად განმტკიცდა ოფიციალური ადმინისტრაციული სტრუქტურის (ორგანიზაციის) დაარსებით;
- სხვადასხვა ცხრილები, კოდექსები და შეთანხმებები, რომლებიც დაემატა 1947 წლის GATT-ს ჰარმონიზებული იქნა ვმო-ს ერთიან სისტემაში და მისი განუყოფელი ნაწილი გახდა;
- მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია საქონელზე საიმპორტო ტარიფების შემცირებამ, ხოლო გლობალური სავაჭრო სისტემის მასშტაბები გაფართოვდა მასში

¹⁸ ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ 1994 წლის გენერალური შეთანხმება (General Agreement on Tariffs and Trade_GATT 1994).

ისეთი სფეროების ჩართვით, როგორცაა მომსახურება, ინვესტიცია, ინტელექტუალური საკუთრება, დავების მოგვარება;

- ეროვნული სავაჭრო წესების გამჭვირვალობა აღიარებულ იქნა როგორც სამართლიანი კონკურენციის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლის უზრუნველყოფისათვის ძალისხმევას ვმო-ს ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება;

- შეიქმნა დავების მოგვარების სავალდებულო მექანიზმი.

ვმო-მ გააგრძელა GATT-ის მიერ დაწყებული პოლიტიკა ბაზარზე დაშვების პირობათა ლიბერალიზაციის და ეკონომიკური დაპირისპირების ურთიერთშეთანხმებული დათმობების შეცვლის მიმართულებით. ამ თვალსაზრისით ვმო-მ ბევრი მნიშვნელოვანი და ახალი ფუნქციაც შეიძინა, მაგალითად სავაჭრო დავების მოგვარების მექანიზმების ჩათვლით.

ქვეთავის დასასრულს, შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს გაწევრიანებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ი.ხ. ქვეთავი 2.1.), უკვე მოჰყვა გარკვეული დადებითი ძვრები. კერძოდ, გაძლიერდა საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო სავაჭრო სისტემაში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევას როგორც საქართველოში, ასევე მთელს კავკასიის რეგიონში. საქართველოს გააჩნია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი წევრი ქვეყნების ბაზარზე. სხვა უპირატესობებთან ერთად, ეს გამოიხატება წევრი ქვეყნების მიერ საიმპორტო ტარიფების შემცირებაშიც. მოგვიანებით აშშ-მა საქართველოს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის (GSP) ბენეფიციარის სტატუსიც მიანიჭა (ი.ხ. ქვეთავი 2.2.). აღსანიშნავია, რომ 2002 წლიდან GSP-ს შეღავათები საქართველოზე გაავრცელეს ასევე პოლონეთმა და თურქეთმაც.

ამრიგად, საბაჟო გადასახადების შემცირება საქართველოში იმპორტირებულ ნახევარფაბრიკატებსა და ნედლეულზე ხელს უწყობს შიგა ინვესტირებისა და წარმოების ზრდას და ამასთან შესაძლებელს ხდის დაინერგოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მსოფლიოში საუკეთესო ტექნოლოგიები. საქართველოს ვმო-ში გაწევრიანება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აგრეთვე პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების მოზიდვას. საქართველოს ინტერესები საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში დაცულია ვმო-ს დავების მოგვარების მრავალმხრივი მექანიზმებით. როგორც ვმო-ს სრულუფლებიანმა წევრმა ჩვენმა ქვეყანამ მიიღო უფლება აწარმოოს ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებები ვმო-ში შემსვლელ ქვეყნებთან ქართული პროდუქციის მათ ბაზრებზე დაშვების ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფისათვის. საქართველომ მიიღო საშუალება აქტიურად ჩაერთოს მრავალმხრივ მოლაპარაკებათა ახალ ე.წ. „განვითარების რაუნდში“, რათა უკეთ წარმოაჩინოს და დაიცვას თავისი ეკონომიკური ინტერესები.

1.3. სატარიფო და არასატარიფო ინსტრუმენტები აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის რეგულირების მექანიზმის სისტემაში

ქვეყანაში ძლიერი ეკონომიკის არსებობისთვის მნიშვნელოვანი, სამამულო აგრარული წარმოებისა და საექსპორტო საქმიანობის სტიმულირების ყველაზე დიდი ხელშემწყობი ფაქტორი (ბუნებრივ-კლიმატურ პირობებსა და წარმოების ტექნოლოგიებთან ერთად), არის ეფექტური საბაჟო სისტემა. საერთაშორისო პრაქტიკისა და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, თანამედროვე საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებს ისეთ საბაჟო პოლიტიკას, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს ეროვნული აგრარული წარმოების ზრდას და საექსპორტო საქმიანობის სტიმულირებას, მაგრამ ამავე დროს არ ზღუდავს ისეთი პროდუქტების იმპორტს, რომლის ადგილობრივ წარმოებასაც არ ძალუძს ბაზრის გაჯერება. საბაჟო პოლიტიკის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო რეგულირება.

საგარეო ვაჭრობის რეგულირების მექანიზმები. როგორც 1.2 ქვეთავში აღინიშნა, რეგულირების სრულყოფის კვალობაზე საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა მექანიზმები, რომლებიც ქვეყანებს, ექსპორტ-იმპორტის ნაკადების „მართვის“ საშუალებას აძლევენ. განვიხილოთ საგარეო ვაჭრობის რეგულირების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ეფექტური ინსტრუმენტთა ნაკრები.

ცნობილია, რომ საგარეო-სავაჭრო სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება ძირითადად სატარიფო და არასატარიფო მეთოდებით (იხ. ცხრილი №1.3.1). ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილი მეთოდები მიღებულია და გამოიყენება ქვეყნებს შორის საგარეო ვაჭრობის რეგულირებისათვის და როგორც კვლევის ობიექტი, ამ ინსტრუმენტების აღწერა აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს ჩვენი მიზნის მისაღწევად.

საგარეო ვაჭრობის რეგულირების ინსტრუმენტები

მეთოდი	ინსტრუმენტი	რეგულირების ობიექტი	
სატარიფო ღონისძიებები			
—	საბაჟო ტარიფი	--	იმპორტი
—	სატარიფო კვოტა	ექსპორტი	--
არასატარიფო ღონისძიებები			
რაოდენობრივი	კვოტირება	--	იმპორტი
	ლიცენზირება	--	იმპორტი
	ექსპორტის „ნებაყოფლობითი“ შეზღუდვა	ექსპორტი	--
ფარული	ტექნიკური და ადმინისტრაციული ბარიერები	--	იმპორტი
	ადგილობრივი კომპონენტების შემცველობის მოთხოვნა	--	იმპორტი
	სახელმწიფო შესყიდვები	--	იმპორტი
	შიგა გადასახდელები და მოსაკრებლები	--	იმპორტი
ფინანსური	სუბსიდიები	ექსპორტი	--
	დაკრედიტება	ექსპორტი	--
	დემპინგი	ექსპორტი	--

სატარიფო ღონისძიებები:

ა) საბაჟო ტარიფი. როგორც ცნობილია, საბაჟო ტარიფები წარმოადგენს ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის რეგულირების ძირითად ინსტრუმენტს. იგი არის საბაჟო გადასახადის განაკვეთების ნაკრები (სისტემა), რომლითაც უნდა დაიხვეწოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ესა თუ ის საქონელი [19,238]. ანუ, საბაჟო ტარიფი - ეს არის გადასახადი, რომელიც წესდება საქონელზე, რომელიც გადაკვეთს ქვეყნის საზღვარს იმპორტის ან ექსპორტის სახით. საბაჟო ტარფის გამოყენება განპირობებულია რამოდენიმე მიზნით:

- ტარიფის დაწესება უზრუნველყოფს უცხოური კონკურენციისაგან ეროვნული წარმოების დაცვას (პროტექციონისტული) - ტარიფის დაწესებით

¹⁹ Волгина Н. А., Международная Экономика, Москва, 2006, 238 с.

უცხოური საქონელი ძვირდება ან/და ცოტა შემოდის ქვეყანაში, შესაბამისად ბაზარს იკავებს იგივე, ეროვნული წარმოების საქონელი და იყიდება შედარებით მაღალ ფასად;

- ბიუჯეტის შევსება - ტარიფი კარგი საშუალებაა სახელმწიფოს შემოსავლების გასაზრდელად;

- სავაჭრო ბალანსის დარეგულირება;

- სოციალური მიზანი - აძვირებს რა საქონელს, ტარიფს შეუძლია შეამციროს მოთხოვნა ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედ საქონელზე. მაგალითად სიგარეტზე ან სპირტიან სასმელებზე დაწესებული მაღალი ტარიფი განაპირობებს ფასების ზრდას ამ საქონელზე და შესაბამისად იზღუდება მისი მოხმარება.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიზნები, პირდაპირ თუ ირიბად, ერთდროულად მიიღწევა.

საბაჟო ტარიფი კლასიფიცირდება:

ა) რეჟიმების მიხედვით;

ბ) გაანგარიშების წესის მიხედვით;

გ) ხასიათის მიხედვით.

განვიხილოთ თითოეული მათგანი. კერძოდ,

ა) რეჟიმების მიხედვით არსებობს:

- *საიმპორტო ტარიფები*, ისინი ყველაზე ხშირად გამოიყენება და ამავე ქვეთავში, ოდნავ ქვემოთ, მათ არსს სკურპულოზურად განვიხილავთ;

- *სატრანზიტო ტარიფები* ქვეყნების უმრავლესობას, მათ შორის საქართველოს გაუქმებული აქვს. მისი არარსებობა სტიმულს აძლევს ტრანზიტულად გადამზიდავ კომპანიებს ისარგებლონ ამ ქვეყნების გზებით. ამ გადამზიდავთა მომსახურების მიზნით ქვეყანაში იხსნება სასტუმროები, კვების ობიექტები და სხვა დაკავშირებული სერვისები. ამ მომსახურებების არსებობით ქვეყანაში ვითარდება ინფრასტრუქტურა და რაც მთავარია, ბიუჯეტში, ირიბი არხებით, შედის თანხები (მოგების, ქონების ან საშემოსავლო გადასახადის სახით). შეიძლება ითქვას, რომ ტრანზიტზე გადასახადის არ არსებობით ქვეყანა ნახულობს

უფრო მეტ სარგებლობას, ვიდრე ამ გადასახადის არსებობით. შესაბამისად მის დაწესებას აზრი ეკარგება.

- *საექსპორტო ტარიფების* დაწესებას აქვს ორი მიზეზი:

1. ბიუჯეტის შევსება – თუ ქვეყანა მონოპოლისტია მსოფლიო ბაზარზე (მაგალითად, ბრაზილია მონოპოლისტია ყავის ბაზარზე, ტაილანდი - ბრინჯის ბაზარზე და სხვ.);

2. ნედლეულის გადინების ხელოვნური შეფერხება (მაგალითად დაუმუშავებელი ხე-ტყის გატანაზე დაწესებული გადასახადი ხელს უშლის ქვეყნიდან მის გადინებას, რაც სტიმულს უკარგავს ტყის საფარის განადგურებას).

- ბ) გაანგარიშების წესის მიხედვით არსებობს:

- *ადვალური ტარიფები*, რომელიც იანგარიშება როგორც ფიქსირებული პროცენტი საქონლის ერთეულის ღირებულებიდან;

- *სპეციფიკური ტარიფები*, რომლებიც იანგარიშება როგორც ფიქსირებული თანხა საქონლის ფიზიკურ ერთეულზე. მაგალითად, თუ ადვალური ტარიფის განაკვეთი არის 12%, ხოლო სპეციფიკური ტარიფის განაკვეთია 25 ლარი, მაშინ ადვალური წესით, ერთი ტონა შაქრის საიმპორტო ტარიფის გაანგარიშებისას, რომელიც 1000 ლარი ღირს, თითოეულ ტონა შაქარზე გადაიხდევენება 120 ლარი, ხოლო სპეციფიკური წესით, მიუხედავად შაქრის ღირებულებისა, ტონაზე გადაიხდევენება 25 ლარი;

- *შერეული (კომბინირებული) ტარიფები* წარმოადგენს ადვალური და სპეციფიკური ტარიფების კომბინაციას.

- გ) ხასიათის მიხედვით არსებობს:

- *სეზონური ტარიფი*, რომელიც წესდება ძირითადად სასოფლო სამეურნეო წარმოების პროდუქტებზე, ადგილობრივი მეურნეობის დაცვის მიზნით;

- *საკომპენსაციო ტარიფი*, რომელიც წესდება სუბსიდიის საპასუხოდ;

- *ანტიდემპინგური ტარიფი*, რომელიც წესდება დემპინგის საპასუხოდ.

ზოგადად, ტარიფი ამცირებს იმპორტის მოცულობას და ბაზარს აახლოვებს იმ წონასწორობასთან, რომელიც იქნებოდა ვაჭრობის არარსებობისას. იგი

სხვადასხვაგვარად მოქმედებს აგრარული პროდუქტების მომხმარებელთა და მწარმოებელთა ქცევაზე (ნახაზები №1.3.1 და №1.3.2).

საბაჟო ტარიფის გავლენა მომხმარებლებზე. ნახაზი №1.3.1 წარმოადგენს მოთხოვნისა და მიწოდების ამოსავალ სქემას, რომლის დახმარებითაც შეიძლება გამოვავლინოთ რაიმე საქონელზე, მაგალითად, სუფრის ყურძენზე ტარიფის დაწესების შედეგები მის მომხმარებელთათვის.


ტარიფი რომ არ იყოს დაწესებული, სუფრის ყურძნის იმპორტი განხორციელდებოდა თავისუფალი მსოფლიო ფასით - P დოლარად და როგორც საზღვარგარეთული ისე სამამულო სუფრის ყურძნის ფასი იქნებოდა P დოლარი. მომხმარებლები ამ ფასად სამამულო მწარმოებლებისაგან იყიდდნენ Q_1^S სუფრის ყურძენს, იმპორტი შეადგენდა $Q_1^D - Q_1^S$ კგ. სუფრის ყურძენს წელიწადში, მოხმარების საერთო დონე მიაღწევდა Q_1^D კილოგრამ სუფრის ყურძენამდე [20,75].

თუ გავითვალისწინებთ მოთხოვნის მრუდის არსს, შეიძლება გამოვთვალოთ რა სარგებლობას ნახულობს მომხმარებელი სუფრის ყურძნის ყიდვის შესაძლებლობით და როგორ ამცირებს ამ სარგებლობას ტარიფის შემოღება. ნახაზზე №1.3.1, მოთხოვნის მრუდიდან გამომდინარეობს, რომ თუ თავისუფალი ვაჭრობით ფასი P დოლარია, K წერტილში მოიძებნება მყიდველი, რომელიც თანახმა იქნება შეიძინოს კიდევ ერთი კილოგრამი სუფრის ყურძენი ამ ფასად. ამავე დროს ვიღაც დათანხმდება L წერტილში სუფრის ყურძენი იყიდოს P_1 დოლარად.

საბოლოოდ ამას მივყავართ მოხმარების მოცულობამდე, რომელიც ტოლია Q_2^D რაოდენობისა წელიწადში. ანალოგიურად, თუ რაღაც მიზეზით ამ ქვეყანაში შეუძლებელი აღმოჩნდებოდა სუფრის ყურძნის ყიდვა, მაშინ მოიძებნება მომხმარებელი, რომელიც მზად იქნება ერთ კილოგრამ სუფრის ყურძენში გადაიხადოს ძალზედ მაღალი ფასი, ვთქვათ M დოლარი.

²⁰ Peter H. Lindert, International Economics, 2008, 75გვ.

საიმპორტო ტარიფის გავლენა სუფრის ყურძნის მომხმარებლთა ქცევაზე



მოთხოვნის მრუდის ასეთი გააზრება შესაძლებლობას იძლევა ფულად გამოხატულებაში შევავასოთ მომხმარებელთა სარგებელი სუფრის ყურძნის შეძენის შესაძლებლობიდან. მსოფლიო ფასად (P დოლარად) სუფრის ყურძნის შეძენა იმ მომხმარებელს, რომელიც მზად იყო გადაეხადა M დოლარი, წლიურად დაუზოგავს $M - P$ დოლარს. M წერტილიდან K წერტილამდე მოთხოვნის მრუდზე შევამჩნევთ, რომ სხვა მომხმარებლებიც მოგებას ნახულობენ სუფრის ყურძნის უფრო იაფად შეძენის შესაძლებლობით. ამას მოწმობს ვერტიკალური სხვაობა მოთხოვნის მრუდის წერტილებსა და მსოფლიო ფასის ხაზს შორის.

ტარიფის არ არსებობისას, მოთხოვნის მრუდითა და მსოფლიო ფასის ხაზით შემოფარგლული სამკუთხედის ფართობი გვიჩვენებს სუფრის ყურძნის P ფასად შეძენით მოსალოდნელ დანაზოგს (მოგებას) მომხმარებელთათვის. **MPK** სამკუთხედი, რომელიც შეესაბამება მომხმარებლის მოგებას, არის იმის დაახლოებითი მნიშვნელობა, თუ რა უჯდება მომხმარებელს სუფრის ყურძნის ყიდვის შესაძლებლობა ტარიფის არარსებობის შემთხვევაში. შინაარსობრივად ეს მოგება წარმოადგენს სხვაობას იმ თანხას შორის, რომლის გადასახდელად მომხმარებელი მზად იყო და იმ ფასს შორის, რაც მან საქონლის შესაძენად რეალურად გადაიხადა.

12%-ანი ტარიფის დაწესების დროს, იზრდება სუფრის ყურძნის ღირებულება P_1 დოლარამდე და შესაბამისად მცირდება მომხმარებლის დანაზოგი. კერძოდ, ფასის P_1 დოლარამდე გაზრდით, ტარიფი, როგორც ეს №1.3.1 ნახაზიდან ჩანს, აიძულებს მომხმარებელთა ერთ ნაწილს 12%-ით მეტი გადაიხადონ თითოეულ კილოგრამ სუფრის ყურძენში რათა შეიძინონ იგივე Q_2^D რაოდენობა, რომელსაც ისინი შეიძენდნენ P დოლარად. სხვა მომხმარებლებს ტარიფი აიძულებს საერთოდ უარი თქვან სუფრის ყურძნის შეძენაზე, რომელიც მათი აზრით P_1 დოლარის გადახდად არ ღირს. შედეგად ერთობლივი მოთხოვნა ეცემა Q_1^D -დან Q_2^D კილოგრამამდე.

ამრიგად, ტარიფის შემოღების დანაკარგი, მომხმარებელთათვის წარმოქმნის $C+D+E+F$ ფიგურების ფართობების ჯამს. ეს არის მომხმარებელთა მოგების ის ნაწილი, რასაც ისინი კარგავენ სამომხმარებლო დანაზოგების შემცირების შედეგად **MPK**


სამკუთხედის ფართობის ტოლი სიდიდიდან MP_L სამკუთხედის ფართობის ტოლ სიდიდემდე.

ტარიფის შემოღებით მომხმარებლების დანაკარგების სიდიდე შეიძლება რაოდენობრივად შეფასდეს და იგი ზოგჯერ ძალზე მნიშვნელოვანია. ტარიფი იწვევს არა მარტო იმპორტირებული საქონლის, არამედ სამამულო საქონლის გაძვირებასაც. ტარიფის შემოღებისთანავე ცალკეული მომხმარებელი შესძლებს თავი აარიდოს გაძვირებული P_1 დოლარის გადახდას მოთხოვნის იმპორტული საქონლიდან სამამულოზე გადატანით. მაგრამ შიგა მიწოდება არ გაიზრდება წარმოების ხარჯების P დოლარზე ზევით გაზრდის გარეშე (სამამულო მწარმოებლებს არ დასჭირდებათ სატარიფო დაცვა). ამის გამო სამამულო წარმოების სუფრის ყურძნის გაყიდვა მიაღწევს Q_2^S რაოდენობას, რომლის დროსაც მათი ზღვრული ხარჯები და შესაბამისად მათი პროდუქციის ფასიც იმავე P_1 დოლარის ტოლია. მომხმარებელი ახლა უკვე იძულებულია ზედმეტი გადაიხადოს არა მხოლოდ იმპორტულ, არამედ სამამულო წარმოების სუფრის ყურძენშიც. $C+D+E+F$ ფიგურების ფართობების ჯამის გაზომვისათვის აუცილებელია ვიცოდეთ სუფრის ყურძნის ღირებულება ტარიფის ჩათვლით და ტარიფის ჩათვლელად, აგრეთვე რაოდენობა, რომელსაც მომხმარებლები შეიძენენ ტარიფის შემოღებამდე და შემოღების შემდეგ ($Q_1^D + Q_2^D$). თუ ეს სიდიდეები გვეცოდინება, შევძლებთ გამოვთვალოთ $C+D+E+F$ ფიგურების ფართობები. თუნდაც ზუსტად არ ვიცოდეთ მოთხოვნის მრუდის დახრის კუთხე, შესაძლებელია მივიღოთ სამომხმარებლო დანაკარგების სიდიდის დაახლოებითი შეფასება. იგი ტარიფის სიდიდისა (12%) და ამ დროს შეძენილი სუფრის ყურძნის Q_2^D სიდიდის ნამრავლზე მეტია და ნაკლებია ტარიფის შემოღებამდე შეძენილი სუფრის ყურძნის რაოდენობისა და ტარიფის სიდიდის ნამრავლზე.

საბაჟო ტარიფის გავლენა მწარმოებლებზე[21, 80]. ტარიფის დაწესებით, სამამულო მწარმოებლები სარგებელს ნახულობენ როგორც ვაჭრობის გაზრდიდან, ისე შემოღებული ტარიფის შედეგად საქონლის გაძვირებიდან (№1.3.2 ნახაზი).

²¹ Peter H. Lindert, International Economics, 2008, 80გვ.

საიმპორტო ტარიფის გავლენა სუფრის ყურძნის მწარმოებელთა ქცევაზე



ტარიფის შემოღებით მწარმოებელთა მოგება შეიძლება რაოდენობრივად შეფასდეს 1.3.2 ნახაზის დახმარებით. მასზე მოცემულია სუფრის ყურძნის ბაზრის იგივე სურათი, რაც 1.3.1 ნახაზზე, მაგრამ უკვე მწარმოებლების თვალსაზრისით დანახული. ტარიფი ზრდის სამამულო წარმოების სუფრის ყურძნის ფასს P -დან P_1 დოლარამდე. რა თქმა უნდა, სამამულო კომპანიები ამ ფაქტს უპასუხებენ სუფრის ყურძნის წარმოებისა და გაყიდვების ზრდით, მანამ, სანამ ეს მათთვის ხელსაყრელია (S_0 წერტილიდან S_1 წერტილამდე). ყოველი მომდევნო კილოგრამი სუფრის ყურძნის წარმოების ხარჯი, როგორც ეს მიწოდების მრუდიდან ჩანს, აღწევს საბაზრო ფასს ტარიფის ჩათვლით (P_1 დოლარს). საქონლის კიდევ უფრო დიდი ოდენობით წარმოება მათთვის ხელსაყრელი აღარ არის, რადგან ამ შემთხვევაში წარმოების ზღვრული ხარჯები გადააჭარბებს P_1 დოლარს, ანუ ფასს, რომელსაც ისინი იღებენ შიგა ბაზარზე ვაჭრობით უცხოელ მიმწოდებლებთან კონკურენციის შედეგად.

ტარიფის დაწესებამდე, მწარმოებელთა მოგება ტოლია მთლიან შემოსავალსა და წარმოების ხარჯებს შორის სხვაობისა [22,75]. 1.3.2 ნახაზზე ეს მოგება e სამკუთხედის ფართობის სახეს იღებს. იგი შემოფარგლულია მსოფლიო ფასის ხაზით, შიგა მიწოდების მრუდითა და ფასების ვერტიკალური ღერძით.

განვიხილოთ, მოცემულ ნახაზზე თუ როგორ არის წარმოდგენილი სამამულო მწარმოებლების ერთობლივი შემოსავალი. ეს შემოსავალი ეკვივალენტურია: $P * S_0$ სიდიდისა ტარიფის ჩათვლელად და $P_1 * S_1$ სიდიდისა ტარიფის ჩათვლით. აშკარაა, რომ ტარიფის შემოღებამ გაზარდა სამამულო მწარმოებელთა შემოსავალი მთლიანი გაყიდვებიდან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოგებად მთელი შემოსავალი არ ითვლება. ერთობლივი შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც მიწოდების მრუდის ქვემოთ არის, შეადგენს სუფრის ყურძნის წარმოების ცვლად ხარჯებს. მოგებად ითვლება მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია ამ მრუდის ზემოთ, მაგრამ ერთობლივი შემოსავლის ზონის ფარგლებში. ამრიგად, ტარიფი ზრდის სამამულო სუფრის ყურძნის მწარმოებლების დანაზოგს (მოგებას) მხოლოდ a ფიგურის ფართობის ტოლი სიდიდით.

²² Peter H. Lindert, International Economics, 2008, 75გვ.

ტარიფის შემოღებით სამამულო მწარმოებელთა შემოსავალი ვერ ფარავს მომხმარებელთა ხარჯებს. მიზეზი უბრალოა, მწარმოებლები ფასების გადიდების ხარჯზე უპირატესობას ღებულობენ მხოლოდ სამამულო საქონელთან მიმართებაში, მაშინ, როდესაც მომხმარებლები იძულებულნი არიან ერთნაირად მაღალი ფასი იხადონ როგორც სამამულო, ისე იმპორტულ საქონელში. №1.3.1 და №1.3.2 ნახაზები ამ ეფექტს სუფრის ყურძნის ბაზრის მაგალითზე გვიხსნის.

ამრიგად, ტარიფის შემოღებამ სუფრის ყურძნის მწარმოებლებს a ფართობის ტოლი სარგებელი მისცა, მაგრამ იგი მომხმარებლებს დაუჯდათ $a+b+c+d$ ფართობის ტოლ დანაკარგად. ნახულობს რა მეტ სარგებელს, მწარმოებელს უჩნდება სტიმული გააფართოვოს წარმოება.

ბ) *სატარიფო კვოტა*. რაც შეეხება სატარიფო კვოტას, იგი საგარეო ვაჭრობის რეგულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. მისი რეგულირების ობიექტია საქონლის იმპორტი და წარმოადგენს ქვეყანაში გარკვეული რაოდენობის ან დაბალი განაკვეთებით საქონლის შემოტანაზე ნებართვას. დადგენილი ლიმიტის ზემოთ შემოტანილი საქონელი იბეგრება საბაჟო ტარიფის ჩვეულებრივი განაკვეთით. სატარიფო კვოტა ხელსაყრელია ისეთი ქვეყნისთვის, რომელიც აწარმოებს მაგალითად შაქარს, მაგრამ შიგა მოხმარებისთვის არასაკმარისი რაოდენობით. ასეთ დროს, თუ ქვეყანას სურს ხელი შეუწყოს სამამულო შაქრის წარმოებას და ამავე დროს შაქრის შეძენის მსურველი მოსახლეობა არ დარჩეს მის გარეშე, სატარიფო კვოტას დააწესებს მაგალითად შემდეგნაირად: წელიწადში იმპორტირებულ, 100 000 კგ შაქარზე დააწესებს დაბალ საბაჟო ტარიფს, ხოლო ამ ლიმიტზე მეტი შემოტანილი შაქარი დაიბეგრება საბაჟო ტარიფის ჩვეულებრივი განაკვეთით. შედეგად მოცემული ქვეყნის ბაზარზე შაქარი (როგორც იმპორტირებული, ასევე სამამულო წარმოების) ყოველთვის იქნება და ეროვნული წარმოებაც არ შეიზღუდება.

არასატარიფო ღონისძიებები:

როგორც 1.3.1 ცხრილში აღინიშნა, განარჩევენ სამი სახის არასატარიფო ღონისძიებებს (ბარიერებს):

1. რაოდენობრივი არასატარიფო ბარიერები;

2. ფარული არასატარიფო ბარიერები;
3. ფინანსური არასატარიფო ბარიერები.


რაოდენობრივი არასატარიფო ბარიერები (ნახაზი №1.3.3)

ა) კვოტირება არის კონკრეტული ქვეყნიდან (ქვეყნებიდან) იმპორტირებული საქონლის ფიზიკური რაოდენობის შეზღუდვა დროის გარკვეულ პერიოდის განმავლობაში. მისი რეგულირების ობიექტია საქონლის იმპორტი. იგი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და გამჭვირვალე არასატარიფო შეზღუდვის სახეა.

ბ) ლიცენზიის დაწესებით იზღუდება ქვეყანაში საქონლის იმპორტიორთა რაოდენობა. არსებობს გენერალური და კონკრეტული ლიცენზია. გენერალური ლიცენზიით იმპორტიორს შეუძლია მაგალითად ერთ ჯერზე შემოიტანოს 12 000 ტონა შაქარი, რაც გამოიწვევს შაქრის სიჭარბეს (გაიაფებას) შემოტანისას, ხოლო წლის ბოლოს დეფიციტს (გაძვირებას). კონკრეტული ლიცენზიის დაწესების დროს იმპორტიორს შეუძლია 12 000 ტონა შაქრის შემოტანა იმ პირობით, თუ თვეში მხოლოდ 1000 ტონას შემოიტანს. ამ შემთხვევაში საქონლის რაოდენობა ნაწილდება თვეების მიხედვით და შესაბამისად ნარჩუნდება სტაბილური ფასები შაქარზე. ლიცენზიის დაწესებით ყველას შეუძლია ერთი და იგივე ან სხვადასხვა რაოდენობის შაქრის შემოტანა.

გ) ნებართვის დაწესებით, ლიცენზიისაგან განსხვავებით, იზღუდება ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის რაოდენობა (და არა იმპორტიორთა რაოდენობა). ლიცენზია და ნებართვა ნაკლებ გამჭვირვალეა, რადგან ხშირად ხელისუფლება არ აქვეყნებს ინფორმაციას ნებადართული შემოსატანი საქონლის რაოდენობისა და იმპორტიორების შესახებ, რაც ბუნებრივია იწვევს ექსპორტიორი ქვეყნების გაურკვევლობას.

რაოდენობრივი არასატარიფო ბარიერების სტრუქტურა




დ) ექსპორტის „ნებაყოფლობითი“ შეზღუდვა გულისხმობს ექსპორტიორი ქვეყნის მიერ განსაზღვრული რაოდენობის საქონლის ექსპორტის „ნებაყოფლობით“ შეზღუდვას დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. სიტყვა „ნებაყოფლობითი“ აღებულია ბრჭყალებში, რადგან სინამდვილეში ქვეყანა იძულებულია შეზღუდოს თავისი საქონლის ექსპორტი რომელიმე ქვეყანაში მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ემუქრება მას.

ფარული არასატარიფო ბარიერები (ნახაზი №1.3.4)

ა) ტექნიკური და ადმინისტრაციული ბარიერების გამოყენების შემთხვევები მრავლად გვხვდება მსოფლიოში. მაგალითად, ევროკავშირი ტექნიკური ბარიერებით ზღუდავს გენური ინჟინერიით დამზადებული კვების პროდუქტების შეტანას იმ მიზნით, რომ ისინი საფრთხეს შეუქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას. ადმინისტრაციული ბარიერები გულისხმობს გართულებულ საბაჟო პროცედურებს: რეგისტრაცია, სხვადასხვა დოკუმენტების შევსება და სხვ. მაგალითად, იტალიაში გამოიყენება იმპორტის გადასახდელის ოდენობის თანხის წინასწარ დადება გარანტიის სახით. ხშირად ეს დოკუმენტები აუცილებლად ქვეყნის ენაზე უნდა შეივსოს. ასეთი „საბანკო გარანტია“ საქართველოშიც იყო 2006-2008 წლებში. იგი ძირითადად ტრანზიტის შემთხვევაში იღებოდა და ქვეყნიდან გასვლისას ბრუნდებოდა უკან. არსებობდა საბანკო გარანტიის ალტერნატივა „რისკის დაზღვევის პოლისი“-ს სახით, აგრეთვე დეპოზიტი სახელმწიფო ხაზინაში. ამჟამად, ტრანზიტისას გარანტიის წარდგენა აღარ მოითხოვება[23]. საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ რთული გარკვევა იმისა, ტექნიკური და ადმინისტრაციული ბარიერებიდან რომელი იცავს ადგილობრივ მწარმოებლებს და რომელი მომხმარებლებს;

²³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №993 ბრძანება „საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და საქონლის გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, თავი V.

ფარული არასატარიოფო ბარიერების სტრუქტურა



აქვე ვხვდებით ისეთ საინტერესო მომენტს, როგორცაა **საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა**. იგი გულისხმობს წარმოშობის სერტიფიკატის წარდგენას იმის დასამტკიცებლად, რომ საქონელი წარმოშობილია კონკრეტულ ქვეყანაში. ძირითადად გამოიყენება საერთაშორისო დაჯგუფებაში გაერთიანებული, ორმხრივი ან მრვალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მიერ. მაგალითად, უკრაინული წარმოშობის სოფლის მეურნეობის პროდუქტების საქართველოში იმპორტისას, თუ წარდგენილია წარმოშობის სერტიფიკატი (ფორმა CT-1), ამ საქონელზე საბაჟო გადასახადი არ გადახდევინება;

ბ) დგილობრივი კომპონენტების შემცველობის მოთხოვნა გულისხმობს იმას, რომ ქვეყანა კრძალავს გარკვეული საქონლის იმპორტირებას თუ ამ საქონლის შემადგენელი დეტალების განსაზღვრული ნაწილი არ არის წარმოებული მოცემულ ქვეყანაში. მაგალითად აშშ არ ახდენს ავტომანქანის იმპორტირებას თუ მისი დეტალების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის დამზადებული აშშ-ში, ამიტომ იაპონია იძულებულია თავისი ავტომობილების დეტალების მნიშვნელოვანი ნაწილი დაამზადოს აშშ-ში. აღნიშნული მოთხოვნით აშშ ხელს უწყობს ქვეყანაში საავტომობილო დეტალების დამამზადებელი საწარმოების განვითარებას;

გ) სახელმწიფო შესყიდვები გულისხმობს მთავრობის ან სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ ეროვნული საქონლის ან/და მომსახურეობის შესყიდვას, რითაც ადგილობრივ მწარმოებლებს უქმნის შეღავათიან პირობებს, შესაბამისად ეროვნული წარმოების საქონელი ხდება კონკურენტუნარიანი. მაგალითად, აშშ-ში 1933 წლიდან მოქმედებს კანონი „იყიდე ამერიკული“. კანონის თანახმად თუ ადგილობრივი საქონლის ფასი არ აჭარბებს საზღვარგარეთული საქონლის/მომსახურეობის ფასს მისი 12%-ით (იარაღის შემთხვევაში 50%-ით), სახელმწიფო ორგანო ვალდებულია შეისყიდოს ადგილობრივი საქონელი/მომსახურეობა;

დ) შიგა გადასახდელები და მოსაკრებლებით რეგულირების დროს სახელმწიფო აწესებს სხვადასხვა სახის გადასახდელს ან/და მოსაკრებელს მხოლოდ იმპორტირებულ საქონელზე, რითაც ხელს უწყობს ეროვნულ წარმოებას. ზოგიერთი ქვეყანა ბეგრავს იმპორტირებულ საქონელს დღგ-ის 20%-იანი განაკვეთით ხოლო

ადგილობრივი წარმოების იგივე საქონელს 10%-იანი განაკვეთით. მაგალითად, რუსეთში ასეთი წესით იბეგრება რძე და რძის პროდუქტები, მარცვალი, პური და პურ-ფუნთუშეული, ბავშვთა კვების პროდუქტები, დიაბეტური კვების პროდუქტები და სხვ. გადასახდელი შეიძლება იყოს მოსაკრებელი რომელიც ძირითადად წესდება საბაჟო მომსახურების ასანაზღაურებლად, აგრეთვე სხვადასხვა სახის ოფიციალური ან არაოფიციალური გადასახდელები პროცედურებისათვის.

ზოგადად ფარული ბარიერების დაწესების ფორმალური მიზეზი შეიძლება იყოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, ქვეყნის ეკოლოგიური მდგომარეობის დაცვა და ა.შ. სინამდვილეში, ისინი გამოიყენება როგორც პროტექციონისტური ღონისძიება ეროვნული წარმოების სტიმულირებისათვის.

ფინანსური არასატარიოფო ბარიერები (ნახაზი №1.3.5)


მათი გამოყენების ძირითადი მიზანია ექსპორტის სტიმულირება საერთაშორისოდ აღიარებული სხვადასხვა ღონისძიებების გამოყენებით. კერძოდ,

ა) *სუბსიდია* არის სახელმწიფოს მიერ ფულადი დახმარება მისი უკან დაბრუნების ვალდებულების გარეშე. ძირითადად გაიღება ეროვნული წარმოების ხელშეწყობის მიზნით. სუბსიდია მწარმოებელს შესაძლებლობას აძლევს საქონელი გაყიდოს თვითღირებულებაზე იაფად, შესაბამისად ასეთ საქონელს გააჩნია მაღალი კონკურენტუნარიანობა.

სუბსიდიის სახეები:

- ღია;
- ფარული;
- შიგა (ემლევა საწარმოებს, რომლებიც მხოლოდ შიგა ბაზარზე უწევენ კონკურენციას იმპორტირებულ საქონელს);
- საექსპორტო (ემლევა საწარმოებს რომლებსაც საქონელი გააქვთ საგარეო ბაზარზე).

ფინანსური არასატარიფო ბარიერების სტრუქტურა



სუბსიდიას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) განიხილავს როგორც არაჯანსაღი კონკურენციისათვის ხელშეწყობას. ამის საპასუხოდ სახელმწიფო აწესებს საკომპენსაციო საბაჟო გადასახადს. მისი ოდენობა უნდა დაწესდეს ისეთნაირად, რომ იმპორტირებული საქონლის საბაზრო ფასი, როგორც მინიმუმ გაუტოლდეს ადგილობრივი წარმოების იგივე საქონლის ფასს. სუბსიდიებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები განხილული გვაქვს 3.1. ქვეთავში;

ბ) დაკრედიტება გამოიყენება როგორც საექსპორტო წარმოების სუბსიდირების შენიღბული ფორმა. დაკრედიტებას სახელმწიფო მიმართავს იმიტომ, რომ საექსპორტო სუბსიდიების საპასუხოდ არსებობს საკომპენსაციო ტარიფი. როგორც წესი, ექსპორტის დაკრედიტება ხორციელდება სახელმწიფო ორანოების მიერ, ხოლო ზოგჯერ კერძო ორგანიზაციების მიერაც;

გ) დემპინგი (*dumping*). [24,256-257] იგი განისაზღვრება ერთ შემთხვევაში როგორც ფასზე დაყრდნობილი და მეორე შემთხვევაში როგორც დანახარჯებზე დაყრდნობილი. პირველი გულისხმობს სიტუაციას, როდესაც იმპორტირებული საქონელი იყიდება ადგილობრივი წარმოშობის საქონელზე იაფად, ხოლო მეორე გულისხმობს სიტუაციას, როდესაც იმპორტირებული საქონელი იყიდება წარმოების დანახარჯებზე დაბალი ფასით.

დემპინგის სახეები:

სპორადიული (შემთხვევითი) (sporadic dumping). იგი გულისხმობს სიტუაციას, როდესაც ფირმას დარჩება ზედმეტი საქონელი და დაიწყებს მის იაფად გაყიდვას სხვა ქვეყანაში. ასეთ დემპინგს კომპანია ახორციელებს იმ შემთხვევაში, თუ მან არასწორი მარკეტინგული გათვლის გამო ზედმეტი საქონელი დაამზადა. ასეთ დროს ფირმამ შეიძლება იაფად (დანახარჯებზე დაბალი ფასითაც კი) გაყიდოს „მორჩენილი“ საქონელი. იგი გრძელდება დროის მოკლე პერიოდის მანძილზე და არ წარმოადგენს დიდ საფრთხეს ადგილობრივი წარმოებისათვის;

²⁴ მესხია ი. „საერთაშორისო ვაჭრობა“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011, 256-257გვ.

მტაცებლური (წინასწარგანსაზღვრული) (predatory dumping). როდესაც ფირმას სურს მოიპოვოს მონოპოლიური მდგომარეობა უცხო ქვეყანაში, მიმართავს ე.წ. „მტაცებლურ“ ანუ წინასწარგანსაზღვრულ დემპინგს. ამ დროს ფირმა საქონელს ყიდის დანახარჯებზე დაბალი ფასით იმ იმედით, რომ ადგილობრივი მწარმოებლები გაკოტრდებიან, შემდეგ დააწესებს მაღალ ფასებს და აინაზღაურებს დანაკარგებს. ანუ, წინასწარგანსაზღვრული დემპინგის შემთხვევაში ფირმა მიდის ზარალზე, რათა გააძევოს ადგილობრივი კონკურენტები და გახდეს მონოპოლისტი უცხო ქვეყნის ბაზარზე. როგორც წესი, არც ამ სახის დემპინგი გრძელდება დიდ ხანს, თან ფირმას არა აქვს იმის გარანტია, რომ აუცილებლად მონოპოლისტი გახდება (ვინ დაუშლის ადგილობრივ მეწარმეებს საქონლის წარმოებას მას შემდეგ რაც ფირმა აღარ წავა ზარალზე?). ამდენად არც ამ სახის დემპინგი წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს;

მუდმივი (persistent dumping). როდესაც ფირმა სხვა ქვეყნის ბაზარზე, ადგილობრივთან შედარებით მუდმივად დაბალი ფასით ყიდის საქონელს. მუდმივ დემპინგს ფირმა ახორციელებს იმ შემთხვევაში, თუ იგი იღებს სუბსიდიას, ან წარმოების ხარჯები აქვს ძალიან დაბალი. ამ დროს მისი საქონელი ძალიან იაფი გამოდის და შესაბამისად, უცხო ქვეყანაში დიდ კონკურენციას უწევს ადგილობრივ პროდუქციას. სწორედ ასეთი დემპინგი წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს ადგილობრივი წარმოებისათვის.

უკუ (ირიბი) (reverse dumping). საექსპორტო ფასის ზრდა შიგა ბაზარზე გასაყიდ ფასთან შედარებით. გვხვდება ძალიან იშვიათად, ჩვეულებრივ, სავალუტო კურსის ცვლილებისას.

ადგილობრივი წარმოების დემპინგისაგან დასაცავად ქვეყნები აწესებენ ანტიდემპინგურ საბაჟო ტარიფებს, ჩვეულებრივ ეს გადასახადი წესდება იმ ოდენობით, რა სხვაობაც არსებობს ადგილობრივი და მსოფლიო ბაზრების ფასებს შორის. ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადის შემოღების საფუძველია ადგილობრივი მეწარმეების საჩივარი და მის საფუძველზე ჩატარებული ანტიდემპინგური გამოძიების შედეგად გამოვლენილი მტკიცებულება დემპინგის არსებობის შესახებ. დანართი №1-ის სახით წარმოდგენილი გვაქვს ევროკავშირის ქვეყნების მიერ 1998-2008 წლებში

გამოყენებული ანტიდემპინგური გამოძიებების სტატისტიკა, რანჟირებული ქვეყნებისა და დარგების მიხედვით[25].

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი პროდუქტების აბსოლუტური უმრავლესობის იმპორტი იბეგრება იმპორტის გადასახადის 12-პროცენტის განაკვეთით. რა არის ამის მიზანი, უცხოური კონკურენციისაგან ეროვნული წარმოების დაცვა, ბიუჯეტის შევსება, თუ სავაჭრო ბალანსის დარეგულირება? ეკონომიკური განვითარების მოცემულ ეტაპზე საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაჟო ტარიფის შემოღებით პირველი და მესამე მიზნების ეფექტიანად მიღწევა თუმცა, როგორც წესი, ეს მიზნები, პირდაპირ თუ ირიბად, ერთდროულად მიიღწევა.

რაც შეეხება არასატარიფო ბარიერებს, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების საქართველოში იმპორტისას ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დაცვის მიზნით წარედგინება სპეციალური ნებართვები და სერტიფიკატები. კერძოდ, ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების იმპორტის შემთხვევაში - „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა“ და ექსპორტიორი ქვეყნის საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ვეტერინარული სერტიფიკატი, ხოლო ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის შემთხვევაში, შესაბამისად, „ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა“ და ექსპორტიორი ქვეყნის საამისოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი. საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, აგრარული პროდუქტების იმპორტისას წარედგინება საქონლის წარმოშობის ქვეყნის დამადასტურებელი, პრეფერენციული ან არაპრეფერენციული სერტიფიკატი. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონით, დატვირთულ

²⁵ Davis L., Ten years of anti-dumping in the EU: economic and political targeting, WTO 2009

სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ნებისმიერი დატვირთული სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებისას, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის შემთხვევაში, გამოიყენება ადმინისტრაციული ბარიერები ზენორმატიული დატვირთვისა და გაბარიტების კონტროლის ფორმით.

ამრიგად, საქართველოს ადგილობრივი აგრარული წარმოების არაჯანსაღი კონკურენციისაგან დაცვასთან დაკავშირებით, ვმო-ს შეთანხმებები იძლევა შიგა ბაზრის დაცვის საკმაოდ მრავალფეროვანი მექანიზმების გამოყენების საშუალებას. ამასთან, საქართველოს მიმართ ვმო-ს მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ გაგვაჩნდეს სათანადო შიგა კანონმდებლობა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საბაჟო ტარიფების ლიბერალიზაციის ფონზე ანტიდემპინგური, საკომპენსაციო და სხვა სახის „დამცავი ზომები“ სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს და მათი გამოყენების სიხშირე ბოლო წლებში მატულობს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის განვითარებადი ქვეყნების, მხრიდან^[26], რაც განხილული გვაქვს მომდევნო თავში.

²⁶ <http://murzim.ru/nauka/jekonomika/21973-netarifnye-barery.html>

თავი II. აგრარული ფირმის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშემწყობი პირობების განვითარების ანალიზი

2.1. საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების ფაქტორის გავლენა სატარიფო და არასატარიფო მექანიზმების სრულყოფაზე

გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს დამახასიათებელი ატრიბუტია და ძნელად მოიპოვება ქვეყანა, რომელიც ამ პროცესებში აქტიურად არ იყოს ჩართული. ამას ადასტურებს რეგიონალური ინტეგრაციული პროცესების ფართო მასშტაბები, თუმცა განსხვავებულია ინტეგრაციულ პროცესებში ქვეყნების ჩართულობის ხარისხი, რაც განპირობებულია მათი მოტივაციით. მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან მსოფლიო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი იყო სხვადასხვა მიზნებისათვის შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციების დაფუძნება, რაც მსოფლიოში სამართლებრივი და ეკონომიკური წესრიგის დამყარებას ისახავდა მიზნად. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც 1.2 ქვეთავში აღვნიშნეთ, არის გენერალური შეთანხმება ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ (GATT). GATT-ის სახით მისმა ხელმომწერმა ოცდასამმა ქვეყანამ ჩამოაყალიბა საერთაშორისო ვაჭრობის ერთიანი წესები, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მსოფლიო ეკონომიკის გამოყვანა კრიზისული მდგომარეობიდან, ვაჭრობის ლიბერალიზაციის უზრუნველყოფის გზით^[27].

GATT-მა წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ მისიას, ხოლო მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების მიერ სტაბილური ეკონომიკური განვითარების ტემპების უზრუნველყოფის შემდეგ GATT-ი თავისუფალი ბაზრების მოპოვების მოქნილ იარაღად გადაიქცა ამავე ქვეყნებისათვის. ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ

²⁷ ერაძე კ., ცაგარეიშვილი პ., სტატია „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები“, თბილისი, 2010.

შეთანხმება იმდენად მომხიბვლელი აღმოჩნდა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისათვის, რომ მიზანშეწონილად იქნა ჩათვლილი მისი გაფართოვება და როგორც ზემოტ აღინიშნა 1995 წელს, მარაქეშის შეთანხმების ჩარჩოებში დაფუძნდა მისი სამართალმემკვიდრე – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია.

რა თქმა უნდა, პოლიტიკური მოსაზრებების გამო, საბჭოთა კავშირს ზემოთ აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობა არ მიუღია. ის ეკონომიკის განვითარების სოციალისტურ გზას ადგა. სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის ექსპერიმენტის კრაზის შემდეგ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები – აწ უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოები და მათ შორის საქართველოც, არანაირ ღონეს არ იშურებდნენ საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად. პირველ რიგში მათ ცნეს ერთმანეთის დამოუკიდებლობა, ხოლო შემდეგ დაიწყო „მარათონი“ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებისათვის. აღნიშნულ პროცესს ხშირ შემთხვევაში მოსდევდა ერთგვარი ეიფორია, რაც გამოწვეული იყო აღნიშნული ორგანიზაციების წევრი ქვეყნების მიერ მათი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების კიდევ ერთხელ აღიარებით და ხშირ შემთხვევაში არავის უფიქრია იმ ეკონომიკურ შედეგებზე, რაც მათ მიერ წევრობის შედეგად აღიარებული ვალდებულებების შესრულებას შეიძლება მოჰყოლოდა. იგივე მოხდა ვმო-ში საქართველოს გაწევრიანების შემთხვევაშიც.

1996 წლის 26 ივნისს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური საბჭოს სხდომაზე საქართველოს მიენიჭა ვმო-ს დამკვირვებლის სტატუსი. 1996 წლის ივლისში საქართველოს მხარემ ოფიციალურად განაცხადა აღნიშნული ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღების სურვილი, რის შედეგადაც ვმო-ს გენერალურმა საბჭომ ჩამოაყალიბა წევრი ქვეყნების სამუშაო ჯგუფი საქართველოს გაწევრიანების საკითხზე სამუშაოდ. სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღებისათვის დაწესებული პროცედურის შესაბამისად 1997 წლის მარტში ვმო-ს სამდივნოს ოფიციალურად გადაეგზავნა „მემორანდუმი საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმის შესახებ“. 1999 წლის 6 ოქტომბერს ვმო-ს გენერალურმა საბჭომ მოიწონა სამუშაო ჯგუფის მოხსენება და ხელი მოეწერა ვმო-

ს დამფუძნებელ მარაკეშის შეთანხმებაზე საქართველოს მიერთების ოქმს. 2000 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა ვმო-ში საქართველოს გაწევრიანების ოქმს და 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო გახდა ვმო-ს სრულუფლებიანი 137-ე წევრი. პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან საქართველო პირველი იყო რომელიც გაერთიანდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში.

ვმო-ში დღეისათვის გაწევრიანებულია 157 ქვეყანა, რომლებზედაც მოდის მსოფლიო ვჭრობის 97%-ზე მეტი. რუსეთი ვმო-ს 156-ე წევრი გახდა 2012 წლის 22 აგვისტოს. ვმო-ს ბოლო, 157-ე, წევრი გახდა ვანუატუ, 2012 წლის 24 აგვისტოს[28]. 30-მდე ქვეყანა არის ე.წ. დამკვირვებელი, რომელთა უმეტესობას სურს ვმო-ში გაწევრიანება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებს ამას.


დღეისათვის თითქმის ყველა პოლიტიკოსი და ეკონომისტი აღიარებს იმ დადებით შედეგებს, რაც ვმო-ში ქვეყნის წევრობას შეიძლება მოჰყვეს. ჩვენ შევეცადეთ მოგვეპოვებინა მოსაზრებები ამ ორგანიზაციაში ქვეყნის წევრობის საწინააღმდეგოდ. როგორც ამბობენ ყველა მედალს ორი მხარე აქვს – ვმო-ში გაწევრიანების „მედალს“ ცალი მხარე აღმოაჩნდა. არაა გასაკვირი, რომ ვმო-ს წევრობის საწინააღმდეგოდ მოსაზრებები თითქმის არ არსებობს, რადგანაც თანამედროვე ეკონომიკურ აზრს ინდუსტრიულად განვითარებული სუპერსახელმწიფოები აყალიბებენ, ხოლო აღნიშნული ორგანიზაციების წევრობა სწორედ მათ წისქვილზე ასხამს წყალს.

არ ვცდილობთ დავაკნინოთ ვმო-ს დამსახურებები მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, თუმცა ვცდილობთ შეფასებები გავაკეთოთ ეკონომიკურად განვითარებადი წევრი ქვეყნის პოზიციიდან.

²⁸ Всемирная Торговая Организация, Википедия - <http://ru.wikipedia.org>

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია


(24.08.2012 მდგომარეობით)



ვმო-ს წევრობით პირველ რიგში მოგებული დარჩნენ ის სახელმწიფოები, რომლებიც ადრეულ ეტაპზევე გაწევრიანდნენ მასში, ხოლო მოგვიანებით მიერთებული, განვითარებადი ქვეყნები განვითარებული სახელმწიფოების მიერ წარმოებული საქონლის გასაღების ბაზრებად გადაიქცნენ გაუქმებული სავაჭრო ბარიერების გამო. განვითარებადი ქვეყნიდან ისედაც მოკრძალებული ექსპორტის უმეტეს ნაწილს სტრუქტურულად გადაუმუშავებელი ან ნახევრად გადამუშავებული ნედლეული შეადგენს, როცა იმპორტში უდიდესი ხვედრითი წილი მზა აგრარულ პროდუქტებზე მოდის. ეს დროთა განმავლობაში კიდევ უფრო აღრმავებს მსოფლიო სიმდიდრის გადანაწილებაში არსებულ უფსკრულს. აღნიშნული პროცესები შენიღბულია განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების შანსების „შირმით“, რაც საქართველოს შემთხვევაში სავაჭრო პოლიტიკის არამიზანმიმართულობის პირობებში მხოლოდ შანსებადვე დარჩა და რეალური შედეგები ქვეყნისათვის მას არ მოჰყოლია. თავიანთი კეთილი ზრახვების დასტურად ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა საქართველოს მიანიჭეს სპეციალური სტატუსი და გაავრცელეს მასზე უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, თუმცა სტატისტიკური მაჩვენებლები ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებულ პროგრესს არ ასახავენ, რაც შესაძლოა ორი მიზეზით იყოს განპირობებული: პირველი ის, რომ საქართველოს აგრარული საექსპორტო პოტენციალი, რაც რეალურად გაუწევს კონკურენციას უცხოურ ანალოგებს, საკმაოდ მოკრძალებულია, და მეორეც – პარტნიორები კარგად არიან გაწაფულნი სხვადასხვა სახის ღია თუ დაფარული არასატარიფო ღონისძიებების გატარებაში, რაც ხელს უშლის ქართული ექსპორტის თავისუფალ შეღწევას მათ ბაზრებზე.

ერთი შეხედვით დამამშვიდებელ სურათს იძლევა საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობები, რაც №2.1.2 ნახაზზეა ნაჩვენები, თუმცა დასკვნების გაკეთება ნაადრევია, რადგან საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო (პასიური ბალანსი), ანუ

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი ვმო-ში გაწევრიანებამდე და გაწევრიანების შემდეგ
(მილიონი აშშ დოლარი)



სხვაობა ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებას შორის, ყოველწლიურად იზრდება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2005 წლის მონაცემებთან შედარებით, საგარეო ვაჭრობის პასიური ბალანსი **თითქმის 300 პროცენტით გაიზარდა** (იხ. ნახაზი №2.1.3), რაც რა თქმა უნდა უარყოფითად აისახება ქვეყნის მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოს „სიბეჯითე“ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩოებში აღებული ვალდებულებების შესრულების კუთხით. ვმო-ს წევრ ქვეყნებს, არასამართლიანი კონკურენციისგან დასაცავად, ეძლევათ საშუალება, წინასწარ ჩატარებული მოკვლევის შედეგების მიხედვით გამოიყენონ **ანტიდემპინგური და საკომპენსაციო გადასახადები**, ანუ დემპინგური ფასით საქონლის იმპორტისას ან სუბსიდირებული საქონლის იმპორტის დროს - ეკონომიკური უსაფრთხოების ზომები (იგულისხმება, ქვეყნის ეკონომიკური სექტორების დაცვა არასამართლიანი კონკურენციის ტენდენციებისგან). ამგვარი ზომების გამოყენების შესაძლებლობა **გათვალისწინებული იყო საქართველოს კანონით „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“**, თუმცა მას შემდეგ, რაც ეს **კანონი გაუქმდა** და საბაჟო გადასახადი განისაზღვრა საგადასახადო კოდექსით, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო გადასახადები, როგორც საბაჟო გადასახადის სახეობები ისე გაუქმდა, რომ მათი გამოყენების მექანიზმებიც კი არ შემუშავებულა.

ამრიგად, საქართველოს მთავრობას საჭიროების შემთხვევაში ამგვარი ზომების გამოყენება შეუძლია კანონის არარსებობის პირობებშიც, მაგრამ აღნიშნული ქმედების განხორციელება, წინასწარი ეკონომიკური გათვლებისა და დასაბუთების გარეშე, დაარღვევს ვმო-ს წევრი ქვეყნების წინაშე აღებულ ვალდებულებებს, რის შედეგადაც საქართველოს მოუწევს საჯარიმო სანქციების გადახდა, რომლებმაც თავისი ეკონომიკური ეფექტით, შესაძლებელია გაცილებით მეტი ზიანი მიაყენოს ქვეყანას, ვიდრე იმ არაკეთილსინდისიერმა ქმედებამ, რის წინააღმდეგაც იქნება განხორციელებული ეს ზომები. ვმო-ს წევრი ქვეყნების უმეტესობას ასეთი მექანიზმები გააჩნია და წარმატებითაც იყენებენ მათ ადგილობრივი წარმოების

საქართველოს საგარეო ვაჭრობის სალდო
(მილიონი აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – www.geostat.ge

დასაცავად. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყველა წევრ ქვეყანას შემუშავებული აქვს საკუთარი წარმოების დამცავი მექანიზმები. მაგალითად: სომხეთში მოქმედებს კანონი „ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ზომების შესახებ“, აზერბაიჯანში - „საბაჟო ტარიფის შესახებ“, მოლდავეთში - „ანტიდემპინგური, საკომპენსაციო და დამცავი ზომების შესახებ“, რომელთა მიზანი არის თავიანთი ადგილობრივი წარმოების, მათ შორის აგრარული პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა. საქართველოს ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, არასამართლიანი კონკურენციისგან ადგილობრივ მეწარმეთა დაცვის უზრუნველყოფისა და წარმოების განვითარების ხელშეწყობისთვის, მიზანშეწონილია ამ ტიპის კანონის არსებობა, მით უმეტეს, როდესაც საქართველოში მოქმედებს სხვადასხვა სპეციალური სავაჭრო რეჟიმები, რომლებიც განხილული გვაქვს მომდევნო ქვეთავში.

2.2. აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო სტიმულირების მეთოდების განვითარების ანალიზი დროსა და სივრცეში

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა უჩვენებს, რომ საქართველოს საბაჟო-სატარიფო პოლიტიკა ითვალისწინებს ყველა იმ პლიუსებს და მინუსებს, რაც დაკავშირებულია ექსპორტ-იმპორტის სატარიფო რეგულირებასთან და აწარმოებს მუდმივ ძიებას მათი დაბალანსებისათვის, რაც გამოიხატება ამ მიმართულებით მთელ რიგ საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და სრულყოფაში. 1998 წლის 20 მარტს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი[29] „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“, რომლის მიხედვით საბაჟო გადასახადის განაკვეთები დიფერენცირებული იყო და განისაზღვრებოდა პროცენტებით, დასაბეგრი საქონლის საბაჟო ღირებულების მიმართ. საბაჟო გადასახადის განაკვეთები იყო 5 ან 12 პროცენტი. კანონის თანახმად, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის დაახლოებით 20-მდე ჯგუფის საქონელი, უნდა დაბეგრილოყო 5 პროცენტიანი განაკვეთით, ხოლო დანარჩენი საქონლის იმპორტი საბაჟო გადასახადის 12 პროცენტიანი განაკვეთით.

სატარიფო პოლიტიკის სრულყოფის მიზნით, 2002 წლის 6 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, რომლის მიხედვით მოქმედი ტარიფი გაუტოლდა 2003 წლისათვის საქართველოს ბმული ტარიფების განაკვეთებს[30]. აღნიშნული ქმედებით ძირითადად შესრულდა საქართველოს ვალდებულებები სატარიფო სფეროში, ამასთანავე განხორციელდა მოქმედი ტარიფის მნიშვნელოვანი დიფერენცირება 0-დან 30%-მდე დიაპაზონში, რის შედეგადაც ადრე მოქმედი 2 სატარიფო ღონის (5%; 12%) ნაცვლად გაჩნდა 22 სატარიფო

²⁹ ძალადაკარგულია 2007 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს 2006 წლის 1 დეკემბრის კანონი „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე“.

³⁰ ბმული ტარიფების ცხრილები წარმოადგენენ საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის იმ მაქსიმალური განაკვეთების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენების უფლება გააჩნია საქართველოს, ვმო-ს წევრებისგან დამატებითი თანხმობის მიღების გარეშე.

დონე. ბმული ტარიფების შემცირების შედეგად, 2003 წელს მოქმედი 22 სატარიფო დონე, 2005 წლისათვის შემცირდა 16-მდე.

აღნიშნულმა გარემოებამ გარკვეული კრიტიკა გამოიწვია როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ), ასევე მსოფლიო ბანკის ექსპერტთა მხრიდან. გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველოს საბაჟო ვერ შესძლებდა ესოდენ გართულებული სატარიფო სისტემის ჯეროვნად ადმინისტრირებას, ამასთანავე შეიქმნებოდა კორუფციის დამატებითი სტიმული და გზები. დაისახა საბაჟო-სატარიფო სისტემის შემდგომი ოპტიმიზაციის ამოცანა.

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის ყოფილი სამინისტროს ეგიდით შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, აღნიშნული ოპტიმიზაციის თაობაზე რეკომენდაციებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით.

ვმო-ში გაწევრიანების პროცესში საქართველოს დელეგაციამ უაღრესად დიდი ძალისხმევა დახარჯა, რათა მოლაპარაკებებზე წევრ ქვეყნებთან დაეცვა დარგობრივ სამინისტროთა რეკომენდაციები და მიეღწია ბმული ტარიფების შედარებით გაზრდილი დონეებისათვის სელექციურად შერჩეული, ჩვენი წარმოებისათვის მგრძნობიარე საქონელზე. აღნიშნულის მაგალითებია:

- მზესუმზირისა და არაქისის (მიწის თხილი) ზეთები, რომლებზეც არ გავრცელდა ზოგადად „ზეთებისათვის“ მოქმედი სექტორალური ინიციატივის მოთხოვნები თავისუფალი იმპორტის თაობაზე.

- საქართველოში წარმოებული მცენარეული წარმოშობის წამლები – რომლებიც ასევე გამოირიცხა ფარმაცევტიკის სექტორული ინიციატივიდან.

სწორედ ასეთი „სელექციური“ დაცვა წარმოადგენს შიგა ბაზრის რეგულირებისა და ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის ინსტრუმენტს, რომელიც დაშვებულია ვმო-ს წესებით.

მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოებაც, რომ საქართველოს საბაჟო ტარიფი გაცილებით უფრო ლიბერალურ ხასიათს ატარებს (განაკვეთის სიმცირის თვალსაზრისით), ვიდრე სხვა, შესადარი განვითარების მქონე, ქვეყნებში მოქმედი ტარიფები. ამასთან, საქართველო, ბევრი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, მოკლებულია

წარმოების სუბსიდირების ან სხვა ფორმით მხარდაჭერის შესაძლებლობას და საბაჟო ტარიფი წარმოადგენს შიგა ბაზრის (სადაც ბევრი სუბსიდირებული იმპორტი შემოდის) რეგულირების პრაქტიკულად ერთადერთ ინსტრუმენტს.

2006 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი კანონი[31] „საბაჟო ტარიფის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა საბაჟო ტარიფის განაკვეთების შემცირებას 0%, 5% და 12%-მდე, ნაცვლად 2006 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი 16 სატარიფო განაკვეთისა (0%, 4%, 5%, 6%, 7%, 8%, 10%, 12%, 14%, 15%, 16%, 17%, 18%, 20%, 25%, 30%). ერთი წლის შემდეგ, ზემოთ აღნიშნული კანონი გაუქმდა. საბაჟო გადასახადის იგივე განაკვეთები მოქმედებს დღესაც [32].

ზოგადად, სავაჭრო რეჟიმი არის ქვეყნებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი სავაჭრო ურთიერთობა. სავაჭრო რეჟიმი ხელს უწყობს ან პირიქით ზღუდავს ორ ქვეყანას შორის ვაჭრობას[33].

არსებობს სავაჭრო რეჟიმის შემდეგი სახეები:

1. ჩვეულებრივი ვაჭრობა, ანუ ქვეყნებს შორის არ არსებობს არანაირი სავაჭრო პრეფერენციები;
2. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. ეს რეჟიმი აწესებს ჩვეულებრივ ვაჭრობასთან შედარებით გარკვეულ პრეფერენციებს;
3. პრეფერენციების გენერალიზებული (განზოგადებული) სისტემა, სავაჭრო რეჟიმი რომელსაც ანიჭებენ განვითარებული ქვეყნები შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს ცალმხრივად და არ ითხოვენ სანაცვლოდ სავაჭრო შეღავათებს;
4. თავისუფალი ვაჭრობა, ორი ან მეტი ქვეყანა თანხმდება ურთიერთვაჭრობისას არ გამოიყენონ საბაჟო ტარიფები. გარკვეულ შემთხვევებში ქვეყნებს შორის ფორმდება

³¹ძალადაკარგულია 2007 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს 2006 წლის 1 დეკემბრის კანონი "საბაჟო ტარიფის შესახებ" საქართველოს კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.

³² 2011 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი. საბაჟო გადასახადი გადავიდა ახალი კოდექსის XIII კარში. ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად „საბაჟო გადასახადს“ დაერქვა „იმპორტის გადასახადი“.

³³ წყარო: ინტერნეტ პორტალი - http://www.exports.ge/?10/სავაჭრო_რეჟიმები/.

ამოღების ოქმი, რომელიც განსაზღვრავს იმ პროდუქციის ჩამონათვალს, რომელსაც არ შეეხება თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი.

საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები:

1. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN – Most Favorable Nations);
2. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (FTA – Free Trade Agreement);
3. პრეფერენციების გენერალიზებული (განზოგადებული) სისტემა (GSP - Generalized System of Preferences).

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN – Most Favorable Nations). უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი წარმოადგენს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, არადისკრიმინაციულობის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. იგი ითვალისწინებს ამ სავაჭრო რეჟიმით მოსარგებლე ქვეყნებისათვის ბაზარზე დაშვების ისეთი პირობების მინიჭებას, რომელიც არანაკლებია ნებისმიერი მესამე ქვეყნისთვის მინიჭებულზე (გარკვეული გამონაკლისებით).

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმიდან (MFN) გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ შემდეგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში:

- შეთანხმება საბაჟო კავშირის შექმნის შესახებ;
- შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ;
- შეთანხმება საზღვრისპირა ვაჭრობის შესახებ;
- GSP-ის ფარგლებში მინიჭებული პრეფერენციები და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის დაწესებული შეღავათები;
- ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ზომების გამოყენება.

ვმო-ში გაწევრიანებისას ქვეყანა იღებს ვალდებულებას მიანიჭოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი ვმო-ს ყველა წევრ ქვეყანას. ასევე, ამ რეჟიმით ვაჭრობა შესაძლებელია დამყარდეს ქვეყნებს შორის ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმების შედეგადაც.

დღეისათვის საქართველო ვმო-ს ყველა წევრი ქვეყნის მხრიდან სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით. 2006 წლიდან, საქართველოს კანონმდებლობით, იმპორტის საბაჟო ტარიფებით დაბეგრასთან დაკავშირებით აღარ არის განსხვავება

ვმო-ს წევრ და არაწევრ ქვეყნებს შორის. აღნიშნული რეჟიმი ითვალისწინებს ვმო-ს წევრი ქვეყნებისთვის განსხვავებულ დაბალ საბაჟო ტარიფებს[34].

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (FTA – Free Trade Agreement). თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება – ორი ან მეტი ქვეყანა თანხმდება ურთიერთვაჭრობისას არ გამოიყენონ საბაჟო ტარიფები. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება დადებული აქვს დსთ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, მოლდოვა, უკრაინა, უზბეკეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი, რუსეთი, სომხეთი) და თურქეთთან.

საქართველოს 1994 წლიდან, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დსთ-ს ქვეყნებთან, რაც ითვალისწინებს დამოუკიდებელ თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ურთიერთ-ვაჭრობაში საქონლისა და მომსახურების გათავისუფლებას საბაჟო საიმპორტო გადასახადისგან.

საქართველოსა და თურქეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას 2007 წლის ნოემბერში მოეწერა ხელი. შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან სრულად გაუქმდა იმპორტზე დაწესებული საბაჟო ტარიფები. გარკვეული გამონაკლისები არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში იმპორტზე საბაჟო გადასახადები შენარჩუნდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე.

საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში ექსპორტზე საბაჟო გადასახადები ნარჩუნდება გარკვეული სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, თუმცა გარკვეული სახის საქონელი ექვემდებარება შეღავათებს კვოტების სახით, რომელთა განაწილებაზე პასუხისმგებელია თურქეთის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის გენერალური სამდივნო.

პრეფერენციების გენერალიზებული სისტემა (GSP - Generalized System of Preferences). გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციამ (UNCTAD) 1968 წელს რეკომენდაცია გაუწია „სატარიფო პრეფერენციების განზოგადებულ სისტემის“(GSP)

³⁴ International Trade Administration (ITA) - home page, <http://trade.gov/fta/>.

ჩამოყალიბებას, რომლის მიხედვითაც განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოებს სავაჭრო შეღავათები უნდა მიენიჭებინათ განვითარებადი ქვეყნისათვის[35].

დღეისათვის GSP-ს შეღავათებს თავის სავაჭრო პარტნიორებს ანიჭებენ: ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ავსტრალია, კანადა, იაპონია, ახალი ზელანდია, შვეიცარია, ნორვეგია, ბულგარეთი, რუსეთის ფედერაცია, ბელორუსია და თურქეთი[36].

საქართველო არის შემდეგი ქვეყნების GSP რეჟიმის ბენეფიციარი ქვეყანა: ევროკავშირი; აშშ; იაპონია; კანადა; შვეიცარია; ნორვეგია.

ევროკავშირის პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემა (GSP). ევროკავშირმა პირველმა შემოიღო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP) 1971 წელს. ევროკავშირის GSP ათწლიანი ციკლებით მუშავდება. მიმდინარე ეტაპი 1995 წელს დაიწყო და 2005 წლის 31 დეკემბერს დასრულდა, ხოლო დღეისათვის არსებული სქემა, GSP+, იმოქმედებს 2006-2015 წლებში[37,24-32].

2005 წლის ივლისში საქართველო გახდა ევროკავშირის GSP+ -ის ახალი სქემის ბენეფიციარი. საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის ხელშეწყობის თვალსაზრისით ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა, ვინაიდან თუ ძველი სქემით საქართველოს ეძლეოდა შესაძლებლობა ევროკავშირის ბაზარზე განუზღვებლად შეეტანა მხოლოდ 3300 დასახელების პროდუქცია და 6900 საქონელზე მოქმედებდა მხოლოდ გარკვეული შეღავათები, „GSP+“ - ის ბენეფიციარის სტატუსის მიღების შემდეგ საქართველო სარგებლობს უფლებით ევროკავშირში განუზღვებლად შეიტანოს **7200 სახეობის პროდუქცია**, ძირითადად სოფლის მეურნეობის და მეთევზეობის სექტორიდან, რაც განვითარებადი ქვეყნების განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს (იხ. დანართი №2. აგრარული პროდუქციის, აგრეთვე სხვა პროდუქციის ჩამონათვალი, რომელზეც ვრცელდება GSP+).

³⁵ U.S. Customs and Border Protection-Home Page, https://help.cbp.gov/app/answers/detail/a_id/266/~/ generalized-system-of-preferences-(gsp).

³⁶ საქართველოს მთავრობა, www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=68.

³⁷ „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი (CIESR), თბილისი, 2011, 24-32გვ.

პრეფერენციების გაუქმება. პრეფერენციები აღარ გავრცელდება იმ ქვეყნების პროდუქციაზე, რომლებიც კონკურენტუნარიანები გახდნენ ევროკავშირის ბაზარზე და აღარ საჭიროებენ GSP-ის შეღავათებს. გაუქმებას არა აქვს რაიმე საჯარიმო აზრი, ეს იმის ნიშანია, რომ პრეფერენციებმა თავისი როლი წარმატებით შეასრულეს, მინიმუმ იმ ქვეყნების და საქონლის მიმართ, რომლებზეც არის საუბარი.

შემოთავაზებული სქემით, ბენეფიციარის სტატუსი ქვეყანას გაუუქმდება იმ შემთხვევაში თუ ამ ქვეყნის პროდუქტთა ჯგუფი გადააჭარბებს GSP-ის სქემით ბოლო სამი წლის განმავლობაში ევროკავშირის ბაზარზე ყველა ბენეფიციარი ქვეყნიდან მთლიანობაში შესული მსგავსი ან იგივე საქონლის 15 %-ს.

დოკუმენტური დადასტურება. პრეფერენციათა მისაღებად ევროკავშირის საბაჟო ორგანოებში წარდგენილი უნდა იქნას წარმოშობის ქვეყნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ფორმა „A“, რომელსაც გასცემს ბენეფიციარი ქვეყნის კომპეტენტური ორგანო. საქართველოში აღნიშნულ სერთიფიკატს გასცემს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

წარმოშობის ქვეყნის განმსაზღვრელი „A“ ფორმის სერთიფიკატის გაცემის მართებულობაზე კონტროლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ თანამშრომლობას განვითარებადი ქვეყნისა და ევროკავშირის საბაჟო ხელისუფლებებს შორის და გულისხმობს ურთიერთნდობის მაღალ დონეს.

პასუხისმგებლობა წარმოშობის სწორად დადასტურებაზე ეკისრება ექსპორტიორ ქვეყანას, ვინაიდან ამ საფუძველზე ევროკავშირი უმცირებს მის პროდუქციას საბაჟო გადასახადს და ამით, ფაქტობრივად, საკუთარ ბიუჯეტს აკლებს შემოსავალს. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოშობის სერთიფიკატის სისწორის” შემოწმების პროცედურა, საშუალებას აძლევს ევროკავშირის სამსახურებს მიმართონ ბენეფიციარი ქვეყნების უფლებამოსილ ორგანოებს თხოვნით, დაადასტურონ ან გააუქმონ საქონლის წარმოშობის განსაზღვრის თავდაპირველი შედეგები. გასათვალისწინებელია, რომ ამ საკითხებში თაღლითობის დადგენის შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყნისათვის პრეფერენციათა ჩამორთმევის საკითხი დაისვას.

წარმოშობის წესები. ევროკომისიის "საბაჟო კომისიის წარმოშობის წესების განყოფილება" ამტკიცებს დეტალურ რეგლამენტს, რომელიც განსაზღვრავს როგორც GSP-ის შეღავათებით მოსარგებლე პროდუქციის წარმოშობის განსაზღვრის წესებს, ასევე მათ დაცვაზე კონტროლის განხორციელების მეთოდებს[38].

საზოგადოდ წარმოშობის კრიტერიუმი დაფუძნებულია ქვეყანაში სრულად მიღებული და ქვეყანაში სათანადოდ გადამუშავებული/დამუშავებული საქონლის კლასიფიკაციაზე.

ქვეყანაში სრულად მიღებული საქონელი როგორც წესი არის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, სატყეო პროდუქცია, წიაღისეული, თევზჭერის, ნადირობის და საზღვაო თევზჭერის პროდუქტები, მეორადი ნედლეული და წარმოებისას ან სხვა სამეწარმეო ოპერაციების შედეგად მიღებული ნარჩენები

იმპორტირებული პროდუქციის გადამუშავების შემთხვევაში, გადამუშავება მიიჩნევა საკმარისად, თუ საწყისი პროდუქცია და გადამუშავების შედეგად მიღებული საბოლოო პროდუქცია განეკუთვნებიან ჰარმონიზირებული სისტემის (HS) სასაქონლო ნომენკლატურის განსხვავებულ პოზიციებს (ოთხნიშნა დონეზე). ამავე დროს, არსებობს მრავალი გამონაკლისი აღნიშნული წესიდან, რომლებიც წარმოდგენილია ან ე.წ. „საკმარისი გადამუშავების“ აღწერის სახით (ცხრილის სახით), ან იმპორტირებული პროდუქციის შემცველობის მაქსიმალურად დასაშვები პროცენტით (25-40%). შენახვის და შეფუთვის, საქონლის დამზადების, დახარისხების, პროდუქციის უბრალო აწყობისა ან შერევის ოპერაციები არ განიხილება როგორც საქონლის სათანადო დამუშავება.

როცა პროდუქციის წარმოშობაში მონაწილეობს რამოდენიმე ქვეყანა, უკანასკნელი დამუშავების ჩამტარებელ GSP-ის ბენეფიციარ ქვეყანას უფლება ექნება ისარგებლოს შეღავათებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამუშავების დონე საკმარისი იქნება, რათა პროდუქცია ამ ქვეყანაში წარმოშობილად ჩაითვალოს.

³⁸ GSP-ს ძირითადი სქემები, მეწარმის სამაგიდო წიგნი, <http://www.nplg.gov.ge>

ამ წესებისაგან გამონაკლისები დაიშვება იმ შემთხვევაში, როცა გადამუშავება თანმიმდევრულად წარმოებს ერთი რეგიონალური ჯგუფის ქვეყნებში, რომლებიც სარგებლობენ GSP-ის შეღავათებით.

არსებობს აგრეთვე ე.წ. „დონორი ქვეყნის ელემენტის“ წესი, რომლის თანახმად ევროკავშირის მიერ მიწოდებული მასალები ან შემადგენელი ნაწილები განიხილება, როგორც მათი გადამამუშავებელი ბენეფიციარი ქვეყნის პროდუქცია. ეს სტიმულს აძლევს ბენეფიციარი ქვეყნებისა და ევროკავშირის საწარმოებს კოოპერაციისა და ერთობლივი საწარმოების შექმნისათვის [39].

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ „GSP+“-ის 7200 დასახელების საქონლის გარდა, იმ 11 000 საქონლის ჩამონათვალიდან, რომელიც ევროკავშირის ზოგად საბაჟო სატარიფო ხაზებშია მოცემული 2100-მდე დასახელების პროდუქტს ევროკავშირი მანამდეც და ამჟამადაც ანიჭებს ნულოვან საბაჟო განაკვეთს. აქედან გამომდინარე თუ მხედველობაში მივიღებთ ამ საქონლის ჩამონათვალს და „GSP+“-ის სქემით მოცული საქონლის ჩამონათვალს, გამოდის რომ დღეისათვის 9 300 (2100+7200) დასახელების პროდუქტს ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან შეუძლია ნულოვანი საბაჟო ტარიფით შესვლა.

აშშ-ის GSP-ს სქემა. აშშ-ს GSP სისტემა მოიცავს 3448 დასახელების საქონელს შეერთებული შტატების ჰარმონიზებული სატარიფო ცხრილის (Harmonized Tariff Shedule of the United States – HTSUS) 8 ციფრიანი კლასიფიკაციის მიხედვით, რომელთა უმრავლესობა წარმოადგენს დასრულებულ სამრეწველო პროდუქციას და ნახევარფაბრიკატებს. აშშ-ს პრეფერენციული რეჟიმი ვრცელდება საქართველოსათვის საექსპორტოდ მნიშვნელოვანი პროდუქციის საკმაოდ დიდ რაოდენობაზე, მათ შორის: კაკალზე; ხილის ჩირზე; ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავების პროდუქტებზე; მწვანე ჩაიზე; ყველზე; დაფნაზე; სანელებლებზე; მინერალურ წყლებზე; ლუდზე; ღვინის გარკვეულ სახეობებზე; ეთერზეთებზე; ტყავზე და მის ნაწარმზე და სხვ.[40,20].

³⁹ „სიახლეები ევროკავშირის GSP-ის წარმოშობის წესებში“, ვროპული სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის TAIEX-ის სემინარი, <http://www.economy.ge/?category=4&lang=geo&item=867>.

⁴⁰ „საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2011 წელი“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 16.02.2012, 20 გვ.

პროდუქცია სარგებლობს აშშ-ს პრეფერენციული რეჟიმით, თუ იგი მთლიანად წარმოებულია ბენეფიციარ ქვეყანაში, მაგრამ თუ პროდუქცია ბენეფიციარ ქვეყანაში იწარმოება საზღვარგარეთიდან იმპორტირებული მასალების გამოყენებით, ადგილობრივი პროდუქტების ღირებულება და გადამუშავების ხარჯები უნდა აღემატებოდეს აშშ-ში იმპორტისას პროდუქციის ღირებულების 35%-ს.

ამგვარად, სავაჭრო რეჟიმების მოქმედების შედეგად საქართველოს აქვს შანსი არა მარტო ადგილობრივ აგრარული ფირმების მიერ წარმოებული პროდუქტებით გააჯეროს შიგა ბაზარი და განახორციელოს საექსპორტო საქმიანობა, არამედ გადაიქცეს მთავარ საინვესტიციო „ხიდად“ იმ უცხოური კომპანიებისთვის, რომლებიც მზად არიან ქვეყანაში განახორციელონ ინვესტირება აგრარული წარმოების განვითარებაში და განახორციელონ აგრარული წარმოების პროდუქტების მიწოდება როგორც შიგა ბაზარზე, აგრეთვე მეზობელი ქვეყნების ბაზრებზე, კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში, რუსეთში, თურქეთში და ასევე უფრო შორს მდებარე ქვეყნებშიც. ვმო-ში საქართველოს წევრობა აძლევს ინვესტორს იმის გარანტიას, რომ ქვეყანაში არსებობს სტაბილური, პროგნოზირებადი და საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა, ამასთანვე აქ წარმოებული პროდუქცია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმითაა დაშვებული საგარეო ბაზარზე. ქვეყნის აგრარული წარმოებისა და სამეურნეო სუბიექტების საექსპორტო პოტენციალის განვითარების საკითხები, უფრო დეტალურად განაალიზებულია მომდევნო ქვეთავში.


2.3. ქვეყნის აგრარული წარმოების სუბიექტების საექსპორტო პოტენციალის განვითარების რეტროსპექტული ანალიზი და შეფასება

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე საკითხი, რომლის განხილვაც ქვეყნის მომავალი ეკონომიკური განვითარების კონტექსტში აუცილებელია^[41]. საქართველო პატარა ქვეყანაა. მისი ტერიტორია, კონფლიქტური რეგიონების ჩათვლითაც კი, მხოლოდ 69 700 კვადრატული კილომეტრია. იმის გამო, რომ ქვეყანაში ზომიერი ბუნებრივ-კლიმატური პირობებია, საქართველოს ბევრი რაიონი ვარგისია ინტენსიური სასოფლო სამეურნეო საქმიანობისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის განვითარების სტრატეგიის რეალიზაცია განპირობებულია სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებით.

საქართველოს აგრარული წარმოების განვითარებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია აგრარული სამეურნეო სუბიექტების საექსპორტო საქმიანობის ხელშეწყობას. სახელმწიფომ გამუდმებით უნდა იზრუნოს აგრარული პროდუქტების ექსპორტის სტიმულირებაზე ყველაზე სწრაფმოქმედი და ეფექტიანი მეთოდების, სატარიფო და არასატარიფო ინსტრუმენტების გამოყენებით, გასაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების ამ ეტაპზე, ვინაიდან ადგილობრივ წარმოებას დამოუკიდებლად უჭირს შიგა სასურსათო ბაზრის გაჯერება (იხ. ნახაზი №2.3.1), რასაც მოწმობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, თუ რამდენად აკმაყოფილებს ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება შიგა ბაზარს.

⁴¹ სტატისტიკა: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრი - EPRC, სტატია „დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში“, ნოემბერი, 2011, <http://www.eprc.ge/index.php?a=main&pid=21&lang=geo>.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები 2006-2011 წლებში
(დიაგრამა)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – www.geostat.ge

როგორც ვხედავთ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები - ადგილობრივი წარმოება შეფარდებული ადგილობრივ წარმოებას დამატებული იმპორტი, გამოკლებული ექსპორტი, გამრავლებული 100-ზე (ცხრილი №2.3.1), საკმაოდ არადაამაკმაყოფილებელია.

ცხრილი №2.3.1

**საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითუზრუნველყოფის
კოეფიციენტები 2006-2011 წლებში
(ცხრილი)**

№	პროდუქცია	2006	2007	2008	2009	2010	2011
1	ხორბალი	8	9	12	8	6	13
2	სიმინდი	94	100	97	92	96	92
3	კარტოფილი	88	81	86	93	103	85
4	ბოსტნეული	79	75	76	76	77	73
5	ყურძენი	112	108	117	118	133	129
6	ხორცი	73	58	48	47	48	41
7	რძე და რძის პროდუქტები	82	89	94	92	93	93
8	კვერცხი	85	100	95	101	98	99

სასურსათო ბაზრის გაჯერების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა აგრარული საწარმოების არსებობა ქვეყანაში. თუმცა, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოს აგრარული პროდუქტების თითქმის 97 პროცენტი ოჯახური მეურნეობების მიერ იწარმოება. ანუ ქვეყნის სურსათის ბაზრის ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით გაჯერების ერთადერთი წყარო, მეურნეობრიობის სხვა ტიპების განუვითარებლობის გამო, არის ოჯახური მეურნეობა. ასეთ ფონზე, საქართველოს აგრარული წარმოების განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აგრარული სამეურნეო სუბიექტების საექსპორტო საქმიანობის ხელშეწყობა. სწორედ ასეთი მიდგომებით, ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელურად, შესაძლებელი იქნება ინვესტორთა დაინტერესება აგრარული წარმოებით, მითუმეტეს, ვმო-ში საქართველოს წევრობა იძლევა გარანტიას, რომ ქვეყანაში არსებობს სტაბილური, პროგნოზირებადი და საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა, ამასთანვე აქ წარმოებული პროდუქცია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმითაა დაშვებული საგარეო ბაზარზე. ამას გარდა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, მიუხედავად იმისა, გაჯერებულია თუ არა შიგა ბაზარი სამამულო აგრარული წარმოების პროდუქციით, ექსპორტი ხელს უწყობს ეკონომიკის სტაბილური განვითარების გარემოს არსებობას ქვეყანაში, ვინაიდან საქართველოდან გატანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ძირითადად იცვლება აშშ დოლარში ან ევროში და ხორციელდება მყარი ვალუტის შემოდინება ქვეყანაში.


თუ გადავხედავთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ვაჭრობის სალდოს 2000-2011 წლების დინამიკას (ცხრილი №2.3.2, ნახაზი №2.3.2), დავინახავთ, რომ აგრარული პროდუქციის ექსპორტი ხასიათდება მზარდი ტენდენციით, მაგრამ დასკვნების გაკეთება ნაადრევია, ვინაიდან აგრარული პროდუქტების საგარეო ვაჭრობის სალდო, 2005 წლის მონაცემებთან შედარებით, თითქმის 600 %-ით გაიზარდა 2011 წელს. 2.1 ქვეთავში აღვნიშნეთ, რომ დროის იგივე პერიოდში მთლიანი სავაჭრო ბალანსი 300%-ით გაიზარდა. ანუ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის სალდო ორჯერ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მთლიანი საქონლისა.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ვაჭრობის
 სალდოს დინამიკა 2000-2011 წლებში, ცხრილი
 (მლნ აშშ დოლარი)

№	წლები	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
1	2000	92,615	168,005	-75,390
2	2003	164,670	208,825	-44,155
3	2005	303,910	437,420	-133,510
4	2006	244,900	605,155	-360,255
5	2007	298,625	825,205	-526,580
6	2008	250,000	941,530	-691,530
7	2009	315,595	793,680	-478,085
8	2010	346,605	959,130	-612,525
9	2011	434,810	1,180,925	-746,115

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – www.geostat.ge

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ვაჭრობის
 სალდოს დინამიკა 2000-2011 წლებში, დიაგრამა
 (მლნ აშშ დოლარი)



ქვემოთ მოცემულია ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ანალიზი 2006-2011 წლების მიხედვით. კერძოდ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის სტრუქტურის დინამიკა (ნახაზი №2.3.3), საიდანაც ჩანს, რომ დროის ამ პერიოდში საქართველოდან უმეტეს წილად გადიოდა ალკოჰოლიანი/უალკოჰოლო სასმელები, მცენარეული წარმოშობის პროდუქტები, ცოცხალი ცხოველები და მისი წარმოშობის პროდუქტები. განვიხილოთ თითოეული ზემოაღნიშნული დარგი ცალკე-ცალკე:

ცოცხალი ცხოველებისა და მისი წარმოშობის პროდუქტების ექსპორტი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტმა 2011 წელს 28.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და გასულ წელთან შედარებით 77%-ით გაიზარდა.


ა) ცხვრის ექსპორტი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 91%-ით გაიზარდა და 14.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ამ პროდუქციის ექსპორტის 35.5% აზერბაიჯანში, 20% იორდანიაში, 19% სომხეთში, 8.5% ლიბანში, 7.8% ლიბიაში, 5.3% სირიაში, ხოლო დანარჩენი რაოდენობა - ისრაელში (1.7%), საუდის არაბეთსა (1.5%) და კატარში (0.7%) გავიდა.

ბ) ფრინველის ხორცის ექსპორტის მაღალი მაჩვენებელი 1130 ათასი აშშ დოლარის ოდენობით 2007 წელს დაფიქსირდა. 2011 წელს მისი მოცულობა 746 ათასი აშშ დოლარი განისაზღვრა, რაც 2010 წლის მაჩვენებელზე 2%-ით ნაკლებია. ფრინველის ხორცის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: ყაზახეთი, თურქმენეთი და აზერბაიჯანი.

გ) რძის პროდუქტების ექსპორტი 2010 წლიდან დაიწყო და 2011 წელს, წინა წელთან შედარებით, მინიმალური რაოდენობით 0.2%-ით შემცირდა და 2.55 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქმენეთი.

დ) თევზი და თევზის პროდუქტების ექსპორტის მაღალი მაჩვენებელი 7 მლნ აშშ დოლარი 2010 წელს დაფიქსირდა. 2011 წელს მისი ექსპორტი 47%-ით შემცირდა და 3.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2011 წელს წინა წლებთან შედარებით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და ცხვრის ექსპორტი ყველაზე მაღალი მაჩვენებელით განისაზღვრა, რის შედეგადაც, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის
სტრუქტურის დინამიკა 2006-2011 წლებში
(მლნ აშშ დოლარი)



წყარო: <http://www.economy.ge/upload-file/pdf/foreign%20trade-2011.pdf>

ცოცხალი ცხოველებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სექტორში ექსპორტის მოცულობის ზრდა დაფიქსირდა (ნახაზი №2.3.4).

მცენარეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტის მიმოხილვა.


ა) *ბოსტნეულის* ჯგუფის ექსპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2011 წელს დაფიქსირდა, რაც ძირითადად მწვანილის ექსპორტის მოცულობის ზრდის ხარჯზე მოხდა. 2011 წელს 4.1 მლნ. აშშ დოლარის მწვანილის ექსპორტი განხორციელდა, რაც გასული წელთან შედარებით, 80%-ით მეტია. მისი ოდენობა, 1994 წლის შემდგომ, ყველა წლის წლიურ მაჩვენებელზე მაღალია. 2010 წლის ანალოგიურად, საექსპორტო ბაზრები იგივეა და კვლავ სამი ქვეყანა ლიდერობს 88%-იანი ხვედრითი წილით (ბელარუსი - 37%, უკრაინა - 27% და აზერბაიჯანი - 24%). დანარჩენი 12% მოდის დსთ-ს 3 ქვეყანაზე: მოლდოვა, ყაზახეთი, სომხეთი და ევროკავშირის 5 ქვეყანაზე: ჩეხეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია და რუმინეთი.

ბ) *ხილის* ჯგუფის ექსპორტში განსაკუთრებით დიდი ზრდა - 73% დაფიქსირდა, რაც ძირითადად თხილის ექსპორტის მოცულობის ზრდით არის გამოწვეული.

გ) *თხილის* ექსპორტი გაიზარდა 103%-ით და 130 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 1994 წლის შემდგომ ყველა წლის წლიურ მაჩვენებელზე დიდია. 2010 წელს თხილი ძირითადი საექსპორტო პროდუქტის ათეულში მე-7 ადგილზე იმყოფებოდა, 2011 წელს კი მე-4 ადგილზე გადავიდა. მისი ექსპორტი დაფიქსირებულია მსოფლიოს 53 ქვეყანაში. მათგან ძირითადი ქვეყნებია: გერმანია (24%), იტალია (16.2%), აზერბაიჯანი (7.3), ბელგია (7.3%) და ჩეხეთი (6.9%). თხილის გარდა ხილის ჯგუფის სხვა სახეობების ექსპორტს თუ ავიღებთ, იგი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 41%-ით შემცირდა, რაც ძირითადად ციტრუსების ექსპორტის შემცირებით არის განპირობებული. 2011 წელს იგი 4.1 მლნ აშშ დოლარის გავიდა და 2010 წელთან შედარებით 64%-ით შემცირდა.

გ) *ჩაის* ექსპორტმა, 2011 წელს 2.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რაც 28%-ით მეტია 2010 წლის მაჩვენებელზე. ამასთან, 2011 წელს განხორციელებული ექსპორტი 2006 წლის შემდგომ ყველა წლიურ მაჩვენებელზე მაღალია, რაც ამ დარგის განვითარების პერსპექტიულობაზე მიუთითებს.

მეცხოველეობის პროდუქტის ექსპორტის დინამიკა 2006-2011 წლებში
(ათასი აშშ დოლარი)



წყარო: <http://www.economy.ge/upload-file/pdf/foreign%20trade-2011.pdf>

2011 წელს ჩაი ექსპორტირებულ იქნა 24 ქვეყანაში. მათ შორის, ძირითადი ქვეყნებია: ლატვია (20%), მონღოლეთი (18%), გერმანია (10.5%), უკრაინა (10%) და თურქმენეთი (9.9%).

დ) *სანელებლების* ექსპორტი 2011 წელს უმნიშვნელოდ 4%-ით გაიზარდა და 3.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, თუმცა ამ მაჩვენებელმა 2006 წლის შემდგომ ყველა წლის წლიურ მაჩვენებელს გადააჭარბა. მისი ექსპორტი დაფიქსირებულია მსოფლიოს 22 ქვეყანაში. მათგან ძირითადი ქვეყნებია: უკრაინა (33.3%), ბელარუსი (20.7%), ყაზახეთი (14.9), თურქეთი (6.3%) და აზერბაიჯანი (5.8%). 2011 წელს 2010 წელთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა 99%-ით რაფსის თესლის, 75%-ით მზესუმზირის თესლის და 67%-ით სოჭის გირჩის ექსპორტი.


ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპორტის მიმოხილვა. 2011 წელს ღვინის, მინერალური წყლების და სპირტიანი ალკოჰოლური სასმელების ექსპორტმა 2006 წლის შემდგომ ყველა წლიურ მაჩვენებელს გადააჭარბა (ნახაზი №2.3.5).

ა) *ღვინის* ექსპორტმა 2011 წელს 54 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 38.5% მეტია და ამ პოზიციას 10 ძირითადი საექსპორტო პროდუქციის ცხრილში 2.5% ხვედრითი წილით მე-10 ადგილი უკავია. ექსპორტი დაფიქსირებულია მსოფლიოს 48 ქვეყანაში. მათგან ძირითადი ქვეყნებია უკრაინა (41.7%), ყაზახეთი (16.2%), ბელარუსი (10.2); პოლონეთი (4%) და აზერბაიჯანი (3.8%).

ბ) *სპირტიანი ალკოჰოლური სასმელების* ექსპორტმა 2011 წელს 68 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. იგი 24%-ით მეტია 2010 წლის მაჩვენებელზე, ხოლო საექსპორტო პროდუქციის ძირითად ათეულში მე-8 ადგილი უკავია 3.1% ხვედრითი წილით. ექსპორტი დაფიქსირებულია მსოფლიოს 32 ქვეყანაში. მათგან ძირითადი ქვეყნებია: უკრაინა (48.8%), მოლდოვა (9.8%), აზერბაიჯანი (9.6%), ყაზახეთი (8.9%) და ბელარუსი (8.9%).

გ) *მინერალური წყლების* ექსპორტი 2011 წელს 60%-ით გაიზარდა, 48 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 2.1% ხვედრითი წილით საექსპორტო პროდუქციაში მე-12 ადგილი დაიკავა. ექსპორტი დაფიქსირებულია მსოფლიოს 35 ქვეყანაში. მათგან ძირითადი ქვეყნებია: უკრაინა (47%), ყაზახეთი (17.8%),

ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპორტის
დინამიკა 2006-2011 წლებში
(მლნ აშშ დოლარი)



წყარო: <http://www.economy.ge/upload-file/pdf/foreign%20trade-2011.pdf>

ლიტვა (11.8), ბელარუსი (5.7%) და აზერბაიჯანი (5.6%).

დ) გაზიანი უაღკოპოლო სასმელების ექსპორტი 15%-ით გაიზარდა 2011 წელს, 15 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და 0.7% ხვედრით წილით საექსპორტო პროდუქციაში 21-ე ადგილი დაიკავა. ექსპორტი დაფიქსირებულია მსოფლიოს 29 ქვეყანაში. მათგან ძირითადი ქვეყნებია: აზერბაიჯანი (33.4%), პორტუგალია (18.4%), სომხეთი (15.4); გაერთიანებული სამეფო (8.9%) და ყაზახეთი (8%).

ე) ხილის წვენების ექსპორტი 2011 წელს განხორციელდა 6.3 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, რაც 2010 წელთან შედარებით 4.4%-ით ნაკლებია. ქართულ ხილის წვენებს საკმაოდ დიდი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია. მისი ექსპორტის ყველაზე დიდი მაჩვენებელი 2007 წელს დაფიქსირდა - 13.5 მლნ. აშშ დოლარი. 2008 წელს გავიდა 8,4 მლნ აშშ დოლარის, ხოლო 2009 წელს 2.9 მლნ აშშ დოლარის. ამ პროდუქციის ექსპორტის შეფერხება 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო, ხილ-ბოსტნეულის კონსერვებისა და ხილის წვენების წარმოების შიგა ქართლში არსებული რესურსის დიდი მოცულობით განადგურებამ გამოიწვია. უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წელს, 2009 წელთან შედარებით 100%-ით გაიზარდა ამ პროდუქციის ექსპორტი. მისი ექსპორტი 2011 წელს 27 ქვეყანაში დაფიქსირდა. ძირითადი საექსპორტო ბაზრებია გერმანია (37%), აშშ (13.8%), თურქეთი (11.8%), პოლონეთი (7%) და ავსტრალია (7%)[42].

კვების მრეწველობის სხვა პროდუქტები. კვების მრეწველობის სხვა პროდუქტებიდან 2011 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა ხორცის და კიბოსნაირების ფქვილის გრანულების (-30%), კოპტონის (-28%), სხვა კვების პროდუქტებისა (18%) და ხილისგან დადუღებული სასმელების 11% ექსპორტი. კვების მრეწველობის სხვა პროდუქტების ექსპორტიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროდუქტია მზესუმზირის ზეთი.

⁴² „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010“, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი 2011.

ა) მზესუმზირის ზეთის ექსპორტი დაიწყო 2010 წლიდან და შეადგინა 100 ათასი აშშ დოლარი. 2011 წელს ზეთის მოცულობა საკმაოდ გაიზარდა და 2.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ამ პროდუქციის ექსპორტი ხორციელდება მხოლოდ სომხეთში^[43].

გ) ბოსტნეულის კონსერვების ექსპორტი 2011 წელს წინა წელთან შედარებით 133%-ით გაიზარდა და 3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მისი ექსპორტი დაფიქსირებულია 17 ქვეყანაში ძირითადი ქვეყნებია: გერმანია (58.3%), საფრანგეთი (15.4%), საბერძნეთი (8.8%), ლატვია (6%) და აშშ (6%).

დ) შოკოლადი და კაკაოს შემცველობის სხვა პროდუქტების ნაწარმი ახალი საექსპორტო პროდუქციაა, რომლის ექსპორტი 2011 წელს წინა წელთან შედარებით 136%-ით გაიზარდა და 0.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული პროდუქცია 2011 წელს ექსპორტირებულ იქნა 6 ქვეყანაში. ძირითადი ქვეყნებია: აზერბაიჯანი (77%), აშშ (9.4%) და სლოვაკეთი (7.4%).

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით შაქრის ექსპორტის მაქსიმალური მოცულობა ბოლო 10 წლის მანძილზე დაფიქსირდა 2004 წელს - 35,9 მილიონი დოლარის ოდენობით. 2011 წელს - მხოლოდ 980 ათასი დოლარი. ცოცხალი ცხოველების ექსპორტი 2004 წელს შეადგენდა 10 წლის განმავლობაში მინიმალურ ოდენობას - 700 ათას დოლარს. 2011 წელს კი ექსპორტის მოცულობა შეადგენს 33, 9 მილიონ დოლარს.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა - იზრდება მრავალჯერადი პროდუქციის შემქმნელი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი და იზრდება მზა პროდუქციის იმპორტი. არადა სასურველია არსებობდეს ტენდენცია პირიქით. ამასთან, აგრარული ფირმების საექსპორტო საქმიანობიდან

⁴³ საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2011 წელი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტი, თბილისი, 2012.

მაქსიმალური ეფექტის მისაღებად, აგრარული პროდუქციის ექსპორტი უნდა ხორციელდებოდეს არა შიგა ბაზრის შემცირების ხარჯზე, არამედ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესების პირდაპირპროპორციულად.

თავი III. აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის სატარიფო და არასატარიფო სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის მიმართულებები

3.1. სახელმწიფოს მიერ აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების განვითარება

სოფლის მეურნეობის პროდუქტების საექსპორტო საქმიანობის განვითარების მიზნით სახელმწიფოს მხარდაჭერა გულისხმობს ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების შემუშავება განხორციელებას აგრარული წარმოების სტიმულირების მიზნით. წინამდებარე ქვეთავში, მოკლედ განვიხილავთ სტიმულირების სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მექანიზმებთან ერთად ყველაზე ეფექტურ ეკონომიკურ და ორგანიზაციულ მექანიზმებს - აგრარული ფირმების სუბსიდირებასა და სამეწარმეო (ანტრეპენერული) მეურნეობის ხელშეწყობის საკითხებს[44].

სუბსიდირება. მიუხედავად იმისა, რომ ინდუსტრიულმა რევოლუციამ მნიშვნელოვანი როლი შეიტანა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, მე-20 საუკუნეში მან ასახვა ჰპოვა სოფლის მეურნეობაშიც, რასაც მოჰყვა ე.წ. „მწვანე რევოლუცია“. მწვანე რევოლუცია — სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების მასობრივი დანერგვის პროცესია სოფლის მეურნეობაში. იგი მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ახალი აგროტექნოლოგიების, მანქანა-იარაღების, მოწყობილობების, სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების დანერგვის გზით ხორციელდება.

განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში სოფლის მეურნეობის დარგები უფრო მეტადაა განვითარებული ვიდრე მრეწველობის სხვა დარგები. აღნიშნული ტენდენცია განაპირობებს იმას, რომ ამ ქვეყნების ბიუჯეტი მეტნაკლებად დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის დარგებიდან მიღებულ გადასახადებზე.


⁴⁴ ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდი, www.bec.ge.

სიტუაცია საპირისპიროა განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც სხვადასხვა მიზეზთა გამო სოფლის მეურნეობის დარგების სუბსიდირებას მიმართავენ. სასოფლო სამეურნეო სუბსიდია გამოიყენება აგრობიზნესში დასაქმებული ფერმერების შემოსავლების უზრუნველსაყოფად და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდებასა და ფასებზე ზემოქმედებისათვის. სუბსიდიები უმეტესად გამოიყენება მარცვლეული კულტურების, ბამბის, ხორცისა და რძის პროდუქტების, შაქრის, თამბაქოს და ზეთოვანი კულტურების წარმოებაზე[45].

სოფლის მეურნეობის სუბსიდირების სისტემა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოქმედებს - აშშ-ში, მექსიკაში, კანადაში, სამხრეთ კორეაში, იაპონიაში და სხვა. სოფლის მეურნეობის სუბსიდირება რამდენიმე მიზეზით არის გამართლებული: პირველ რიგში ითვლება, რომ სუბსიდირება აუცილებელია ფერმერთა სტაბილური შემოსავლების უზრუნველსაყოფად, იმდენად, რამდენადაც მოსავლიანობა დამოკიდებულია გარემო და კლიმატურ პირობებზე, მიიჩნევა, რომ მოუსავლიანობამ არ უნდა დააზარალოს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობა. მეორეს მხრივ აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს ადგილობრივი წარმოების დაცვას უცხოელთა კონკურენციისაგან. თავისუფალ კონკურენტულ პირობებში ჩაყენება შეერთებული შტატებისა და ევროპის ფერმერების უმეტეს ნაწილს გაკოტრებამდე მიიყვანდა. საერთაშორისო პრაქტიკაში, იმისათვის რომ მოხდეს აგრარული დარგის სუბსიდირება, მნიშვნელოვნად ითვლება ისიც, რომ სასურსათო უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე ქვეყანა უნდა აწარმოებდეს სოფლის მეურნეობის სულ ცოტა იმდენ პროდუქტს, რაც საკმარისი იქნება ქვეყნის შიგნით ამ პროდუქტებზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ქვემოთ წარმოდგენილია სუბსიდიებთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებელი (ნახაზი №3.1.1). რაც შეეხება დეტალურ სტატისტიკას, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის გამოყოფილ სუბსიდიებთან დაკავშირებით, დანართი №3-ის სახით გთავაზობთ 2005 წლის მონაცემებს ცალკეული ქვეყნების მიხედვით.

⁴⁵ წყარო: http://en.wikipedia.org/wiki/Green_Revolution

სუბსიდიების გადანაწილება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის
(2008 წელი)



სამეწარმეო (ანტრეპენარული) მეურნეობის ხელშეწყობა. როგორც ზოგიერთი გამოკვლევა უჩვენებს, სუბსიდიების გარდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აგრარული რეფორმების გატარებას. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ან მისი თანამონაწილეობით განხორციელებულ ორგანიზაციულ გარდაქმნებს აგრარულ სექტორში, რომლის მიზანია ქვეყნის აგრარული წყობის შეცვლა ახალი საწარმოო ერთეულების შექმნის გზით.

საინტერესოა როგორი სიტუაციაა ამ მხრივ ევროკავშირში. მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში ხშირად საუბრობენ მცირე მეწარმეთა ხელშეწყობის პროგრამების აუცილებლობაზე, ფაქტობრივად ერთიანი აგრარული პოლიტიკა ძირითადად მსხვილი მეწარმეების ხელშეწყობაზეა ორიენტირებული. ტრადიციულადაც, მსხვილი ფერმერები, რომლებიც უფრო მეტი მოცულობის პროდუქციას აწარმოებენ, გაცილებით მეტ სუბსიდიებს იღებენ, ვიდრე მცირე ზომის ფერმერები. მაგალითად, ფერმერი, რომლის საკუთრებაშია 1000 ჰექტარი ფართობის მიწა, იღებს რა ყოველ დამატებით ჰექტარზე 100 ევროს, მთლიანობაში მიიღებს 100 000 დამატებით ევროს, მაშინ როდესაც ის ფერმერი, რომლის მფლობელობაშია 10 ჰექტარი მიწა, მიიღებს მხოლოდ 1000 ევროს. თუმცა უკვე 2003 წლის რეფორმების შედეგად შედარებით მეტი ყურადღება დაეთმო მცირე ზომის ფერმებსაც. ამის შედეგად გაცემული სუბსიდიები მცირე ფერმერებს არსებობის საშუალებას აძლევს და ამავდროულად ასტიმულირებს მათი საქმიანობის მოცულობის გაზრდას. როგორც 1.1. ქვეთავში აღვნიშნეთ, ასეთი ტენდენციები არ გამოდგება თანამედროვე საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარების შემთხვევაში და საბიუჯეტო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მაგრამ ეს ფაქტი იძლევა იმის მაგალითს, რომ სასოფლო-სამეურნეო სუბიექტების საექსპორტო საქმიანობა უნდა იყოს წახალისებული უპირატესად, რომლის მეშვეობით შესაძლებელია გავლენა მოვახდინოთ ადგილებზე, საკუთრივ სასურსათო პროდუქციის, წარმოების ზრდაზე.

საქართველოს 2008 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 25 მლნ ლარი „ექსპორტის წახალისების“ ქვეპროგრამაზე (ცხრილი №3.1.1).

დანახარჯები ექსპორტის წახალისებაზე სხვადასხვა ქვეყანაში
(მილიონი აშშ დოლარი)

ქვეყნები	სამთავრობო ხარჯები ექსპორტის წახალისებაზე
იაპონია	60.7
დიდი ბრიტანეთი	95.7
იტალია	59.8
საფრანგეთი	80.7
აშშ	64.4
ნიდერლანდები	18.7
კანადა	14.5
გერმანია	15.5
შვეიცარია	1.8
საქართველო	13.8 *

წყარო: აშშ კონგრესის კვლევის სამსახური

* საქართველოს 2008 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 13,8 მილიონი აშშ დოლარის (დაახლოებით 25 მილიონი ლარი) „ექსპორტის წახალისების“ ქვეპროგრამაზე.

მისი მიზანი იყო კერძო მეწარმეებისათვის შეღავათიანი საკრედიტო რესურსის ხელმისაწვდომობის გაზრდით ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ბენეფიციარები იყვნენ ექსპორტზე ორიენტირებული მეწარმე იურიდიული და ფიზიკური პირები, აგრეთვე აღნიშნულ სექტორში ბიზნესის დაწყების მსურველი მეწარმე იურიდიული და ფიზიკური პირები. სახელმწიფო ბიუჯეტიდან სესხის გაცემასა და მის შემდგომ ადმინისტრირებას ახორციელებდა სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი^[46]. ბენეფიციარი საწარმოებისათვის სესხის გაცემა უნდა განხორციელებულიყო საბაზრო პირობებთან შედარებით შეღავათიანი პირობებით. ამ ეტაპზე საქართველოში სოფლის მეურნეობის მხარდამჭერი პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება სოფლების აღჭურვა ტექნიკით, სარწყავი სისტემებით, საწვავით, სახელმწიფო ახდენს ყურძნის შესყიდვას გლეხისათვის ხელსაყრელ ფასად და სხვ.

ექსპორტის წახალისებაზე გათვალისწინებული თანხის (25 მილიონი ლარი) დიდი ნაწილი ვერ იქნა გამოყენებული აღნიშნული მიზნით ქვეყანაში არსებული საომარი მდგომარეობის გამო. შედეგად, საქართველოს სურსათის ბაზრის ადგილობრივი წარმოებით გაჯერების ერთადერთი წყარო, მეურნეობრიობის სხვა ტიპების განუვითარებლობის გამო, არის ოჯახური მეურნეობა. იგი, მეურნეობრიობის ტიპებიდან ყველაზე მდგრადია, რადგან თუ ასეთ მეურნეობას ოჯახისთვის არ მოაქვს ფულადი შემოსავალი, მეპატრონე მიწას მაინც არ „იშორებს“, იმიტომ, რომ ხედავს სხვა არაფინანსურ სარგებლობას თავისი სამეურნეო საქმიანობიდან. მაგრამ ამასთანავე, სოციოლოგების, ეკონომისტებისა და მათემატიკოსების მიერ ხანგრძლივი კვლევის შედეგად დადგენილია, რომ გლეხური სამეურნეო საქმიანობის მოტივაცია არ არის მოგების მიღება, არამედ მისი მოტივაციაა ის გარემოება, რომ იგი თვითონ განსაზღვრავს მუშაობის დროსა და ინტენსიურობას, ანუ თვითექსპლუატაციის დონეს. შედეგად სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების ზრდას გლეხურმა მეურნეობამ შეიძლება უპასუხოს წარმოების მოცულობის შემცირებით, ან იგივე მოცულობის

⁴⁶ „საქართველოს ექსპორტის არსებული ტენდენციები და მისი ზრდის უზრუნველყოფის ძირითადი რეკომენდაციები“, ესაკია გ., 2010 წ. <http://www.control.ge/files/upload-file/other/20-seqtemberi-esakia.pptx>

წარმოებით, რათა მან შეინარჩუნოს წარმოებული სიკეთის სტრუქტურაში ოპტიმალური თანაფარდობა.

რა თქმა უნდა, ამ კანონზომიერების მოქმედებას ადგილი აქვს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაშიც. ამაზე მოწმობს ამ ქვეთავში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემებიც^[47]. 1996 წლიდან შეინიშნება ძირითადი კვების პროდუქტების წარმოების კლება. მაგალითად 2010 წელს, 2006 წელთან შედარებით, აგრარული წარმოების მოცულობა შემცირდა 14-20 პროცენტით, მაშინ როცა ამავე პერიოდში სურსათზე ჩამოყალიბდა ფასების ზრდის ტენდენცია. სხვა შემთხვევაში, მოგების მიღებით დაინტერესებული საწარმო შეეცდებოდა ფასების ზრდის კვალობაზე გაეზარდა წარმოება და აქედან მიეღო მეტი სარგებელი^[48, 110-118].

ამას გარდა, ოჯახური მეურნეობის ფულადი შემოსავლების დინამიკა 2006-2000 წლებში ხასიათდებოდა შემცირების ტენდენციით (ნახაზი №3.1.2), რაც აგრეთვე მეტყველებს იმაზე, რომ ოჯახური მეურნეობის მეკატრონის ინტერესში არ შედის სურსათის ბაზრის გაჯერებაზე ზრუნვა.

სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს მხარდაჭერა გულისხმობს: კოოპერატივების ჩამოყალიბების მსურველთათვის მხარდაჭერასა და ფინანსური დახმარების აღმოჩენას, რაც კოოპერაციული მოძრაობის გააქტიურება-გაფართოებას გამოიწვევს; სახელმწიფოს დახმარებით, კოოპერირების პრინციპზე, სპეციალიზირებული საკრედიტო ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში დახმარებას; კოოპერაციის საქმიანობის გასაუმჯობესებლად შემუშავებული კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების მიღებაში მხარდაჭერას; ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოებასთან ბრძოლის გამწვავებას და ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოებისათვის აქტიურ მხარდაჭერას.

⁴⁷ საქართველოს სოფლის მეურნეობა/Agriculture of Georgia 2011, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 30, 63 გვ.

⁴⁸ ხარებავა რ., ხუბუნაია შ., სურსათის ეროვნული ბაზრის ფორმირების ორგანიზაციული პრობლემები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „პოსტკრიზისული ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმები“, თბილისი, 2011, 110-118 გვ.

**ოჯახური მეურნეობებისა და სასოფლო სამეურნეო
საწარმოების წილი მთლიან წარმოებაში
(პროცენტობით, 2007-2011 წლები)**

ოჯახური მეურნეობების წილები						Shares of family holdings					
	2007	2008	2009	2010	2011						
ხორცი	94.7	91.3	90.9	95.4	88.4	Meat					
მათ შორის:						Of which:					
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის	99.1	99.9	99.5	99.9	99.9	Beef					
ღორის	99.2	100.0	99.8	99.9	99.5	Pork					
ცხვარისა და თხის	98.6	98.5	98.6	99.5	99.5	Sheep and goat meat					
ფრინველის	74.9	81.2	83.6	88.5	75.7	Poultry					
რძე	99.7	99.9	98.9	99.7	99.7	Milk					
კვერცხი	42.9	40.3	43.6	43.7	37.5	Eggs					
მატყლი	96.5	98.3	96.3	94.4	98.5	Wool					
თაფლი	100.0	99.9	99.5	99.9	99.9	Honey					
ხორბალი	86	86	90	85	90	Wheat					
ჭერი	97	96	99	98	98	Barley					
ჭვავი	100	0	100	0	100	Rye					
შვრია	94	93	98	93	69	Oats					
სიმინდის მარცვალი	99	99	99	99	98	Maize					
ღობიო	100	100	100	100	100	Haricot beans					
კარტოფილი	100	100	99	100	98	Potato					
ბოსტნეული	99	100	100	100	100	Vegetables					
ბაღჩეული კულტურები	100	100	100	100	100	Melons					
მრავალწლიანი ბალახების თივა	94	100	99	99	99	Hay of perennial grasses					
ერთწლიანი ბალახების თივა	100	20	99	100	100	Hay of annual grasses					

სასოფლო სამეურნეო საწარმოების წილები						Shares of agricultural enterprises					
	2007	2008	2009	2010	2011						
ხორცი	5.3	8.7	9.1	4.6	11.6	Meat					
მათ შორის:						Of which:					
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის	0.9	0.1	0.5	0.1	0.1	Beef					
ღორის	0.8	0.0	0.2	0.1	0.5	Pork					
ცხვარისა და თხის	1.4	1.5	1.4	0.5	0.5	Sheep and goat meat					
ფრინველის	25.1	18.8	16.4	11.5	24.3	Poultry					
რძე	0.3	0.1	1.1	0.3	0.3	Milk					
კვერცხი	57.1	59.7	56.4	56.3	62.5	Eggs					
მატყლი	3.5	1.7	3.7	5.6	1.5	Wool					
თაფლი	0.0	0.1	0.5	0.1	0.1	Honey					
ხორბალი	14	14	10	15	10	Wheat					
ჭერი	3	4	1	2	2	Barley					
შვრია	6	7	2	7	31	Oats					
სიმინდის მარცვალი	1	1	1	1	2	Maize					
კარტოფილი	0	0	1	0	2	Potato					
მრავალწლიანი ბალახების თივა	6	0	1	1	1	Hay of perennial grasses					

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge

სამეწარმეო მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პარალელურად, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იზრუნოს სატარიფო და არასატარიფო

მექანიზმების სრულყოფაზე რათა ამ ინსტრუმენტების გამოყენებით მუდმივად მისცეს სტიმული აგრარული პროდუქტების საექსპორტო საქმიანობას, რათა მოხდეს ქვეყანაში მყარი ვალუტის შემოდინება და პერმანენტულად შიგა სასურსათო ბაზრის გაჯერება.

ამრიგად, სოფლის მეურნეობის წარმოების აღორძინების გამოცდილ მექანიზმებს წარმოადგენს **სოფლის მეურნეობაში საწარმოო და არასაწარმოო კოოპერატივების ფორმირება, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ჩამოყალიბება** სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერით (სამართლებრივი, ფინანსური, ორგანიზაციული, საკადრო). აუცილებელია აგრარულ სფეროში მთელი რიგი ღონისძიებების კომპლექსის გატარება, რაც იქნება აგრარული წარმოების აღორძინებისათვის და საექსპორტო საქმიანობისათვის, სერიოზული ხარისხით განვითარების წინაპირობა. პარალელურად, აგრარული ფირმების საექსპორტო საქმიანობაში დაინტერესების მიზნით, უნდა ხორციელდებოდეს **საბაჟო ინსტრუმენტების პერმანენტული სრულყოფა**. აღნიშნული ღონისძიების როგორც საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკით დამტკიცებული, ეფექტური მექანიზმებით აგრარული წარმოების განვითარების განხორციელება, ისე საბაჟო რეგულირების სატარიფო და არასატარიფო მექანიზმების სრულყოფა არის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, ამიტომ აქედანვე უნდა ჩაეყაროს საფუძველი ორი მიმართულების - როგორც აგრარული წარმოების, ისე საექსპორტო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას, რომ არ მოხდეს წარმოებული პროდუქციის მოცულობასა და მის რეალიზაციას შორის გარღვევა. სწორედ საექსპორტო საქმიანობის ეფექტური სტიმულირების მოდელის შემუშავებას ეძღვნება მომდევნო ქვეთავი.

3.2. აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის ტარიფების მეშვეობით სტიმულირების მოდელი

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს მოსაზრება - რაც უფრო მაღალია ტარიფი აგრარული პროდუქტების იმპორტზე, მით უფრო საიმედო სტიმულს აძლევს იგი აგრარული პროდუქტების მწარმოებელ სამამულო ფირმებს. საზოგადოების ნაწილი ეთანხმება ამ მოსაზრებას, ხოლო მეორე ნაწილი არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ მხოლოდ ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაა მიზანშეწონილი. თუ გვინდა გავიგოთ კონკრეტულად თუ ვის და როგორ ასტიმულირებენ საიმპორტო ტარიფები, აუცილებელია მეტი ყურადღებით განვიხილოთ წარმოების სტრუქტურა.

აგრარული დარგის პროდუქტზე დაწესებული ტარიფი სტიმულს აძლევს არა მარტო თვით ფირმებს, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე აგრარულ პროდუქციას აწარმოებენ, არამედ იმ დარგებსაც, რომლებიც მასალებსა და ნედლეულს აწვდიან აგრარულ წარმოებას. მაგალითად, ნატურალური წვენი იმპორტზე დაწესებული ტარიფი სტიმულს აძლევს არა მარტო წვენი მწარმოებელ ფირმებს, არამედ იმ ფირმებსაც, რომლებიც ამ დარგს ხილს, შაქარს, ჭურჭელს, შესაფუთ მასალასა და სხვა შუალედურ საქონელს აწვდიან, ხოლო თუ შუალედური საქონლის წარმოება საქართველოში არ ხორციელდება, მათ იმპორტზე დაწესებული ტარიფი, ჯაჭვური პრინციპით, გავლენას ახდენს საბოლოო აგრარული პროდუქციის მწარმოებელი ფირმის მდგომარეობაზე. ანუ, ზემოთ განხილულ, ნატურალური წვენების მაგალითში, საიმპორტო ტარიფის შემოღება შაქრის, შესაფუთი მასალის ან/და ხილის იმპორტზე, ზეგავლენას მოახდენს ნატურალური წვენი მწარმოებელ ფირმებზე. ყოველივე ეს რამდენადმე ართულებს ცალკეულ აგრარულ ფირმებზე მთელი სატარიფო სისტემის ზემოქმედების გაზომვას. ამ საკითხის გადასაჭრელად, მოთხოვნა-მიწოდების ტრადიციული, გრაფიკული მოდელი არ გამოგვადგება, რადგან როგორც წესი, იგი გვიჩვენებს მხოლოდ ერთი დასახელების საქონლის ბაზრის მდგომარეობას. საჭიროა მოთხოვნა - მიწოდების ურთიერთქმედების უფრო სრულყოფილი მოდელი, რომელიც ერთდროულად მოიცავს რამდენიმე დარგსა და ბაზარს (ნახაზი №3.2.1).


საექსპორტო წარმოების მასტიმულირებელი ტარიფის ფაქტობრივი დონის გამოთვლის მოდელი
(ნატურალური წვენის მწარმოებელი ფირმის მაგალითზე)

თავისუფალი ვაჭრობისას

საბაჟო ტარიფის არსებობისას

საბაჟო ტარიფი 1 ტ. წვენის იმპორტზე:
 $T1=12\% \Rightarrow P2 = 200 \cdot 12\% = 224$ ლარი

საბაჟო ტარიფი ნედლეულის იმპორტზე:
 $T2=5\% \Rightarrow C2=140 \cdot 5\% = 147$ ლარი



აგრარული ფირმის საექსპორტო წარმოების მასტიმულირებელი ტარიფის ფაქტობრივი დონე ხშირად არ ემთხვევა „ტარიფის ნომინალური დონის“ სიდიდეს, რომელიც საბოლოო ჯამში შედის პროდუქციის საცალო ფასში და რომელსაც იხდის აგრარული პროდუქციის მომხმარებელი. ეს სხვაობა თვალნათლივ ჩანს №3.2.1 ნახაზზე, რომელიც გვიჩვენებს მასტიმულირებელი ტარიფის ფაქტობრივ დონეს ნატურალურ წვენიზე 12 პროცენტისანი საიმპორტო ბაჟის, აგრეთვე წვენის წარმოებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების (ნედლეულის) იმპორტზე 5 პროცენტისანი ბაჟის დროს. როგორც ნახაზიდან ჩანს, 12 პროცენტისანი ტარიფი ზრდის თითოეული ტონა წვენის ფასს 24 ლარით, ხოლო 5 პროცენტისანი ტარიფი ზრდის თითოეული ტონა წვენის წარმოების ხარჯებს 7 ლარით. თუ მხედველობაში მივიღებთ აღნიშნული ტარიფების მხოლოდ ნომინალურ დონეებს (12% და 5%), იქმნება შთაბეჭდილება, რომ 12 პროცენტისანი მასტიმულირებელი ტარიფის დონე ნატურალური წვენების მწარმოებელი ფირმისათვის შეადგენს 12 პროცენტზე ნაკლებს, ვინაიდან 1 ტონა წვენის ფასის 24 ლარით (თავდაპირველი ღირებულების, 200 ლარის 12%-ით) გაზრდასთან ერთად მისი წარმოების ხარჯებიც გაიზარდა 7 ლარით (თავდაპირველი ხარჯების, 140 ლარის 5 პროცენტით).

მასტიმულირებელი ტარიფის ფაქტობრივი დონის დადგენა მოითხოვს ტარიფის გავლენის დადგენას საექსპორტო აგრარული პროდუქციის ღირებულების ნამატზე. კერძოდ, მოცემულ მაგალითში, ორივე ტარიფი ერთი ტონა ნატურალური წვენის ღირებულების ნამატს მხოლოდ 17 ლარით ზრდის. **სწორედ ეს 17 ლარი წარმოადგენს ნატურალური წვენის წარმოების ღირებულების ნამატის (და მაშასადამე შემოსავლის) არსებობის მასტიმულირებელ დონეს.** იგი ტოლია ღირებულების თავდაპირველი ნამატის $(200-140=60$ ლარის) დაახლოებით 28,33 $(60*28,33\%\approx 17)$ პროცენტის და არა 12%-ის ან ნაკლების, როგორც ეს მოსალოდნელი იყო თუ მხედველობაში მივიღებთ მასტიმულირებელი ტარიფის მხოლოდ ნომინალურ დონეს.

საექსპორტო წარმოების მასტიმულირებელი ტარიფის ფაქტობრივი დონე (the effective rate of protection) აგრარულ დარგში განისაზღვრება როგორც სიდიდე (პროცენტებში), რომლითაც იზრდება აგრარული პროდუქციის ღირებულების

ნამატი მთელი სატარიფო სისტემის ფუნქციონირების შედეგად და გამოთვლება ფორმულით:

$$S\% = \frac{\left(\frac{P1 * T1}{100} - \frac{C1 * T2}{100}\right) * 100}{P1 - C1}$$

სადაც,

S% (**Stimulus**) - არის აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის მასტიმულირებელი ტარიფის ფაქტობრივი დონე გამოსახული პროცენტებში;

P1 (**Price 1**) - არის იმპორტირებული ნედლეულისაგან დამზადებული, საქართველოში წარმოებული აგრარული პროდუქტის საცალო ფასი, მასტიმულირებელი ტარიფის დაწესებამდე;

C1 (**Cost 1**) - არის იმპორტირებული ნედლეულისაგან დამზადებული, საქართველოში წარმოებული აგრარული პროდუქტის წარმოებისათვის გაწეული ხარჯი ამ ნედლეულის იმპორტზე საბაჟო ტარიფის დაწესებამდე;

T1 (**Tariff 1**) - არის აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის მასტიმულირებელი ტარიფის ნომინალური განაკვეთი;

T2 (**Tariff 2**) - არის ნედლეულის იმპორტზე დაწესებული, აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის მასტიმულირებელი ტარიფის ნომინალური განაკვეთი.

განხილულ მაგალითში,

$$S\% = \frac{\left(\frac{200 * 12}{100} - \frac{140 * 5}{100}\right) * 100}{200 - 140} = \frac{17 * 100}{60} = 28.33\%$$

№3.2.1 ნახაზზე მოყვანილი მაგალითი, პროტექციონიზმის მთლიანი ეფექტის კონცეფციის საფუძვლად აღებული ორი ძირითადი პრინციპის ილუსტრირებაა -

დარგის შემოსავლები ან დამატებული ღირებულება ექვემდებარება სავაჭრო ბარიერების ზეგავლენას, რომელიც აღმართულია არა მარტო იმპორტირებული კონკურენტული პროდუქციის გზაზე, არამედ ბაზარზე მბრუნავი იმ მასალების წინაშეც, რომლებიც მოცემული დარგის წარმოების პროცესში გამოიყენება. ამასთან, თუ აგრარული დარგის საბოლოო პროდუქცია დაცულია უფრო მაღალი ტარიფით, ვიდრე მისი შუალედური პროდუქცია, მასტიმულირებელი ტარიფის ფაქტობრივი დონე გადააჭარბებს მის ნომინალურ დონეს.

ამრიგად, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ თუ აგრარული დარგის ნედლეულისაგან დამზადებული საბოლოო პროდუქტი „დაცულია“ უფრო მაღალი ტარიფით (განხილულ მაგალითში 12%), ვიდრე მისი წარმოებისათვის საჭირო ნედლეული (განხილულ მაგალითში 5%), დამცავი (მასტიმულირებელი) ტარიფის ფაქტობრივი დონე ყოველთვის გადააჭარბებს მის ნომინალურ დონეს. იმპორტიორ ქვეყანაზე საბაჟო ტარიფის ზეგავლენა სრულიადაც არ ამოიწურება აგრარული ფორმის ან მის მიერ წარმოებული პროდუქციის მომხმარებლების კეთილდღეობის დონის ცვლილებით. სანამ ტარიფი იმპორტს მხოლოდ ნაწილობრივ ზღუდავს, ე.ი. ამკრძალავი არ არის, იგი შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს. ამ უკანასკნელის სიდიდე ტოლია ტარიფის განაკვეთისა და ამ ტარიფით დაბეგრული იმპორტის მოცულობის ნამრავლისა (იხ. თავი 1.3. ნახაზი №1.3.1, ფართობი E). შემოსავლები საბაჟო ტარიფებიდან მოგებას აძლევს ქვეყანას. სახელმწიფოს მიერ ბაჟის სახით მიღებული თანხა შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ან/და თანამედროვე ტექნოლოგიების მოძიება-დანერგვის დასაფინანსებლად, მოწინავე ტექნოლოგიური სიახლეების გაცნობის მიზნით ტრენინგების ორგანიზების დასაფინანსებლად, აგრარული დარგის წარჩინებულ სტუდენტთა სწავლის დასაფინანსებლად ან ხელი შეუწყოს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების სხვადასხვა დონისძიებების განხორციელებას - მაგალითად სოციალური პროგრამების დაფინანსებას, საშემოსავლო ან სხვა გადასახადის შემცირებას, საჯარო მოხელეთა ხელფასების ზრდას და ა.შ. ჩვენი მიზნებისათვის, მნიშვნელობა არ აქვს თუ რა ფორმას მიიღებს

ტარიფების გზით ქვეყნის ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლები, მთავარია, რომ იგი დარჩება ქვეყანაში, რაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ტარიფის მოქმედების შედეგების გათვლის დროს, აგრარულ მწარმოებელთა მოგებასა და მომხმარებელთა დანაკარგებთან ერთად.

3.3. ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული ფირმის საექსპორტო საქმიანობის ხელშეწყობი სატარიფო და არასატარიფო მეთოდების გამოყენების ოპტიმიზაციის პროცედურული სტრუქტურის ალგორითმის ფორმირება

ექსპორტზე ორიენტირებული აგრარული ბიზნესის ხელშეწყობის არსებული პრაქტიკა საქართველოში და მისი სრულყოფის მიმართულებები. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიის მიხედვით, სამინისტროს უპირველესი მიზანია, ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის დაჩქარებული ტემპებით განვითარებას, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტისათვის და ინვესტიციებისათვის გამარტივებული მარეგულირებელი გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს სექტორის დაუბრკოლებელ განვითარებას. საქართველოს სოფლის მეურნეობა ექსპორტის ზრდაზე უნდა იყოს ძირეულად ორიენტირებული^[49]. სტატისტიკური მონაცემები აღნიშნული პრიორიტეტის საწინააღმდეგოდ მეტყველებს: 2006 წელს სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 1765.1 მლნ. ლარი ანუ მშპ-ს 12.8%-ი იყო. 2007 წლისთვის სოფლის მეურნეობის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში 1818.3 მლნ. ლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე მეტია 53.2 მლნ. ლარით მეტია, თუმცა მშპ-ს ზრდის ტემპს სოფლის მეურნეობის გამოშვების ზრდის ტემპი ჩამორჩა და შესაბამისად მისი ხვედრითი წონა მშპ-ს მთლიან გამოშვებაში მხოლოდ 10.7%-ით განისაზღვრა. 2008 წელს ისევ გაგრძელდა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და მისმა მოცულობამ 19074.9 მლნ. ლარს მიაღწია, თუმცა სოფლის მეურნეობის წილი მასში მხოლოდ 1793.1 მლნ. ლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 25.2 მლნ. ლარით ნაკლები იყო, შესაბამისად 9.4%-მდე შემცირდა სოფლის მეურნეობის გამოშვების ხვედრითი წონა მშპ-ს მთლიან გამოშვებაში. 2009 წელს 2008 წლის ცნობილი მოვლენების გამო ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 1088.9 მლნ. ლარით მცირდება და 17986 მლნ.

⁴⁹ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://www.maf.ge/>

ლარს შეადგენს, შესაბამისად 1690.6 მლნ. ლარამდე შემცირდა მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 102.5 მლნ. ლარით ნაკლები იყო და მისი ხვედრითი წონა მშპ-ს მთლიან მოცულობაში წინა წლის მსგავსად 9.4%-ით განისაზღვრა. 2010 წელს ქვეყნი მთლიანი შიდა პროდუქტი 20743.4 მლნ. ლარამდე იზრდება, თუმცა მასში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა წინა წელთან შედარებით ისევ კლების ტენდენციით ხასიათდება და მხოლოდ 8.4%-ს ანუ 17742.4 მლნ. ლარს შეადგენს. 2011 წლის საბოლოოდ დაუზუსტებელი მონაცემებით კი ქვეყანაში წინა წელთან შედარებით მთლიანი შიდა პროდუქტის 3485.7 მლნ. - იანი ზრდა დაფიქსირდა და მშპ-ს მოცულობამ 24229.1 მლნ. ლარი შეადგინა. 2011 წელს იზრდება ასევე სოფლის მეურნეობის სექტორის გამოშვებაც 2253.3 მლნ. ლარამდე, თუმცა მისი ზრდის ტემპი ისევ ჩამომრჩება მშპ-ს ზრდის ტემპს და მისი ხვედრითი წონა მშპ-ს მთლიან გამოშვებაში მხოლოდ 9.3%-ით განისაზღვრა. ანუ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება სახელმწიფოს მხრიდან საჭიროებს აუცილებელ ხელშეწყობას.

მოკლედ განვხილოთ საქართველოში არსებული, აგრარულ ფორმათა საექსპორტო საქმიანობის ხელშემწყობი სატარიფო და არასატარიფო პოლიტიკა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადებებისაგან - საბაჟო, დამატებული ღირებულების და აქციზის გადასახადისაგან^[50]. საქონლის ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში^[51] დეკლარირებული საქონელი გატანილი უნდა იქნას საქონლის ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან 30 კალენდარულ დღეში. დეკლარანტი პასუხისმგებელია მხოლოდ საქონლის გატანასა და საბაჟო პროცედურების შესრულებაზე.

რაც შეეხება არასატარიფო შეზღუდვებს ექსპორტზე, საქართველოს კანონმდებლობით, არ არის გათვალისწინებული რაიმე არასატარიფო შეზღუდვა (ლიცენზირება, ქვოტირება, აკრძალვები და სხვა) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც

⁵⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლები 168, 188, 199.

⁵¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად სასაქონლო ოპერაცია იგივეა რაც საბაჟო რეჟიმი, 2011 წლის პირველი იანვრიდან.

ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისათვის. იმპორტზე დაწესებული არასატარიფო ბარიერების გამოყენება, როგორც 1.3 ქვეთავში აღინიშნა (ფიტოსანიტარიული ან ვეტერინარული ნებართვის/სერტიფიკატის წარმოდგენის მოთხოვნა; გაბარიტების/დატვირთვის კონტროლი, წარმოშობის ქვეყნის დამადასტურებელი სერტიფიკატი), შესაძლებელია სოფლის მეურნეობის ადგილობრივი წარმოების პროდუქტების კონკურენტი ან ამ მათი წარმოებისათვის საჭირო შუალედური, იმპორტირებული საქონლის მიმართ.

როგორც ამ ქვეთავის დასაწყისში აღინიშნა, ექსპორტის მხარდაჭერა აღიარებულია ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად, ექსპორტის ხელშეწყობის პროფილით მომუშავე პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო შეიქმნა 2001 წლის 24 აპრილს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო“-ს სახელწოდებით[52], მაგრამ მან სულ რაღაც 2 წელიწადში შეწყვიტა ფუნქციონირება. საექსპორტო წარმოების სტიმულირების მიზნით, „საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო“-ს ფუნქციებში შედიოდა:

ა) საწარმოების შერჩევა დიდი საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგებიდან და მათთან საინფორმაციო, საკონსულტაციო მუშაობის გაწევა; სამუშაო ჯგუფების შექმნა ქართველი და უცხოელი სპეციალისტებისაგან და მათი საქმიანობის კონტროლი;

ბ) საწარმოთა პერსონალის ტრენინგი ექსპორტთან დაკავშირებულ საკითხებში;

გ) კონკურსების ორგანიზაცია უცხოეთისა და ადგილობრივი მარკეტინგული და საკონსულტაციო ფირმების შესარჩევად და დასაქირავებლად;

დ) ქართული პროდუქციისათვის სტრატეგიული ბაზრების განსაზღვრა და ამ ბაზრებზე მარკეტინგული კვლევის განხორციელება;

ე) ქართულ საექსპორტო პროდუქციაზე უცხოელი იმპორტიორებისათვის ინფორმაციის მიღების გამარტივებისათვის პერიოდული გამოცემების, სპეციალური

⁵² საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 24 აპრილის ბრძანებულება N152 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოს შექმნის შესახებ“.

საცნობარო ხასიათის მასალის, ქართული პროდუქციის სარეკლამო მასალების გამოცემა და გავრცელება;

ვ) სავაჭრო მისიების ორგანიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

ზ) ერთობლივი მუშაობა ექსპორტის ხელშეწყობ სხვა ორგანიზაციებთან;

თ) ექსპორტის ხელშეწყობასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

2003 წლის 15 მაისიდან „საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტო“ გაუქმდა^[53] და ექსპორტის ხელშეწყობის ძირითადი ვალდებულება გადავიდა „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ სისტემაში. ეს უკანაკნელი არის „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ შექმნის შესახებ საქართველოს 2002 წლის 19 ივნისის №1519-II ს კანონის საფუძველზე შექმნილი მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი ორგანო. ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით სააგენტო აღჭურვილია შემდეგი ფუნქციებით^[54]:

ა) საინვესტიციო გარემოს, ექსპორტის ზრდისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბების მიზნით წინადადებების მომზადება;

ბ) „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედებისათვის საჭირო სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება, გამოცემა და მათი საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია;

გ) სპეციალური სასწავლო პროგრამებისა და სასწავლო-მეთოდოლოგიური მასალების მომზადება, საინვესტიციო ურთიერთობებში მონაწილე პირთათვის, ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოებისა და მასმედიის

⁵³ საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 15 მაისის №213 ბრძანებულება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ფუნქციური გაძლიერების შესახებ“.

⁵⁴ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის ბრძანება 2002 წლის 16 აგვისტოს №01/01-01/113 „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე სხვა დაინტერესებული პირებისათვის სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება;

დ) განხორციელებული საწარმო-საინვესტიციო პროგრამების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა;

ე) საწარმო - საინვესტიციო პროგრამების წარმომდგენი ორგანიზაციებისათვის საექსპერტო და საკონსულტაციო - სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თავის მიერ გაწეული საქმიანობის საჯარო განხილვების მოწყობა, შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნება, სპეციალური პერიოდული ბიულეტენის დაარსება;

